ლელო

№217 (12 287)

14 სექტემბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ, 23:00.
საქართველო vs
ირლანდია

iRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

ახალი სისხლი ირლანდიასთან

გუშინ საღამოს, ირლანდიასთან მატჩამდე ზუსტად 48 საათით ადრე, საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა შემადგენლობა გამოაცხადა.

15. ოთარ ბარკალაია
14. გიორგი ელიზბარაშვილი
13. რევაზ გიგაური
12. დავით კაჭარავა
11. გიორგი შკინინი
10. მერაბ კვირიკაშვილი
9. ბიძინა სამხარაძე
1. მამუკა მაგრაქველიძე
2. გოდერძი შველიძე
3. ავთანდილ კოპალიანი
4. ილია ზედგინიძე (კაპ)
5. მამუკა გორგოძე
6. ილია მაისურაძე
7. რატი ურუშაძე
8. გიორგი ჩხაიძე

16. აქსენტი გიორგაძე
17. დავით ხინჩაგიშვილი
18. ლევან დათუნაშვილი
19. ზვიად მაისურაძე
20. ირაკლი აბუსერიძე
21. მალხაზ ურჯუკაშვილი
22. ოთარ ელოშვილი

ძირითად თხუთმეტეულში 11 კაცი გამოიცვალა. არგენტინასთან თამაში დაიწყო მხოლოდ ოთხმა - **კვირიკაშვილმა, ზედგინიძემ, გორგოძემ** და **ჩხაიძემ**. ხუთნი - **შკინინი, გიგაური, სამხარაძე, შველიძე და კოპალიანი** - შემცვლელები იყვნენ, დანარჩენი 6 მორაგბე (**ბარკალაია, ელიზბარაშვილი, კაჭარავა, მაგრაქველიძე , ი.მაისურაძე, ურუშაძე**) პირველი თამაშის განაცხადში არ ყოფილა.

სათადარიგოთაგან **ა. გიორგაძე, ხინჩაგიშვილი, აბუსერიძე** და **ურჯუკაშვილი** არგენტინასთან ძირითადში იყვნენ, **ზ.მაისურაძე** - სკამზე, **დათუნაშვილი** და **ელოშვილი** განაცხადში არ ყოფილან.

დანარჩენი 8 მოთამაშე - **ჯიმშელაძე, ხამაშურიძე, მაჩხანელი, ი. გიორგაძე, ზირაქაშვილი, დიდებულიძე, ლაბაძე** და **უდესიანი** არგენტინასთან ბრძოლის შემდეგ ისვენებს ან ტრავმებს იშუშებს.

ნაკრების მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა შემადგენლობას ასეთი კომენტარი დაურთო: *- ოთხდღიანი ინტერვალით თამაში ძალიან მოუხერხებელია, მაგრამ ამასთან ვერაფერს გავაწყობთ, ამიტომაც ისე დავგეგმეთ ყველაფერი, რომ 30-კაციანი შემადგენლობა მაქსიმალურად გამოგვეყენებინა. ვიცი, რომ ძალიან ძნელი თამაში გველის, მაგრამ გამოწვევა მიღებულია!*

საქართველოს ნაკრებს მომდევნო თამაში 26 სექტემბერს აქვს ნამიბიასთან.

13

ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი.
ბრაზილიური რეპორტაჟების სპონსორია საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ბრინჯაოსთვის აგრძელებდნენ

ამათ რად უნდათ მსოფლიო ჩემპიონატი?

დღეს ჭიდაობენ გიორგი ბაინდურაშვილი (81) და ირაკლი ცირეკიძე (90)

ირაკლი თავაძე
რიო დე ჟანეიროდან

მსოფლიო ჩემპიონატის პირველი დღე ჩვენი გუნდისთვის მეტ-ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. მართალია, ფინალში ვერც ერთი ჩვენი მოჭიდავე ვერ გავიდა, მაგრამ ვაჟთა ტურნირში ორივე - **ლომერ ყორყოლიანიც** (100) და **ლაშა გუჯეჯიანიც** (მძიმე) ბრინჯაოსთვის და, შესაბამისად, ლიცენზიებისთვის ბრძოლასაც აგრძელებდნენ. დამამშვიდებლის ფინალში გასასვლელად ყორყოლიანს უკრაინელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ვიტალი ბუბონისთვის** უნდა მოეგო, გუჯეჯიანს - უზბეკ **აბდულო ტანგრიევისთვის**. ბრინჯაოს მედლამდე ორივეს 2-2 მოგება სჭირდებოდა, პეკინის ლიცენზიამდე - თითო. სამწუხაროდ, ქალებში **ირინა ლეონიძე** (მძიმე) პირველივე წრიდან გამოვარდა.

ფინალური შეხვედრები ძალიან გვიან - თბილისის დროით ნაშუაღამევს - 3 საათზე რომ იწყებოდა, კი ვიცოდით, მაგრამ მასპინძლებს გუშინდელი საშეჯიბრო დღე უჩვეულოდ გაეჭიმათ. ეგ იმიტომ, რომ დილით ტურნირის დაწყება ერთი საათით დააგვიანეს და წინასწარი შეხვედრები აქაური დროით 18 საათზე დასრულდა! განსხვავება კი თბილისსა და რიოს შორის მთელი 7 საათია. დღეს **ირაკლი ცირეკიძე** (90), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81) და **თინათინ ქულოსაშვილი** იჭიდავებენ.

12

დიდი ჯახი ბორჯომში

14 სექტემბერი. პარასკევი	
16:00	ლოკომოტივი-მგლები
16:00	დილა-ზესტაფონი
16:00	სიონი-ვიტ ჯორჯია
16:00	ოლიმპი-მესხეთი
15 სექტემბერი. შაბათი	
16:00	სპარტაკი-დინამო
16:00	მერანი-ბათუმი
16:00	ბორჯომი-ამერი



ტურის წინათქმა 2

ფეხბურთით არ უნდა გაწვალდე, უნდა ისიამოვნო

3

ინტერვიუ ლევან ქენიასთან

ოთხშაბათს, აზერბაიჯანთან მატჩის დროს



სკოლარი უღირსად მოიქცა

პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა სერბ ფეხბურთელს დაარტყა 6-7

ევრო 2008. შესარჩევი მატჩები

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. V ტური. წინათქმა

დიდი ჯახი ბორჯომში

ჩასემზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ზესტაფონი	4	3	1	0	10-1	10
2. ვიტ ჯორჯია	4	3	1	0	5-2	10
3. მესხეთი	4	3	0	1	6-4	9
4. დინამო	2	2	0	0	4-1	6
5. ამერი	4	2	0	2	6-5	6
6. მგლები	4	2	0	2	3-3	6
7. ოლიმპი	4	2	0	2	3-4	6
8. ბორჯომი	4	1	2	1	3-3	5
9. სპარტაკი	4	1	2	1	2-3	5
10. სიონი	3	1	1	1	2-3	4
11. დილა	4	1	0	3	3-6	3
12. ლოკომოტივი	4	1	0	3	4-10	3
13. ბათუმი	4	0	1	3	1-4	1
14. მერანი	3	0	0	3	0-3	0

ბომბარდირები

ვიეირა (ზესტაფონი)	3
კაიდარაშვილი (მესხეთი)	3
იონანიძე (ზესტაფონი)	3
ტატანაშვილი (ამერი)	2
ბ. ჩიტაია (დილა)	2
სახოკია (ვიტ ჯორჯია)	2
რ. ჯიქია (ოლიმპი)	2
შ. ჯიქია (ბორჯომი)	2

სანაკრებო დღეების გამო გამოცხადებული ორკვირიანი პაუზის შემდეგ, დღეს ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. ვნახოთ, რა შეიცვალა უმაღლესი ლიგის ბინადართა თამაშში ამ პერიოდმა. მეხუთე ტურში არაა ისეთი დაპირისპირება, ცენტრალური რომ დავარქვათ, მაგრამ დღევანდელ და ხვალინდელ დღეებს სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა მაინც შეუძლია. ტურის ეპიცენტრად კი ალბათ მაინც ბორჯომი უნდა მივიჩნიოთ.

16:00. ოლიმპი–მესხეთი

14 სექტემბერი. რუსთავი. ფოლადი.

სავარაუდო შემადგენლობები

ოლიმპი: მ. ალავიძე, ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე, ნავალოვსკი, გეწაძე, ქებაძე, კოშკაძე, დვალიშვილი, რ. ჯიქია, ჯილდასი

დისკვალიფიკაცია: მერლანი, აკუასაგა

მესხეთი: სომხიშვილი, აკოფიანი, გ. ნადირაშვილი, ლეკიშვილი, ჟვანია, ინასარიძე, მ. თაყაძე, თურმანიძე, ზ. ჩხეტიანი, გვირჯიშვილი, კაიდარაშვილი

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

"ოლიმპის" მეკარემ, **მირზა მერლანმა** იმდენი მოახერხა, რომ წინა ტურში, "ვიტ ჯორჯიასთან" სათადარიგოებში გამწესებულმა დაიმსახურა დისკვალიფიკაცია. იგი დღევანდელ მატჩს მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის დააკლდება. ბოლო, მესამე თამაშს გამოტოვებს რუსთაველთა გაბონელი უკანახაზელი **ერნესტ აკუასაგა**. ჩემპიონებს მოკლე სკამი აქვთ და შესაბამისად, დანაკლისი სერიოზულია. ამის მიუხედავად, **პისკოვეცის** გუნდი წყვილის ფავორიტია, თუმც "მესხეთისგანაც" მოსალოდნელია მორიგი სიურპრიზი. ახალციხელები ხომ თამაშის ხარისხს ტურიდან ტურამდე აუმჯობესებენ და დამსახურებულად არიან ცხრილის ზედა ნაწილში.

16:00. დილა–ზესტაფონი

14 სექტემბერი. ბორი. თ. ბურჯანაძე.

სავარაუდო შემადგენლობები

დილა: ილურიძე, დ. ხანიშვილი, ლაცაბიძე, ბალიაშვილი, ბალაშვილი, სადაღაშვილი, ტლაშაძე, შატაკიშვილი, სულთანიშვილი, სამადაშვილი, ბ. ჩიტაია

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, ს. თოდუა, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი, ნ. კვასხვაძე, ჟონტასი, კესანი, ვიეირა, ფიფია, გ. ნოდ. ქელიძე

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

შესაძლოა, "ზესტაფონის" რიგებში დღეს ჰქონდეს დებიუტი გაბონელ ახალწვეულ **ეტიენ ბიტოოს**. ეს იმაზეა დამოკიდებული, დროულად ჩამოვა თუ არა აფრიკიდან მისი გათავისუფლების ფურცელი. **თემურ მახარაძეს** წინა ხაზში კიდევ უფრო ფართო არჩევანი ექნება, ფეროელებს თავდასხმაში საქმე მართლაც რიგიანად აქვთ. "დილა" საუთარ მოედანზე ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალაა, ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ, გორელები ყველაფერს იღონებენ, რომ სატურნირო მარაგი შეივსონ.

16:00. სიონი–ვიტ ჯორჯია

14 სექტემბერი. გოლნისი. თ. სტეფანია.

სავარაუდო შემადგენლობები

სიონი: სტურუა, თავბერიძე, ბოიომო, ოქროპირიძე, რაქვიაშვილი, კვიტაიშვილი, ბაჯელიძე, სანიკიძე, ქურასბედიანი, ნადირაძე, ჩასემი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, კაიშაური, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, ბეჭვაია, გელაშვილი, ლუჭაშვილი (სახოკია)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

პირველად ბოლო წლებში, "ვიტ ჯორჯია" ბოლონისში აშკარა ფავორიტის სტატუსით ჩადის. "სიონს", რბილად რომ ვთქვათ, საუკეთესო დროება არ უდგას და დღევანდელი გადასახედიდან, პირველ ლიგაში დაქვეითების რეალური კანდიდატია. თუმცა გუნდის ძველ-ახალი მთავარი მწვრთნელი **გიორგი ყიფშიძე** იმედოვნებს, რომ მისი შეგირდები თამაშის ხარისხს უახლოეს პერიოდში საგრძნობლად გამოასწორებენ. როგორც უკვე ვთქვით, გამარჯვების მეტი შანსი ვეტერინარებს უნდა ჰქონდეთ, ბოლნისელთა წისქვილზე კი წყალი შეიძლება იმან დაასხას, ვიტელთა წამყვანი მცველები, **ალექსანდრე კვახაძე** და **დავით ლომაია** მოედანზე სანაკრებო მატჩით გადაღლილები რომ გავლენ.

16:00. ლოკომოტივი–მგლები

14 სექტემბერი. თბილისი. მ. მესხი.

სავარაუდო შემადგენლობები

ლოკომოტივი: გვარამაძე, დ. ფოფხაძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, ხოხონიშვილი, გულორდავა, მალიჩავა, ლალაძე, სამხარაძე, გ. მიქაძე, იმედაძე

დისკვალიფიკაცია: ყენია

მგლები: ივარდავა, ექონია, ფარულავა, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ხუბუა, ქირია, კრასოვსკი, ჯოჯუა, კუტალია, ბაკარანძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

თამაში არ გავა, "ლოკომოტივის" ჭაბუკმა ლიდერმა **ლევან ყენიამ** ყვითელი ბარათი რომ არ მიიღოს. იგი დისკვალიფიკაციის გამო, მიმდინარე ჩემპიონატის მეორე მატჩს გამოტოვებს, რაც რკინიგზელებს, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეთ. "ლოკომოტივს" ისედაც არ მისდის თამაში და ყენიას გარეშე დარჩენილმა გუნდმა მორიგი მარცხი რომ იწვნიოს, გასაკვირი არ იქნება. მით უფრო, რომ ზუგდიდელები უმაღლეს ლიგას თავიდანვე გაუშინაურდნენ და ქულათა საკმაო მარაგსაც მოუყარეს თავი.

16:00. სპარტაკი–დინამო

15 სექტემბერი. გორი. თ. ბურჯანაძე.

სავარაუდო შემადგენლობები

სპარტაკი: კოდალაევი, ხაჭიპურაძე, მამუკაშვილი, ქემოკლიძე, პარამონოვი, თარხნიშვილი, ძარია, ჩირიკაშვილი, ბახტურიძე, კ. ავალიანი, ხიდეშელი

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ფეიქრიშვილი, გ. მერებაშვილი, ხმალაძე, კობახიძე, დიღმელაშვილი, აკირემი

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

წესით, "დინამოს" გორში იოლი გასვლა არ უნდა ელოდეს. "სპარტაკმა" უკვე დაამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი მეტოქე არავისთვისაა და ალბათ, "დინამოსაც" მედგარ ბრძოლას გაუმართავს. დედაქალაქელებს კი თავისი მიზანი აქვთ - სანამ უშუალო მეტოქეებთან ბრძოლების დრო მოვა, ქულათა მაქსიმალური რაოდენობის მოპოვებას გეგმავენ.

16:00. ბორჯომი–ამერი

15 სექტემბერი. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი.

სავარაუდო შემადგენლობები

ბორჯომი: შეყრილაძე, ღონღაძე, ლ. მერებაშვილი, ლ. ჭელიძე, აკობია, მემარნიშვილი, გრიგალაშვილი, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, კ. ხანიშვილი, შ. ჯიქია

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დოლიძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი, ტატანაშვილი

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ბორჯომში "ამერმა" ორი უმაღლესლიგური შეხვედრა ჩაატარა და ორივეში მარცხი იწვნია. გლდანელებმა სეზონი ისედაც მძიმედ დაიწყეს და სამცხეში ხვალაც რომ მოეცაროთ ხელი, ჩემპიონობისთვის ბრძოლა უკვე ძალიან გაუჭირდებათ. მოკლედ, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბორჯომში უკომპრომისო და ზეპრინციპული ჯახია.

16:00. მერანი–ბათუმი

15 სექტემბერი. თბილისი. მერანი.

სავარაუდო შემადგენლობები

მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, თ. კობიაშვილი, სარალიძე, გიგაური, ლომაშვილი, ბესარაშვილი, ბ. ნოზაძე, ტყეშელაშვილი, ბ. ჟღენტი (სირბილაძე), გოჩაშვილი

ბათუმი: თოთლაძე, თედორაძე, გალოგრე, კუნჭულია, კ. მახარაძე, დემურაძე, ზ. ჭელიძე, დარჩიძე, გ. მოდებაძე, ბეჟანიძე, კაკალაძე

დისკვალიფიკაცია: გოგიტიძე (მწვრთნელი)

არბიტრი: მ. ბეუჟლიშვილი

როგორც იცით, "მერანის" თავკაცობა **თამაზ კოსტავას** ინსულტი აქვს და ბუნებრივია, სამწვრთნელო საქმიანობას ჩამოსცილდა. მას **დავით ეჯიბიშვილი** შეცვლის, რომელიც აქამდე ასისტენტი იყო, ადრე კი მთავარ მწვრთნელადაც უმუშავია. უჭულო თბილისელებს პირველი გამარჯვების კარგი შანსი ეძლევათ, ასევე აუტსაიდერი "ბათუმის" ძლევა სავსებით რეალურია. სტუმრებს მთავარი მწვრთნელი ჰყავთ დასჯილი, **ამირან გოგიტიძე** თავის გუნდს ტრიბუნიდან დამოძღვრავს.

ლევან ჯანეზაშვილი



ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ლიგა
www.pfl.ge

ინტერვიუ ლევან ყენიასთან

ფეხბურთით არ უნდა გაწვალდე, უნდა ისიამოვნო

7 ივლისს ციფრადაა მიჩნეული. მის მაისურზე კი ორი ასეთი ციფრია. ლევან ყენია აქამდე 17, მერე 19 და 21-წლამდელთა ნაკრებში გამორჩეული ფიგურა იყო. ნაკრების ბოლო ორი მატჩის შემდეგ კი ერთი რამ აშკარაა – ყენია ეროვნულში საჭირო ფეხბურთელია. ჯერ 90 წუთი თუ არა, მინიმუ ერთი ტაიმის განმავლობაში მაინც შეუძლია ეროვნულის დონეზე თამაში. ის ლაღად თამაშობს, მოედნის კარგი ხედვა აქვს, ზუსტი და ოსტატურად პასი ეხერხება, სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას და შეტევის ერთ-ერთ საუკეთესო ვარიანტს სთავაზობს თანაგუნდელებს. მისი თამაშის მნახველები ერთსულოვანი არიან – ყენიამ უკვე შეძლო და ეროვნულშიც გაამწვავა თამაში.

ლევან ყენია ბაქოურ მატჩშიც ერთ-ერთი გამორჩეული იყო. პატარა გენიოსმა აზერბაიჯანელებს თავისი შოუს ფრაგმენტები შესთავაზა და ამიტომაც იყო თამაშის ბოლოს მასპინძლებმა მას მაისურის გაცვლა რომ შესთავაზეს. აზერბაიჯანელმა კოლეგებმა კი აღნიშნეს – ეს ბიჭი უდავოდ მომავალი ვარსკვლავია, მთავარია ასაკის მატებასთან ერთად საფეხბურთო ზრდა-განვითარება ამ ტემპით გააგრძელოსო.

საინტერესოა თუ რას ფიქრობს თავად ლევან ყენია ნაკრების ბოლო მატჩებსა და თავის თამაშზე, მომავალზე, რა ვითარებაა "შალკეში" მის გადასვლასთან დაკავშირებით... ინტერვიუ ბაქოდან თბილისში მგზავრობისას, თვითმფრინავში შედგა...

- მართალი გითხრათ რთული თამაში იყო. აზერბაიჯანის ნაკრები კლასით არ გამოირჩევა, მაგრამ მოძრავი და მებრძოლი გუნდია. შესაბამისად, ჩვენც დიდი გარჯა მოგვიწია. პირველ ტაიმში რამდენიმე საგოლე მომენტი გვქონდა და ანგარიშიც ჩვენ უნდა გაგვეხსნა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. მეორე ნახევარში უკეთ ვითამაშეთ და ტაიმის სტარტზევე გავათანაბრეთ ანგარიში.

- საკუთარ თამაშზე რას იტყოდი. იმ დონეზე ითამაშე როგორც გინდოდა და შეგიძლია თუ რამეზე გეთანაღრება გული?

- ვფიქრობ, ცუდად არ მითამაშია, მაგრამ ისიც კარგად ვიცი რომ მეტი შემიძლია. ერთადერთი რაზეც გული მეთანაღრება ისაა, რომ მატჩის ჩამთავრება მინდოდა, მაგრამ ტრავმა მივიღე და შეცვლა ვითხოვე.

- რა ტრავმა მიიღე?

- ერთ-ერთი ორთაბრძოლისას მეტოქემ გულმკერდის არეში იდაყვი ჩამარტყა. მწვავე ტკივილმა შემაწუხა, ერთი ხანი სუნთქვაც კი შემეკრა. თუმცა საგანგაშო არაფერია, ორიოდე დღე დავისვენებ და ჩვეულებრივ განვაგრძობ ვარჯიშს.

- საგოლე პასი, კარში ორი დარტყმა, სამი დრუბლინგი და ამდენიმე იშვიათი პასი... ასეთია შენი მონაგარი ბაქოში ნათამაშებ 60 წუთში...

- ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ შეხვედრაში უფრო უკეთ წარმოვჩნდი, ვიდრე უკრაინასთან სადებიუტო თამაშში. ეს იმიტომ, რომ აზერბაიჯანთან 60 წუთი ვითამაშე, უკრაინასთან კი 25 წუთი.

- მწვრთნელისგან რა დავალება მიიღე?

- დამავალეს თამაში გამემწვავებინა და საგოლე მომენტების შექმნაზე მეზრუნა. ალბათ ამ დავალებას თავი გავართვი კიდეც.

- შენს საფეხბურთო ნიჭზე რომ არაფერი ვთქვათ, მოედანზე ლაღად თამაშობ, არანაირ ფსიქოლოგიურ დაძაბულობას არ გრძნობ. ამას როგორ ახერხებ?

- ვფიქრობ მოედანზე რომ ხარ უნდა იცოდე რა და როგორ აკეთო. მით უმეტეს ნაკრებში თუ გიწევს თამაში. ჩემი აზრით ფეხბურთით არ უნდა იწვალო, პირიქით უნდა ისიამოვნო.

- ბუნებრივია შენ ხშირად გესმის – ყენია ჩვენი ფეხბურთის მთავარი იმედია, დიდი ტალანტია, ეგ ნახეთ რა დონის ვარსკვლავი დადგება... რას ნიშნავს შენთთვის ეს შეფასებები და როგორ რეაგირებ?

- ჩემზე ასეთ შეფასებები ათმაგი სტიმულია. არავინ იფიქროს, რომ მიღწეულით დავკმაყოფილდე და გავიყინო. ვთვლი, რომ ჯერჯერობით არაფრისთვის მიმიღწევია. მინდა ყოველ მატჩში უფრო და უფრო კარგად ვითამაშო და დავამტკიცო, რომ ჩემზე ასეთი შეფასებები გაზვიადებული არაა. მინდა ნაკრების მწვრთნელებსა და უბრალო ქომაგებს იმედები გავუმართლო.

- პირდაპირ გკითხავ, გქონდეს იმედი, რომ "თავში არ აგივარდება"?

- დიახ, ყველა გულშემატკივარს ვპირდები, "თავში არ ამივარდება", გქონდეთ ჩემი იმედი.

- "შალკეში" შენი გადასვლის საკითხი რა სტადიაშია?

- ყველაფერ გადაწყვეტილია, კობიავილის დახმარებით ამჟამად ბოლო საბუთები გვარდება და გერმანიაში მელიან. ვფიქრობ ამ დღეებში, გავემგზავრები კიდეც. გელზენკირხენში ჩავალ 4 წლიან კონტრაქტს გავაფორმებ 1+3 სისტემით და "შალკეს" 19 წლამდელთა გუნდში ვითამაშებ. ვფიქრობ, გერმანიაში თამაში ძალზე წამადგება. უკეთეს დონეზე ვითამაშებ და ნაკრებსაც მეტ სარგებელს მოვუტან.

დავით ცაბაძე



ერთი კვირის ათასი წვრილმანი

თულ ფეხბურთში ამ ბოლო დროს მოხდა, მასზეც მოქმედებს, თითქოს ზეწოლა მოემატაო და ზედმეტ გადაძაბვისგან უკრაინასთან რამდენიმე ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, რომელთა გამოსწორება მეორე ტაიმში სცადა. საქართველო-უკრაინა ალბათ ტოპმიოლერის უსუსტესი მატჩი იყო ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხით.

ამ აურზაურში აღარავის ახსოვს ქართველ მწვრთნელთა მომზადების საქმე, რომელსაც მანამდე გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობდა, ახლა კი ჯერაც არავინ უწყის, რა როგორაა. რამდენიმე ქართველ მწვრთნელს აქვს A ლიცენზია, თუმც ამას წინათ ერთ-ერთმა შემომჩივლა, უცხოეთში უნდა წავსულიყავი სამუშაოდ, მაგრამ მითხრეს, საქართველოში აღებული A ლიცენზია ჩვენთან არ გამოდგებაო.

ისიც სათქმელია, საქართველოს უმაღლესი ლიგის ზოგიერთ მწვრთნელს B ლიცენზიაც რომ არ აქვს, მაგრამ ამას ახლა ვინ უყურებს?

ჩვენ ვუყურებთ საქართველოს ნაკრებს, ტოპის და იმას, ვინც უნდა გადაწყვიტოს ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაგრძელების საკითხი.

და რა იქნება აქ გადამწყვეტი? ლიტვის გადასწრება თუ ამ შესარჩევში ერთი გემრიელი გამარჯვება მაინც? იქნებ, სულ სხვა რაღაც, რაც ჩვენ არ ვიცით.

ვნახოთ, რას მოიმოქმედებენ გრავიტაციული ძალები.

დავით თავართქილაძე



ეის მოხვდება ვაშლი თავში: ტოპმიოლერს თუ მის დამნიშნავს?

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთის წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

ლეგიონერები

ქართველებს რუსეთში არ უშვებენ

მსოფლიომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები უკვე ლამის ისრაელ-პალესტინისას შეადაროს. "ტკბილი მეზობელი" გამუდმებით გვბომბავს, ისტორიულ რეგიონებს გვართმევს და მაინც ჩვენზე იბოღმება.

ასეთი განწყობა დიდი ხანია ფეხბურთზეც აისახება. ათასში ერთ ქართველს თუ აძლევენ რუსეთის ვიზას. სპორტსმენებს მსგავსი პრობლემები ყველაზე მეტად რუსეთში ექმნებათ.

სანამ **ომარ თეთრაძე** ინფარქტს მიიღებდა, მანამდე პრესკონფერენცია გამართა, მახაჩყალის "ანჟიში" არსებულ ვითარებას შეეხო და გვერდი ვერც სატკივარს აუარა. ერთ-ერთი მათგანი "ანჟიდან" ლიდერების წასვლა, ან მათთან დაკავშირებული პრობლემები ყოფილა. აღმოჩნდა, რომ დაღესტნელთა ქართველი გამთამაშებელი **გოჩა ხოჯავა** დიდი ხანი თბილისში აყურყუტეს და მახაჩყალაში ჩასვლის საშუალება არ მისცეს. თეთრაძის თქმით, მისი არყოფნა "ანჟის" ძალიან ცუდად დაეტყო.

ასეთი ფაქტი წლეულს მერამდენედ მოხდა, ვეღარც ვიხსენებთ. **დათო მუჯირი** ორი კვირა აწვალეს და სამარის "კრილია სოვეტოვის" კაპიტანმა ძვირფასი დრო და ფორმა დაკარგა.

ივნისში ერთი კვირა **გოგიტა გოგუა** დააბრკოლეს, **გიორგი ჭელიძე** მოსკოვის "ლოკომოტივში" უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ვიზას ორი თვე (!) უშედეგოდ ელოდა და რუსეთის ნაცვლად, კარიერა "ზესტაფონში" გააგრძელა.

გოჩა ხოჯავა

იური მამინაშვილს თებერვალში რუსეთის პირველი ლიგის "მეტალურგ-კუზბასის" (ნოვოკუზნეცკის) სპორტული დირექტორის პოსტი შესთავაზეს. ის ვიზას საერთოდ ვერ ეღირსა. მუჯირზე ნებართვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გასცა. "კრილია" ცნობილი კლუბია და კაპიტანს ვერ დაუბლოკავდნენ. "მეტალურგ-კუზბასისა" კი რა მოგახსენოთ. მამინაშვილის კლუბმა საგარეო საქმეთა სამინისტრომდე ვერ მიაღწია და გამოცდილმა სპეციალისტმა საკმაოდ მაღალანაზღაურებადი სამსახური დატოვა.

მერაბ მამულაშვილი

დარასელია დვალს გაჰყვა

28 წლის ქართველი ფეხბურთელი **ვიტალი დარასელია** ერთი წლით კიშინიოვის "დაჩიაში" გადავიდა. დარასელია მოლდოვური კლუბის მეორე ქართველი ლეგიონერი იქნება თავდამსხმელ **ჯაბა დვალის** მერე. შარშან ამ კლუბის ღირსებას მცირე ხნით **ლადო ახალაია** იცავდა. "დაჩია" 8 თამაშიდან 20 ქულით მეორე ადგილზეა, თუმცა პოტენციური ლიდერია, რადგან წინ მყოფ "ნისტრუზე" სამი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული და მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. ვიტალის უცხოური კლუბებიდან კიევის "არსენალში", ვლადიკავკაზის "ალანიასა" და ყარაღანდის "შახტიორში" უთამაშია, ქართული კლუბებიდან კი ბათუმის და თბილისის "დინამოებსა" და ბოლნისის "სიონში". 2004 წელს დარასელია დსთ-ის თასის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ვიტალი დარასელია

ფუტზალი

იბერიამ ნილტონის დუბლით დაიწყო

ფუტზალში საქართველოს ჩემპიონი თბილისის "იბერია" ხორვატიაშია და ევროპის თასის ჯგუფურ ეტაპზე პირველი მატჩი ითამაშა ადგილობრივ "გოსპიჩთან" - 2:2.

"იბერია" 0:2-ს აგებდა და ბრაზილიელი **ნილტონ და სილვას** დუბლით გაათანაბრა. ოთხგუნდა ჯგუფში საქართველოს ჩემპიონის მეტოქეები კიდევ რუმინული "დევა" და სლოვენიური "პუნტარი" არიან. ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადის მომდევნო ეტაპზე. ამ ჯგუფის ყველა თამაში გოსპიჩში გაიმართება და კვირის ბოლოსთვის ყველაფერი გაირკვევა.

"იბერია" ხორვატიაში ამ შემადგენლობითაა წასული: **ალექსანდრე ჯამბურია, ერნესტ აკოპოვი, ალექსანდრე ძაბირაძე, რუდოლფო, ტიაგო, როდრიგო, გალაქტიონ ზოიძე, გიორგი ალთუნაშვილი, ბექა ნეფარიძე, ნილტონი, ვახტანგ წერეთელი.**

"იბერიას" რუსეთიდან მოწვეული **ალექსანდრ ხადონკინი** წვრთნის.

დავით თავართქილაძე

მეტოქე

უკრაინის ნაკრებში არეულობაა

ვორონინმა, ბლოხინის ბავშვი არ ვარო

ანდრეი ვორონინი

უკრაინის ნაკრებში იგივე ვითარებაა, რაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში: ქვეყანა "ევროპულ" და "სოციალისტურ" ბანაკებად დაიყო. პროცესი ნაკრებსაც გადაედო. პრობლემებმა საქართველოსთან და იტალიასთან წარუმატებლობის შემდეგ იჩინა თავი.

სლავებმა იტალიელებთან შეხვედრა 1:2 წააგეს და მატჩის შემდეგ თავდამსხმელი **ანდრეი ვორონინი** მთავარ მწვრთნელ **ოლეგ ბლოხინს** ეჩხუბა.

ბლოხინი "ჰომოსოვიეტიკუსია" და ფეხბურთელებთან ისეთივე უხეშ მოქცევას და ლაპარაკსაა შეჩვეული, როგორც მის დროს იყო მიღებული. უტაქტობა მწვრთნელმა თბილისურ პრესკონფერენციაზეც გამოამჟღავნა.

დიახ, უკრაინელთა მწვრთნელი ერთ-ერთი თავისიანი ჟურნალისტის კითხვამ ისე აღაშფოთა, "იოლკი-პალკი" გაახსენდა.

12 სექტემბერს, კიევის მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ბლოხინმა "ლივერპულის" თავდამსხმელ ვორონინის შესაძლო მოკვეთაზე ისაუბრა: "ბიჭებს ანდრეი ვორონინთან კამათისთვის ბოდიში მოვუხადე. სადღაც, მეც არ ვიყავი მართალი. თუმცა, ანდრეიმ მობოდიშებაც არ ჩათვალა საჭიროდ. თუკი ის ჩემთან უტაქტო საუბარს მომავალშიც გააგრძელებს და დამოკიდებულებას არ შეიცვლის, ვფიქრობ, მისნაირი მოთამაშე ნაკრებს არ გამოადგება. თუკი თავის საქციელს ამართლებს, წავიდეს და მხოლოდ ინგლისში ითამაშოს."

ვორონინი კი თავისას ამტკიცებს: "ვერ დავუშვებ, რომ ყველაფერში მე დამადანაშაულონ და მიყვირონ. მე პატარა ბავშვი აღარ ვარ".

ბლოხინის გადაყენებაზე თბილისში დაწყებული საუბრები იტალიასთან ნაგების შემდეგ გაძლიერდა. უტაქტო და მოთამაშეებისადმი საბჭოთა მილიციელის მსგავსი მოქცევით ცნობილი სპეციალისტი ნაკრების ლიდერებს უკვე ძალიან აღიზიანებთ. ევროპულ კლუბებში მოთამაშეების გინება მწვრთნელს თავში აზრადაც არ მოუვა. აი, ესაა საბჭოელი ბლოხინის ტრაგედია. მას "ევროპელი" ლიდერები ვეღარ უგებენ.

მერაბ მამულაშვილი

გარდაიცვალა სამხრედიის ექსპრეზიდენტი

ტარიელ ჩაჩუა: ქართული ფეხბურთის მივიწყებული ძოწაგი

სულ შემთხვევით, ძველი გაზეთების ფურცვლისას ცნობას წავაწყდი - გარდაიცვალა ტარიელ ცოტნეს ძე ჩაჩუა.

სურათი, დაკრძალვის თარიღი 18 აგვისტო და მეტი არაფერი. ერთი რიგითი სამგლოვიარო განცხადება.

არ იყო რიგითი ადამიანი, მისთვის, ვისაც ტარიელ ჩაჩუა ახსოვდა. ასეთი კი ბევრი გახლდათ. ერთი ხანობა, მთელი საქართველო აალაპარაკა და "სამხრედიაში" ქართული ფეხბურთის ლამაზი ფურცელი შეავსო. სულ რაღაც სამი წელი იყო ფეხბურთში და ეს საკმარისი აღმოჩნდა.

თუკი ვინმე მაშინდელ ამბავს გაიხსენებს, დამეთანხმება - იმ ჩამკვდარ პერიოდში ტარიელ ჩაჩუამ ერთი რაიონი მაინც გამოაცოცხლა.

"სამხრედია" მძლავრობდა, ერთმანეთზე უკეთესი ფეხბურთელები პროვინციულ გუნდში დიდი ხელფასის საფასურად მიდიოდნენ.

ჩაჩუას მათთვის არაფერი ენანებოდა. 200-300 დოლარს შეჩვეულ ნაკრების წევრებს 20-30- 40 - ათას დოლარს უხდიდა. ეს მაშინ მთვარეზე გაფრენას ჰგავდა.

ჰქონდა და არ ენანებოდა. თვით მოუთვინიერებელი ზაზა ჯანაშია მოათვინიერა - გულიანობითა და თანადგომით.

"სამხრედია" 1995 წელს ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი გახდა. მეტსაც შეძლებდა, "მხედრიონი" რომ არ დაპირისპირებოდა. "სამხრედიის" თამაშამდე მსაჯი კოჯრის ტყეში მოიტაცეს და აიძულეს, იმერთათვის სარმები დაედო. ფოთში ტანკები ჩაუყენეს და წლის საუკეთესო გუნდი მხოლოდ ვერცხლის მედალს დაეჯერეს. მაშინ ჩაჩუას წისქვილის გარდა, სამხრედიაში არაფერი მუშაობდა.

ხალხი მაინც ბედნიერი იყო. მომდევნო წელს გუნდი ჩემპიონი იქნებოდა. პრეზიდენტს გუნდისთვის არაფერი ენანებოდა და რაც მთავარია, სამხრედიელებმა შეიგუღეს ადგილი, სადაც სიხარულს იღებდნენ.

"ძალიან მინდა ჩემი რაიონი გავახარო. რა მოგებას ველი ფეხბურთიდან, ხუმრობთ? ბიზნესიდან მოგება აქვთ მომაქვს. აქ მე კი არ უნდა მოვიგო, ხალხი უნდა გავახარო" - ეს სიტყვები ჩაჩუამ იმ სეზონის შემდეგ თქვა, თქვა გულით და არა ყალბად.

რაიონის გუნდი პირველად გახდა ქვეყანაში გამორჩეული - ეს იყო პრეცედენტი. გუნდთან ერთად, სტადიონის აშენებას აპირებდა. სამხრედიის "ლოკომოტივი" მხოლოდ ხის სკამებით შეესებული საბჭოური ნონსენსი გახლდათ. რკინიგზისგან მის ყიდვას და ევროსტადიონის აშენებას აპირებდა.

არ დაუთმეს - რკინიგზა მოუვლისო. სამხრედიელები წლები ხედავდნენ, როგორც "მოუარეს".

არც გუნდის შენება დაუცალეს. უშიშროების კომიტეტმა ბიზნესი დაუბლოკა და ფული შემოაკლდა. გგონიათ, ბევრი დაუდგა? ვიღას ახსოვდა სიკეთე და ის კაცი, რომელიც ერთ სოფელს (გომს), ერთ რაიონს და ერთ გუნდს მაინც პატრონობდა?

ან მათ, ვისაც ჩაჩუასგან ნამდვილი ფეხბურთში შეაბიჯეს, ახსოვთ "სამხრედიის" წარმატება და თუნდაც ორი წლით გამდიდრებას ვის უნდა უმადლოდნენ?

ასეთების ხარჯზე იდგა ესა თუ ის რაიონი, ესა თუ ის გუნდი. ფულს მარტო ოჯახს არ ახმარდნენ. რა ბანალურია სიტყვაა "საერთო-სახალხო საქმე", მაგრამ საქმე მხოლოდ ოჯახის გავსება არაა, აქეთ-იქითაც უნდა გაიხედო.

ჩაჩუას ამის უნარი და გაგება ჰქონდა. ქართულ ფეხბურთზე მისნაირებს რომ არ ეზრუნათ, ეს ჩვენი ფეხბურთი თავზე ჯერ კიდევ ათი წლის წინათ დაგვემხობოდა.

დიდ ადამიანებს კი ჩვეულებრივი ნეკროლოგი არ ეკადრებათ. მადლობა გარდაცვალების შემდეგ მაინც ვუთხრათ.

მერაბ მამულაშვილი

ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება ფეხბურთელებისთვის

არგენტინაში

ვიწვევთ 17-18 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მოსამზადებლად არგენტინაში. მომზადების ვადაა 6 თვიდან ერთ წლამდე. მომზადების პერიოდში ფეხბურთელები ითამაშებენ ამხანაგურ მატჩებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებთან. მომზადების შემდეგ ფეხბურთელები გააფორმებენ ხელშეკრულებას ერთიდან ორ წლამდე და ჩაატარებენ ოფიციალურ შეხვედრებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებში. ფეხბურთელებს მოამზადებს ედუარდო დელგადო. ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, გზის (ავიაბილეთები), ადგილზე ცხოვრების (კვების, ბინის) და სავიზო ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

მსურველთა მიღება და მათთან გასაუბრება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. N4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, საქართველოში არგენტინის წარმომადგენელთან, ტელეფონზე: 899-23-55-20. მსურველები არგენტინაში გაემგზავრებიან 30 დღის ვადაში.

სურათზე: დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

აზერბაიჯანი-საქართველო. დასკვნები და ფიქრები ნამატჩევს

სანაკრებო პარალელები

აზერბაიჯანის დედაქალაქიდან ჩვენი ეროვნული ნაკრების მზადებისა და ამხანაგური მატჩის შესახებ წინა ნომრებში მოგითხრეთ. ამჯერად კი ის მინდა გადმოგცეთ, რაც კულისებს მიღმა იყო.

ჯვაროსნები ცაზი

"თბილავიამშენის" თვითმფრინავით ბაქოში ჩაფრენისათვის 50 წუთი საკმარისი აღმოჩნდა. ავიასალონში განთავსებულმა ფეხბურთელებმა ერთმანეთს წვრილად გამოჰკითხეს ამბები. თავდაპირველად "კარლ ცაისში" ახლახან გადასული **ილია კანდელაკის** ამბით დაინტერესდნენ. ბუნებრივია **გიორგი ონიანი, გიორგი სეთურიძე, რევაზ ბარაბაძეც** მოიკითხეს. დაინტერესდნენ **ოთარ მარცვალაძის** ამბით, რომელიც უჟგოროდის "ზაკარპატიეშია" განათხოვრებული.

ახალწვეულები ბევრ გუნდში არიან, მაგრამ ასაკში ისეთი სხვაობა არაა, როგორიც **ლევან ყენიასა** და სხვებს შორის იყო. ყენიასადმი ყველა დიდი სიმპატიით იყო განწყობილი. ლევანიც კონტაქტური იყო, არ უცხოობდა.

"ცქიტა" უგუნდოდაა, ეს ანეკდოტია აბა რააო, მოსწრებულად იხუმრა ერთერთმა. მერე უკლუბოდ ყოფნაზე **გიორგი ლომაია** გაიხსენეს...

ამასობაში ჩვენი თვითმფრინავი ბაქოს **ჰეიდარ ალიევის** სახელობის საერთაშორისო აეროპორტში დაეშვა. ტემპერატურა 28 გრადუსი იყო...

პარალელები 7 წლის წინანდელთან

ბაქოში აქამდე 2000 წელსაც გახლდით, მაშინაც აზერბაიჯან-საქართველოს ეროვნული ნაკრებების ამხანაგურ მატჩზე. ჩვენს გუნდს **რევაზ ძოძუაშვილი** და ცხონებული **დავით ყიფიანი** ხელმძღვანელობდნენ. სხვათა შორის მატჩი მაშინაც ფრედ, მაგრამ უგოლოდ დასრულდა... აზერბაიჯანელთა ნაკრებში კი ჩვენებურმა **ბადრი კვარაცხელიამ** ითამაშა...

გვარამაძე, სილაგაძე, თოდუა, სიჭინავა, ჩიხრაძე, ხიზანიშვილი, კობიაშვილი, ქეცბაია (70. რ. არველაძე), ა. არველაძე (70. იაშვილი), ქინქლაძე (80. ალექსიძე), შ. არველაძე (86. გოგიჩაშვილი) – ასეთი იყო 2000 წლის 4 ივნისს ჩვენი ნაკრების შემადგენლობა.

გუშინწინდელ თამაშში ქართველთა შემადგენლობა 7 წლის წინანდელზე სუსტი გახლდათ. ამ ექსპერიმენტულ კონტინგენტში ოთხ ფეხბურთელს დებიუტი (**მაკარიძე, დოლიძე, კვახაძე, დეკანოსიძე**) ჰქონდა, მთლიანობაში კი ნაკრებმა ექვსი ახალი წევრით (ზემოთ ჩამოთვლილ კვარტეტს პლუს **ყენია** და **ტატანაშვილი**) იასპარეზა.

მაკარიძე, ხიზანეიშვილი, ასათიანი, ა. კვახაძე (70. დ. ლომაია), დოლიძე (75. სალუქვაძე), კანკავა, ცქიტიშვილი (79. ბოლქვაძე), ყენია (60. დეკანოსიძე), კანდელაკი, ჯაკობია (62. მარცვალაძე), ტატანაშვილი.

რა შეიძლება ითქვას 12 სექტემბრის მატჩში ჩვენი ნაკრების თამაშზე? წაგვეყვანა ძლიერი შემადგენლობა **კალაძე, დემეტრაძე, იაშვილი, სირაძე, შაშიაშვილი** და ბაქოში თამაში მოგვეგოო. ასეც შეიძლებოდა გაკეთებულიყო, მაგრამ მედალს ხომ ორი მხარე აქვს, ისევ გაგრძელდებოდა სამართლიანი მოთხოვნა კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ ჩემპიონატში მოსასპარეზე გამორჩეული ფეხბურთელები ოდესმე ხომ უნდა გამოცადოსო...

ჩემი აზრით, სჯობდა ტოპმიოლერს ქართული კლუბებიდან ფეხბურთელები აქამდეც გამოეცადა. ვფიქრობ მწვრთნელს სურს ერთ პოზიციაზე ორი ფეხბურთელი ჰყავდეს, რათა ნაკრების სტაჟიანმა წევრებმა უფრო მეტად იგრძნონ კონკურენცია, დაინახონ, რომ სხვა ფეხბურთელებით მათი ჩანაცვლებაც შესაძლებელია. აკი თქვა კიდეც ბაქოური მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა – ახალწვეულების თამაშით კმაყოფილი ვარ, დღეს გამოჩნდა, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ ნაკრების სტაჟიან წევრებსო.

გარდა ამისა, ტოპმიოლერმა ბაქოში რამდენიმე სიახლე მოსინჯა. მაგალითად, **ლაშა სალუქვაძე** მარჯვენა ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებდა და გაჭირვების დროს შეუძლია ამ ადგილზე თამაში. ნაკრებმა სამი მცველით ითამაშა. ტრიოში ერთი დებიუტანტი იყო, ჯერ **ლექსო კვახაძე,** მერე კი მისი შემცვლელი **დავით ლომაია**. მწვრთნელი **გიორგი მაკარიძესაც** ენდო, რომელმაც, როგორც თავად გვითხრა, ბოლოს გაზაფხულზე ითამაშა კალენდარული მატჩი, ისიც "დინამო 2-ის" შემადგენლობაში. გუშინწინ ის თავდაჯერებულად გამოიყურებოდა ორი-სამი ეპიზოდის გარდა. სამი რთული ბურთი მოიგერია. იმ მიღებულ ბურთში კი მასთან ერთად მცველებიც შეცდნენ.

სამწუხაროდ უთამაშებლობა ეტყობოდა **ხიზანეიშვილსა და ჯაკობიას**. კარგი იყო **კანდელაკი, მარცვალაძე, კვახაძე, დოლიძე, ბოლქვაძე, ტატანაშვილი, დეკანოსიძე**. აღარაფერს ვამბობ **ასათიანსა** და **ცქიტიშვილზე,** რომელთა კლასი და გამოცდილება ნაკრებს უდავოდ სჭირდება. ცალკე სასაუბროა **ლევან ყენია**. მასში უდავოდ დიდი ტალანტია. მოედანზე ის მოურიდებელი, უშიშარია, არანაირი ფსიქოლოგიური წნეხი არ აქვს. მასში ბევრი ახალ **ქინქლაძეს** ხედავს, ბევრად უკეთესი მომავლით, მაგრამ შიშობენ "თავში არ აუვარდესო". თავად ყენია აცხადებს, რომ "არ აუვარდება".

ერთი სიტყვით, აზერბაიჯანთან ნათამაშები ფრით თვითკმაყოფილებას არ უნდა მივეცეთ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მატჩს თავისი დატვირთვა ჰქონდა და ვფიქრობ, კლაუს ტოპმიოლერმა ჩინებულადაც გამოიყენა ახალ ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად.

ელტონ ჯონი და ყურბანოვი

თბილისის დარად ბაქოშიც მასშტაბური მშენებლობებია გაჩაღებული. ნახევარი ქალაქი ხელახლა შენდება. ფასები თბილისურზე საშინლად მაღალია. 1 აზერბაიჯანული მანათი 2 ლარის ტოლფასია. იაფი მხოლოდ საკვებია, სხვა დანარჩენი კი ძვირი. საცხოვრებელ სახლებთან ერთად სასტუმროებიც ბევრი შენდება. სასტუმროს პერსონალის უმეტესობა მამაკაცია. ერთი გამეცნო კიდეც, **ელტონ ყურბანოვი** ვარ, ფეხბურთის დიდი ქომაგიო. სახელი და გვარი რომ მითხრა, ერთ-ერთ აზერბაიჯანულ ტელეარხზე ნანახი რეკლამა გამახსენდა – ბაქოს სექტემბრის ბოლო დეკადაში ცნობილი პოპვარსკვლავი **ელტონ ჯონი** ეწვევა.

ბაქოს თითქმის ყველა ქუჩაშია ქვეყნის ექსპრეზიდენტ **ჰეიდარ ალიევის** გიგანტური ლაითბოქსი. მაღაზიები სავსეა პროდუქტით, უცხოურიც მრავლადაა, მაგრამ ადგილობრივ წარმოებასაც დიდ ყურადღებას აქცევენ. სხვათა შორის ქართული ნაწარმიც ვნახე "ბორჯომი", "ნაბეღლავი", კომპანია "ყაზბეგის" პროდუქცია...

ბაქოში, ერთი გამვლელი გამომელაპარაკა. **შამო ჰუსეინოვი** ვარ, განჯის გუნდის ყოფილი ფეხბურთელი. ბადრი კვარაცხელიას კარგად ვიცნობ, **თენგიზ სულაქველიძე** სულაც ჩემი მეგობარია, ადრე, მცირე ხანს, ლანჩხუთის "გურიაში" ვთამაშობდი, ცხონებულ **დათო ყიფიანსაც** კარგად ვიცნობდი და წარსულში ცნობილ ბევრ ქართველ ფეხბურთელთან ახლაც ჩინებული ურთიერთობა მაკავშირებსო.

სხვათა შორის, ბაქოში "ტოფიკ ბახრამოვის" სტადიონზე, დაგვხვდა **ლევან ყიფიანი,** რომელიც, "ბაკის" კონსულტანტია და აზერბაიჯანულ ფეხბურთშია ჩაბმული. ჩვენს ნაკრებს ტრიბუნიდან ქომაგობდნენ **გიორგი ადამია, ალექსანდრე გოგობერიშვილი, რომან ახალკაცი, ამირან მუჯირი** და აზერბაიჯანულ კლუბებში მოასპარეზე სხვა ჩვენებურები.

ბაქო აფშერონის ნახევარკუნძულზეა გაშენებული. ქალაქის ცენტრი საკმაოდ ლამაზია. სანაპიროც კარგია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მთლიანობაში ქალაქს რაღაც მაინც აკლია. ალბათ მეტი გემოვნებით რომ იყოს ყველაფერი გაკეთებული, უკეთესი იქნებოდა.

აზერბაიჯანის დედაქალაქი რამდენიმე დღეში ჭიდაობის მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. ავტობუსებს სწორედ ამ ტურნირის რეკლამები ამშვენებს. ენის ცოდნა აუცილებელი არაა, რეკლამის დანახვისთანვე მიხვდებით, რომ ჭიდაობის მსოფლიო ჩემპიონატია.

ბაქოური ფრე მეცხრე ცაზე ვერ ავვაფრენს, მაგრამ მთავარია ამ სპარინგიდან სწორი დასკვნები გავაკეთოთ.

დავით ცაბაძე
ბაქო-თბილისი

P.S. მასალის ავტორი დიდ მადლობას უხდის აზერბაიჯანში საქართველოს სრულუფლებიან ელჩ ნიკა ნათბილაძეს განეული დახმარებისთვის.



ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები

ჩეხეთი ცალი ფეხით გასულია, ინგლისი ცოცხალია, სკოლარი ჯერ ჩხუბობს

ინგლისი-რუსეთი. ოუენმა ამ მატჩში დუბლი მიითვალა

ოთხშაბათის მატჩების შემდეგ საკვალიფიკაციო ეტაპის სასექტემბრო ციკლი დასრულდა. ჯერჯერობით, სიტუაციას მხოლოდ D ჯგუფში მოეფინა ნათელი. ჩეხეთის ნაკრებმა უშუალო მეტოქე ირლანდია პრაღაში დაამარცხა და დარჩენილ სამ შეხვედრაში, ფინალურ ეტაპზე გასასვლელად, ერთი მოგებაც ეყოფა. ახლა კი, მივყვეთ ჯგუფების მიხედვით...

A ჯგუფი

ფინეთი–პოლონეთი 0:0

ფინეთი: იაასკელაინენი, ჰიიპია, კუივასტო, პასანენი, ტიჰინენი, ერიომენკო, ჰეიკინენი (90. ვისი), კოლკა, სიოლუნდი, ტაინიო, იოჰანსონი (72. ფორსელი).

პოლონეთი: ბორუცი, დუდკა, გოლანსკი, იოპი, მიხ. ჟუვლაკოვი, ბლაშჩიკოვსკი, კრუნოვეკი, ლევანდოვსკი, სმოლიარეკი (80. ჟურავსკი), სობოლევსკი, რასიაკი (65. საგანოვსკი).

მაყურებელი: 34 088

წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე ანშლაგი იქნებოდა. აქ ეს იშვიათი შემთხვევაა, მით უმეტეს საფეხბურთო მატჩზე. მაგრამ ყველაზე დიდი სიურპრიზი ისაა, რომ ფინეთის ნაკრები შესარჩევი ციკლის ბოლომდე ინარჩუნებს ისტორიული წარმატების შანსს. ეს მძიმე ტვირთია "სუომის" ნაკრებისთვის, რომელიც მსგავს სიტუაციაში არასოდეს ყოფილა. ეტყობა, **როი ჰოჯსონის** შეგირდები თამაშის დასაწყისში ამიტომაც ნერვიულობდნენ. მატჩის ამ მონაკვეთში პოლონელებს ორი მომენტი შეექმნათ და ორივე შემთხვევაში **ლევანდოვსკიმ** ამოცანას თავი ვერ გაართვა. ნელ-ნელა ფინელები აზრზე მოვიდნენ და უკრაინული წარმოშობის **ერიომენკომ** სცადა თავისიანების დაწინაურება, და ასეც მოხდებოდა, რომ არა მეკარე **ბორუცის** თავგანწირული ნახტომი. სამ წუთში "სელტიკის" მეკარე კიდევ ერთხელ ჩაერთო თამაშში და უკვე **სიოლუნდის** დარტყმული გაანეიტრალა.

პოლონელებს მეორე ტაიმის დასაწყისშიც ჰქონდათ მომენტები, მაგრამ **სმოლიარეკმა** მეკარე **იაასკელაინენს** ორჯერ ვერ აჯობა. მერე ისევ მასპინძლებმა გამოიდეს თავი და ერიომენკომ ბურთი ძელს მოარტყა, ხოლო მოგვიანებით, მას პოლონელმა **საგანოვსკიმაც** მიბაძა. მატჩის მინურულს მეტოქეებმა რისკი აღარ გაწიეს და შეხვედრა მშვიდად მიიყვანეს ნულოვან ფრემდე. შექმნილი სიტუაციიდან, ეს შედეგი ორივე გუნდისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო.

პორტუგალია–სერბეთი 1:1

პორტუგალია: რიკარდო, ბრუნო ალვეში, ფერნანდო მეირა, პაულო ფერეირა, ჟოზე ბოსინგვა, დეკუ (77. ჟოაო მუტინიო), მანიშე (83. რაულ მეირელესი), პეტიტი, ნუნუ გომეში (65. კუარეშმა), კრისტიანო რონალდო, სიმაო.

სერბეთი: სტოიკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, ივანოვიჩი, რუკავინა, ტოშიჩი (61. ჟიგიჩი), ვიდიჩი, ნ. კოვაჩევიჩი, კრაშიჩი (61. პანტელიჩი), კუჟმანოვიჩი (71. დულიაი), სტანკოვიჩი, იოვანოვიჩი.

გოლები: 1:0 სიმაო (11), 1:1 ივანოვიჩი (88)

გაძევება: დრაგუტინოვიჩი (90. სერბეთი)

მაყურებელი: 50 000

ფრე ერეკვანში, ფრე პოლონეთთან საკუთარ მოედანზე და აი, კიდევ ერთი ფრე სერბეთთან, კიდევ ერთ საშინაო მატჩში. ამ სამ შეხვედრაში **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდს, რომელიც მეტოქეებს პოტენციალით აშკარად აღემატება, თავისუფლად შეეძლო მთავარი ამოცანის გადაჭრა და მთლად საგზურს თუ ვერ დაიბევებდა, ჯგუფის ლიდერი მაინც გამხდარიყო. არ გამოვიდა ეს საქმე და ახლა, პორტუგალიის ნაკრების ამოცანაა, როგორმე ორ ქულაზე მეტით აღარ ჩამორჩეს მეორეადგილოსან ფინეთს, რომელსაც შესარჩევი ციკლის ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე მასპინძლობს.

ერთი სიტყვით, სკოლარისა და მის სამწყსოს უკან დასახევი გზა აღარ აქვთ. ეტყობა, ამას მანამდეც აცნობიერებდნენ და ამიტომაც შესთავაზეს მეტოქეს მაღალი ტემპი. უკვე მე-11 წუთზე, ბალკანელებს თამაშის ცენტრიდან დაწყება მოუწიათ. **კრისტიანო რონალდოს** წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა **სიმაო საბროსას** ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა. ამის შემდეგ, პირენეელები ცოტათი დაწყნარდნენ და სერბებს იქვე მომენტი შეექმნათ. **პეტიტი** დროულად ჩაუწვა **კუჟმანოვიჩის** დარტყმულს, თორემ გოლი გარდაუვალი იქნებოდა.

თუმცა თამაშს ძირითადად მასპინძლები აკონტროლებდნენ, ბურთი იშვიათად სცილდებოდა სერბების ნახევარს. **ხავიერ კლემენტეს** გუნდს კიდევ მოუწია ნერვიულობა სამ ეპიზოდში, როცა ჯერ **ნუნუ გომეშის** დარტყმული მოხვდა ძელს, მერე კი კრისტიანომ ორი კარგი მომენტი გაანიავა.

მაგრამ სერბები კონტრთამაშზე უარს როდი ამბობდნენ. ერთ ეპიზოდში, **რიკარდო** გამოსვლაზე შეცდა, მაგრამ **კოვაჩევიჩს** სიზუსტემ უმტყუნა. გულახდილად რომ ვთქვათ, შეხვედრის მსვლელობითა და მთელი რიგი კომპონენტების მიხედვით, პორტუგალია მოგების ღირსი იყო, მაგრამ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ 1:0-ის შენარჩუნებაზე თამაში ძალიან სახიფათო რამაა. 86-ე წუთზე, **სტანკოვიჩის** ჯარიმის შემდეგ, მასპინძელთა საჯარიმოში პანიკა შეიქმნა, პორტუგალიელებმა ბურთი ვერ გამოიტანეს და **ივანოვიჩმა** უმალ იხეირა - 1:1. სხვათა შორის, ამ ეპიზოდში პორტუგალიელები თამაშგარეზე აპელირებდნენ, მაგრამ **მარკუს მერკმა** მათი პროტესტი ყურად არ იღო...

თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, დარჩენილ 5-6 წუთში ერთი გოლის გატანა შესაძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ სერბებს ცენტრალური მცველი **დრაგუტინოვიჩი** გაუძევეს... თუმცა საყაიმო ანგარიშის შენარჩუნება მაინც მოახერხეს. თამაშის მიწურულს მომხდარ ამბებზეც უნდა ვთქვათ. ბოლო წუთებში, ფეხბურთელები გამეტებით ურტყამდნენ ერთმანეთს ფეხებში და მერკს კიდევ შეეძლო მკაცრი ზომების გამოყენება, მაგრამ ეტყობა, სიტუაციის უფრო მეტად დაძაბვას მოერიდა. თუმცა არავის მოერიდა სკოლარი, რომელსაც გაძევებულ დრაგუტინოვიჩთან შეხლა-შემოხლა მოუვიდა. სერბები აცხადებენ, რომ პორტუგალიელთა მწვრთნელმა მათ ფეხბურთელს ხელი გაარტყა, სკოლარი კი თავს იმართლებს - ოდნავ შევეხე თმებზე, ეს იყო და ესო. თუ რა მოხდა რეალურად, ამას უეფა გაარკვევს.

ყაზახეთი–ბელგია 2:2

ყაზახეთი: ლორია, აზოვსკი (66. ლიაპკინი), ირისმეტოვი, კუჩმა, სმაკოვი, კარპოვიჩი, ლარინი (73. სუიუმაგამბეტოვი), სკორიხი, ჟუმასკალიევი, ბიაკოვი, ოსტაპენკო.

ბელგია: სტიინენი, ჰოფკენსი, კომპანი, სიმონსი, ვერმალენი, დეფური, ფელაინი, გერარტსი (77. ჰარუნი), გოორი (84. მ. მპენზა), დემბელე, მირალა (63. ვერტონგენი).

გოლები: 0:1 გერარტსი (13), 0:2 მირალა (24), 1:2 ბიაკოვი (39), 2:2 სმაკოვი (77-პენ)

მაყურებელი: 18 000

ეს იყო მატჩი, რომელიც ორი განსხვავებული ნაწილისგან შედგებოდა. თავიდან, ბელგიელები უფრო კონცენტრირებულნი იყვნენ და აკი ორი ბურთიც დაწინაურდნენ. მერე კი ყაზახებმა იძალეს, ღირსეული ბრძოლა გამართეს და ღირსეულ ფრესაც მიაღწიეს. თუმცა რას ძალევს ეს ფრე ან ერთ, ან მეორე გუნდს, ეს სხვა საკითხია. როგორც ჩანს, წმინდა სატურნირო მოტივაციის გარდა, არსებობს კიდევ რაღაც, სხვა მოტივაციაც. პრესტიჟს ვგულისხმობთ. აქედანაც გვმართებს ქართველებს მაგალითის აღება.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პოლონეთი	11	6	3	2	17-9	21
2. ფინეთი	11	5	4	2	11-6	19
3. პორტუგალია	10	4	5	1	19-9	17
4. სერბეთი	10	4	4	2	13-8	16
5. ბელგია	10	3	2	5	10-14	11
6. სომხეთი	8	2	2	4	4-8	8
7. ყაზახეთი	10	1	4	5	8-15	7
8. აზერბაიჯანი	8	1	2	5	4-17	5

13 ოქტომბერი, შაბათი
აზერბაიჯანი-პორტუგალია
ბელგია-ფინეთი
სომხეთი-სერბეთი
პოლონეთი-ყაზახეთი

C ჯგუფი

ნორვეგია–საბერძნეთი 2:2

ნორვეგია: ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ანდერსენი, პედერსენი, ი. რიისე, ბ. რიისე (90. კიპე), სოლი (70. ჰესტადი), სტორბეკი, კარიუ, ივერსენი (80. რიზეტი).

საბერძნეთი: ხალკიასი, დელასი, კირიაკოსი, პაცაცოგლუ, სეიტარიდისი (64. ანცასი), ბასინასი (76. სამარასი), კარაგუნისი, კაცურანისი, ტოროსიდისი, გეკასი, სალპინგიდისი (46. ლიბეროპულოსი).

გოლები: 0:1 კირიაკოსი (7), 1:1 კარიუ (15), 1:2 კირიაკოსი (30), 2:2 ი. რიისე (39)

მაყურებელი: 24 080

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ოტო რეჰაგელის** გუნდი ისევ ისეთი მებრძოლი და შეუპოვარია, როგორიც 3 წლის წინ, ევროპის ჩემპიონატზე იყო, ჩემპიონატზე, რომელიც ამ გუნდის სენსაციური გამარჯვებით დასრულდა. ბევრს ეგონა, რომ მიმდინარე შესარჩევში თურქეთთან მძიმე საშინაო მარცხის (1:4) შემდეგ, რეჰაგელი გადადგებოდა, საბერძნეთი კი სულაც ჯგუფში ჩარჩებოდა. მაგრამ მეფე-ოტომ შეძლო როგორც საკუთარი თავის, ისე შეგირდების მობილიზება და აი, ეს გუნდი კვლავ ჯგუფის ლიდერია.

ევროპის ჩემპიონები ორჯერ იგებდნენ და ორივეჯერ, ისინი ცენტრალურმა მცველმა **კირიაკოსმა** დააწინაურა. თუმცა სკანდინავიელები მალევე პასუხობდნენ სტუმართა გოლებს. პირველ შემთხვევაში, ეს ტანმაღალმა **კარიუმ** თავურით მოახერხა. დარჩა შთაბეჭდილება, რომ ნახტომის დროს მან მცველს ხელი უბიძგა, მაგრამ გამოცდილ არბიტრ **მასიმო ბუსაკას,** ბერძნებისგან განსხვავებით, სხვა შთაბეჭდილება შეექმნა და ხელი ცენტრისკენ გაიშვირა. სამაგიეროდ, ეჭვები არ ყოფილა **იონარნე რიისეს** გოლზე. ლივერპულელმა ბურთი საფირო შორეული დარტყმით გაგზავნა **ხალკიასის** კარში.

ეს ყველაფერი პირველ ტაიმში მოხდა. შეხვედრის დარჩენილი ნაწილი თანაბარ, პოზიციურ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა ამ ვითარებაშიც კი გამარჯვება უფრო რეჰაგელის გუნდს შეეძლო. მარტო ის რად ღირს, რომ **ლიბეროპულოსმა** ორჯერ შეაზანზარა ნორვეგიელთა კარის ძელი...

თურქეთი–უნგრეთი 3:0

თურქეთი: ჰაქან არიქანი, ჰამით ალთინთოფი, ემრე აშიქი, სერვეთი, აურელიო, გიოქდენიზი (61. ჰალილ ალთინთოფი), იბრაჰიმ უზულმეზი, აიჰანი (75. სერდარი), ნიჰათი (46. ემრე), თუნჯაი, გიოქჰანი.

უნგრეთი: ფულოპი (71. ბალოგი), ჩიჟმადია, იუჰაში, ჟელეში, ვანჩაკი, ვაშკო, ვასი, ჯუჯაკი (82. ჰალმოში), გერა, ჰაინალი, პრისკინი (66. ტოტი).

გოლები: 1:0 გიოქჰანი (68), 2:0 აურელიო (72), 3:0 ჰალილ ალთინთოფი (90)

გაძევება: გერა (63. უნგრეთი)

მაყურებელი: 28 020

თურქეთის ნაკრებმა მას შემდეგლა გამოიდო თავი, როცა უნგრელები 10 კაცით დარჩნენ. **ზოლტან გერა** მეორე ყვითელი ბარათისა და სიმულაციისთვის გააძევეს. **ფათიჰ თერიმის** გუნდისთვის ამ გამარჯვებას ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ წინა სამ მატჩში განიავებული ქულები, მათ შორის შაბათის სენსაციური ფრე (2:2) მალტასთან, ჩვენს მეზობელს შეიძლება მაინც ძვირად დაუჯდეს. ჯერჯერობით კი, მას და ნორვეგიას თანაბარი ქულები აქვთ, თუმც ამ უკანასკნელს ერთი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული. მაგრამ ნორვეგიელთა უპირატესობა იმაშია, რომ 17 ნოემბერს ისინი თურქებს ოსლოში ეთამაშებიან.

ბოსნია–მოლდოვა 0:1

ბოსნია: გუშო, ბაიჩი, ბერბეროვიჩი, ნადარევიჩი, რადელიჩი (46. იბიშევიჩი), მალეტიჩი (78. კუსტოვიჩი), რაჰიმიჩი, ზება (47. დამიანოვიჩი), ბლატნიაკი, ჯეკო, მუსლიმოვიჩი.

მოლდოვა: კალანჩეა, ეპურეანუ, გოლოვატენკო, ლაშჩენკოვი, რებეჟა, ბორდიანი, კომლენოკი (63. ნამასკო), კორნეენცოვი, გატკანი (85. იოსანი), ბუგაევი, დოროსი (73. როგაჩოვი).

გოლი: 0:1 ბუგაევი (22)

მაყურებელი: 4 000

მოლდოვის ნაკრების ფორვარდ **იგორ ბუგაევის** მიერ პირველ ტაიმში გატანილმა გოლმა, საბოლოოდ დაასამარა ბოსნიელთა საევროპო იმედი, რომლისაც, სამართლე ითქვას, მანამდეც ცოტას თუ სჯეროდა. ეს იყო მოლდოველთა პირველი გამარჯვება ამ შესარჩევ ციკლში და მეორე საგარეო წარმატება ამ ნაკრების ოფიციალურ შეხვედრათა ისტორიაში. ის თუ გახსოვთ, პირველი როდისღა იყო? მართალი ხართ, 1994 წლის 7 სექტემბერს, თბილისში...

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	8	6	1	1	14-7	19
2. ნორვეგია	9	5	2	2	20-8	17
3. თურქეთი	8	5	2	1	21-8	17
4. ბოსნია	9	4	1	4	14-16	13
5. უნგრეთი	9	3	0	6	8-17	9
6. მალტა	8	1	2	5	7-17	5
7. მოლდოვა	9	1	2	6	5-16	5

13 ოქტომბერი, შაბათი
მოლდოვა-თურქეთი
უნგრეთი-მალტა
საბერძნეთი-ბოსნია

D ჯგუფი

ჩეხეთი–ირლანდია 1:0

ჩეხეთი: ჩეხი, იანკულოვსკი, რ. კოვაჩი, როზენალი, უიფალუში, გალაშეკი (46. შივოკი), პლაშილი, პოლაკი, როსიცკი, ზიორკო (74. ვლჩეკი), ბაროში (89. იაროლიმი).

ირლანდია: გივენი, დანი, კელი, მაკშეინი, ო'ში (38. ჰანტი), კარსლი (82. კეოგი), კილბეინი, მაკგიდი (62. ლონგი), რიდი, დოილი, კინი.

გოლი: 1:0 იანკულოვსკი (15)

გაძევება: ჰანტი (61. ირლანდია)

მაყურებელი: 16 648

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩეხეთის ნაკრებმა თითქმის გაინაღდა სულ მცირე მეორე ადგილი და ბორტს მილმა დატოვა ირლანდია, რომელსაც ბოლო ნახევარსაათში კაცნაკლულს მოუწია თამაში. ცხადია, ამის შემდეგ **ჯონ სტონტონის** გუნდის შანსები კიდევ უფრო შემცირდა. ისე, **დოილის** ძალისხმევითაც სტუმრებს ორჯერ შეეძლოთ გოლის გატანა. განსაკუთრებით მწვავე იყო ეპიზოდი, როცა **კელიმ** უმალ ისარგებლა **ზიორკოს** შეცდომით და "რედინგის" ფორვარდი მეკარის პირისპირ დატოვა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა...

...მანამდე კი ჩეხებმა მძლავრად დაიწყეს თამაში და მალე წინაც გაიჭრნენ. მე-15 წუთზე, **იანკულოვსკიმ** სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშა **პლაშილთან,** გასცდა **დანს** და **გივენიც** უსაქმოდ დატოვა. ორივე ტაიმი ერთი და იმავე სცენარით წარიმართა - ბურთს ძირითადად ჩეხები აკონტროლებდნენ, ირლანდიელები კი მეტოქეს კონტრშეტევებით პასუხობდნენ, თუმც **ჩეხს** გადაუჭრელი პრობლემები არ ჰქონია. მასპინძელთაგან **როსიცკისა** და **ბაროშის** სანაქებო გარჯას გამოვყოფდით.

სლოვაკეთი–უელსი 2:5

სლოვაკეთი: შენეცკი, მ. ჩეხი, დურიცა, გრეშკო (64. ჟოფჩაკი), კლიმპლი, ჰამსიკი, მინტალი, პეტრაში, საპარა, ჰოლოშკო, შუშტაკი (46. ობჟერა).

უელსი: ჰენესი, ბეილი, კოლინზი, გაბიდონი, მორგანი, რიკეტსი, ს. დევისი, ლედლი (85. ვონი), რობინსონი, ბელამი, ისტვუდი (73. კ. ფლეტჩერი).

გოლები: 1:0 მინტალი (12), 1:1 ისტვუდი (22), 1:2 ბელამი (34), 1:3 ბელამი (41), 2:3 მინტალი (57), 2:4 დურიცა (78-საკ. კარში), 2:5 ს. დევისი (90)

მაყურებელი: 5 486

უელსის ნაკრებმა მთლად სრულფასოვანი რევანში ვერ აიღო სლოვაკეთთან ერთი წლის წინანდელი კარდიფუელი მარცხის (1:5) შემდეგ, მაგრამ რაც გააკეთა, ესეც უდავოდ იმსახურებს აპლოდისმენტებს. როგორც ხედავთ, ამ გუნდების ორ შეხვედრაში 13 (!) გოლი გავიდა. და საერთოდაც, ამ ჯგუფში ეს იშვიათი შემთხვევა არაა და ამიტომაცაა, რომ ხსენებული შვიდეული მთელ შესარჩევში ყველაზე შედეგიანია - 3.7 გოლი საშუალოდ ერთ თამაშში.

თამაშზე კი რა გითხრათ... ხაზი უნდა გავუსვათ **კრეიგ ბელამის** ფაქ-



სკოლარი უღირსად მოიქცა

ტორს. უელსის ნაკრების კაპიტანს გერმანიასთან წინა მატჩი შვილის დაბადების გამო გაუცდა, ოთხშაბათს კი ბედნიერი დაუბრუნდა ეროვნულ ნაკრებს და პირმშოს დუბლიც უძღვნა.

კვიპროსი–სან მარინო 3:0

კვიპროსი: გეორგალიდესი, ელია (76. ტეოდოტუ), ნიკოლაუ, ოკარიდესი, პარასკევასი, ალონეფტისი, ხარალამბუსი (65. გარპოცისი), მაკრიდისი, მიხალი, კონსტანტინუ, ოკასი (46. იასუმისი).

სან მარინო: ფ. ვალენტინი, ალბანი (81. ბენედეტინი), კ. ვალენტინი, ვანუჩი, ვიტაიოლი, ანდრეინი, ბოლინი, ბონინი (73. მარიოტი), ბული, მარანი (87. ნანი), სელვა.

გოლები: 1:0 მაკრიდისი (15), 2:0 ალონეფტისი (41), 3:0 ალონეფტისი (90)

მაყურებელი: 600

კვიპროსის ნაკრების ეს გამარჯვება მხოლოდ ერთი რამის გამოა მნიშვნელოვანი: აქამდე, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ კუნძულელთა ნაკრებს ერთ შესარჩევში ორი მატჩი მოეგოს დიდი ანგარიშით. პირველი იყო ერთი წლის წინათ, როცა კვიპროსელებმა საკუთარ მოედანზე ირლანდია 5:2 დაამარცხეს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გერმანია	8	7	1	0	31-4	22
2. ჩეხეთი	9	6	2	1	19-4	20
3. ირლანდია	9	4	2	3	14-11	14
4. სლოვაკეთი	9	3	1	5	20-20	10
5. უელსი	8	3	1	4	13-13	10
6. კვიპროსი	8	3	1	4	13-16	10
7. სან მარინო	9	0	0	9	1-43	0

13 ოქტომბერი, შაბათი
კვიპროსი-უელსი
ირლანდია-გერმანია
სლოვაკეთი-სან მარინო

E ჯგუფი

ინგლისი–რუსეთი 3:0

ინგლისი: რობინსონი, ე. კოული, ფერდინანდი, რიჩარდსი, ტერი, ბერი, ჯ. კოული (88. ფ. ნევილი), ჯერარდი, რაიტ-ფილიპსი, ჰესკი (80. კრაუჩი), ოუენი (90. დაუნინგი).

რუსეთი: მალაფეევი, ანიუკოვი (80. კერჟაკოვი), ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ბილიალეტდინოვი, სემშოვი (40. ბისტროვი), ჟირკოვი, ზურიანოვი, არშავინი, სიჩოვი (63. პავლიუჩენკო).

გოლები: 1:0 ოუენი (7), 2:0 ოუენი (31), 3:0 ფერდინანდი (84)

მაყურებელი: 86 106

"მანჩესტერ იუნაიტედმა" მისი შეძენა ვერ გარისკა, "ჩელსიმ" და "ლივერპულმაც" უარი თქვეს, "არსენალი" კი საერთოდ არ დაინტერესებულა. გრანდებისაგან განსხვავებით, ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობას **მაიკლ ოუენის** შესაძლებლობები ერთი წუთითაც არ შეპარვია ეჭვი. შაბათს "ნიუკასლის" თავდამსხმელმა ისრაელს ერთი გოლი გაუტანა, ოთხშაბათს რუსეთთან დუბლი შეასრულა და 85 საბანაკრებო შეხვედრაში 40 გოლს მოუყარა თავი. მას **ბობი ჩარლტონის** რეკორდისაგან 9 გოლიღა აშორებს. ოუენი ინგლისის ნაკრების ისტორიაში მეოთხე ფეხბურთელია, რომელმაც 40 გოლი შეაგდო. **ჯიმი გრივსმა** ეს 48 თამაშში მოახერხა, **გარი ლინეკერმა** - 65 თამაშში, ხოლო **ბობი ჩარლტონს** რეკორდის დასამყარებლად 73 მატჩი დასჭირდა.

ემილ ჰესკი კვლავ ერთ-ერთი საუკეთესო იყო. სეზონის დასაწყისში ვერავინ იფიქრებდა, რომ ვიგანელი თავდამსხმელი ნაკრებში **უეინ რუნის** ადგილს დაიჭერდა. ახლა კი ძნელი წარმოსადგენია, ორი შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ მას ეს ადგილი უბრძოლველად დაუთმოს. ისრაელისა და რუსეთის ნაკრებთა მცველებს მასთან გამკლავება ძალიან გაუჭირდათ. ბოლო ოთხ დღეში "უემბლი" ჰესკის მეორედ წამოუდგა ფეხზე და მეორედ გაუმართა ოვაციები.

ინგლისს ანგარიშის გასახსნელად მხოლოდ შვიდი წუთი დასჭირდა. საგოლე პასი **გარეთ ბერიმ** მიითვალა. რუსებმა მისი კუთხური მოიგერიეს, მაგრამ ბურთი ისევ "ასტონ ვილის" ნახევარმცველს მიუგორდა. ბერიმ, რა თქმა უნდა, ხელმეორედ ჩაკიდა საჯარიმოში. ბურთის დასაუფლებლად ინგლისელთა კაპიტანი **ჯონ-ტერი** ახტა. ტერისთან ერთად ახტა მეტოქის ორი მცველიც. ბურთი კი ყველას გადააფრინდა და უმეთვალყურეოდ დატოვებულ ოუენს კარიდან ათ იარდში მიუვიდა. "ნიუკასლის" ფორვარმა ის ერთი მოძრაობით გააჩერა, შემდეგ კი მარჯვენა დაბალ კუთხეში დასცხო, 1:0.

სამ წუთში **სტივ ჯერარდმა ემილ ჰესკი** ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. ვიგანელმა დაარტყა, მაგრამ რუსების მეკარე **ვიაჩესლავ მალაფეევს** ვერაფერი დააკლო. ოუენი მოგერიებული ბურთისაკენ გაეშურა, მაგრამ ფეხი გაუცურდა და ვერ დაამატა. საპასუხო იერიშისას რუსეთმაც გაიტანა, მაგრამ არბიტრმა **კონსტანტინ ზირიანოვზე** ხელით თამაში დააფიქსირა. ინგლისელები ანერვიულდნენ. მეტოქემ მათ კიდევ ერთხელ შეუტია. **პოლ რობინსონმა დინიარ ბილიალეტდინოვს** მარჯვენა კუთხეში აუღო.

ჰესკი სტუმართა საჯარიმოსთან უკლებლივ ყველა საჰაერო ორთაბრძოლას იგებდა. 31-ე წუთზე, როცა ოუენმა მეორე გოლი შეაგდო, საგოლე პასი ემილისაგან მიუვიდა. რუსი მცველები ამ ეპიზოდშიც შეცდნენ. ჰესკის პასისას ოუენი ისევ უმეთვალყურეოდ იყო დატოვებული. სტუმართა დაცვის ცენტრი მოშიშვლებული გახლდათ. მაიკლმა მეკარეს ერთი შეხებით ბურთი თავზე გადაუგდო, 2:0. ტრავმებით გამოწვეული ორწლიანი პაუზის შემდეგ ოუენმა ნაკრებში ოთხი მატჩი ჩაატარა და ოთხი გოლი შეაგდო. ის ინგლისელებისათვის შეუცვლელი თავდამსხმელია.

მასპინძლებმა მეორე ტაიმი პასიურად დაიწყეს. რუსებმა მათ კარს მხოლოდ ორჯერ შეუტიეს: პირველად ბურთმა ძელს ჩაუქროლა, მეორედ კი მეკარის საჯარიმოს გადააფრინდა. სტივ ჯერარდი დაუღლელად მუშაობდა, მაგრამ დარტყმები არ წაუვიდა. **ჯო კოულის** პასით "ლივერპულს" კაპიტანს თამაშის დამთავრება შეეძლო, მაგრამ ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, გოლი შეაგდო იმ ფეხბურთელმა, ვისგანაც ამას ნაკლებად ელოდნენ. **რიო ფერდინანდს** 61 სანაკრებო მატჩში მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გატანილი. 84-ე წუთზე მან ოუენის პასი მიიღო და დაბალ კუთხეში ძლიერად დაარტყა, 3:0. ამ გამარჯვების შემდეგ ინგლისის ბედი მისსავე ხელთაა. **სტივ მაკლარენის** შეგირდებს მეორე ადგილის დასაკავებლად შინ ესტონეთთან გამარჯვება, სტუმრად რუსეთთან და შინ ხორვატიასთან ორი ფრეც ჰყოფნით.

ნამატჩევს ინგლისელთა თავკაცი კმაყოფილებას ვერ მალავდა: *"რამდენიმე კვირის წინ ვთქვი, რომ მაიკლ ოუენის ჩამონერა ნაადრევია. მან სანაკრებო მატჩებში 4 გოლი გაიტანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოუენი გუნდისათვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. ამ წუთში მისი და ჰესკის დუეტი სრულიად მიმაჩნია. ემილს ნაკრებში სამი წელია, არ უთამაშია. ბევრს მის შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებოდა. ემილმა კი გამოცდა წარმატებით ჩააბარა... ამ თამაშებში ექვსი ქულის მოპოვება სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორი თამაშით მოვიპოვებდით მას, თუმცა ეს უსახური 1:0-ები ყოფილიყო. მაგრამ ისრაელთან და რუსეთთან ინგლისმა არა მხოლოდ საჭირო ქულები მოიხვეჭა, არამედ შთამბეჭდავი ფეხბურთიც აჩვენა, რაც მე არანაკლებ მახარებს."*

კითხვაზე, რას იზამს, როცა **რუნი, ბექჰემი, ლემპარდი, ნევილი** და **ჰარგრივსი** გამოჯანმრთელდებიან, მაკლარენმა მიუგო: *"მოდით, დღეს ამ გამარჯვებით ვისიამოვნოთ. ბოლო ათი დღის განმავლობაში გუნდში საუცხოო ატმოსფერო სუფევდა. ეს ატმოსფერო თამაშზეც აისახა. მარტო ემილისა და მაიკლის წარმატებას არ ვგულისხმობ. შესანიშნავად ითამაშა გარეთ ბერიმ, მიკა რიჩარდსმა და შონ რაიტ-ფილიპსმა, სტივ ჯერარდზე აღარაფერს ვამბობ. უთვალავი პოზიტიური მომენტი დავინახე, მაგრამ ღრუბლებში ფრენას არ ვაპირებ. წინ კიდევ სამი მატჩია. ვიცით, რომ უკეთ თამაშიც შეგვიძლია."*

გუუს ჰიდინკმა დიდი ანგარიშით წაგება მეტოქის მიმართ შიშით ახსნა: *"ინგლისმა კარგი გაკვეთილი ჩაგვიტარა. ვეცადეთ, სანახაობრივი ფეხბურთი გვეთამაშა, თუმცა ანგარიში ზუსტად ასახავს სხვაობას, რომელიც ინგლისისა და რუსეთის ნაკრებებს შორის არსებობს. მონინააღმდეგემ ენერგია რაციონალურად დახარჯა და ყველა მომენტი გამოიყენა. სამწუხაროა, რომ გოლი არ ჩაგვითვალეს. იმ ეპიზოდში მეტოქეს ვჯობდით. 1:1 რომ გამხდარიყო, წარმატების კარგი შანსი გვექნებოდა. ახლა ვალდებულნი ვართ, მოსკოვში მოვიგოთ. შინ ყოველთვის უკეთ ვთამაშობთ ხოლმე. ინგლისი გვისწრებს, მაგრამ შანსი კიდევ გვაქვს."*

აქვე გეტყვით, რომ "ჩელსის" ბოსმა **რომან აბრამოვიჩმა** კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, თითქოს გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთის ნაკრების თითოეული ფეხბურთელისათვის 60 ათასი ევროს გადახდას აპირებდა. ეს ინფორმაცია ბრიტანულმა სააგენტოებმა თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე გაავრცელეს. აბრამოვიჩი რუსეთის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი სპონსორია. ნაკრების ლონდონში ცხოვრების ხარჯებიც მან აანაზღაურა, მაგრამ პრემიას არავის შეპირებია. რუსი ოლიგარქის წარმომადგენელმა ოფიციალური განცხადება "ჩელსის" ოფიციალურ ვებგვერდზე გააკეთა...

ესპანეთი-ლატვია. ტორესის გოლი ლატვიელთა კარში

E ჯგუფის ლიდერმა ხორვატიამ ანდორასთან დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვა. **სლავენ ბილიჩის** შეგირდებმა ექვსი უპასუხო გოლი გაიტანეს. ცხრა თამაშის შემდეგ ხორვატებს 23 ქულა დაუგროვდათ. ისინი მდევარ ინგლისს სამი ქულით უსწრებენ. მესამე შეხვედრაში ესტონეთმა მაკედონიას არაფერი დაუთმო, 1:1. ეს გუნდები ჯგუფის აუტსაიდერები არიან.

ანდორა–ხორვატია 0:6

ანდორა: ალვარესი, ჩემა გარსია, ლიმა, სონეხე, აიალა, ხენის გარსია, ხიმენესი, რუისი (82. სომოსა), სივერა (58. ანდორა), სილვა (57. მორენო), ვიეირა.

ხორვატია: რუნიე, კორლუკა, კნეჟევიჩი, რ. კოვაჩი, ბაბიჩი, კრანჩარი, ი. ლეკო, მოდრიჩი (46. ბალაბანი), სრნა, ედუარდო (63. რაკიტიჩი), პეტრიჩი (46. პრანიჩი).

გოლები: 0:1 სრნა (34), 0:2 პეტრიჩი (38), 0:3 პეტრიჩი (44), 0:4 კრანჩარი (49), 0:5 ედუარდო (55), 0:6 რაკიტიჩი (64)

გაძევება: ხენის გარსია (77. ანდორა)

მაყურებელი: 200

ორი მატჩის ჯამში ხორვატებმა ჯუჯა ანდორას 13 უპასუხო გოლი გაუტანეს, აქედან, 6 **მლადენ პეტრიჩის** ანგარიშზეა, რომელმაც ამ გუნდების პირველ მატჩში პოკერი შეასრულა. მოკლედ, **სლავენ ბილიჩის** გუნდი ჯგუფის უპირობო ლიდერია და ძნელი დასაჯერებელია, რომ ფინალური ეტაპის საგზური სათუოდ გაუხდეს.

მაკედონია–ესტონეთი 1:1

მაკედონია: მილოშევსკი, ლაზარევსკი, ნოვესკი, სედლოსკი, ვასოვსკი, გროზდანოვსკი, მაზნოვი, სუმულიკოსკი, ტრაიანოვი (46. პოლოჟანი), სტოიკოვი (81. ტოლესკი), ტასევსკი.

ესტონეთი: ლონდაკი, იაადერი, კრუგლოვი, პიიროია, სტეპანოვი, დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერი, რანი (62. რეიმი), ოპერი (90. ანისტე), სააგი (79. კინკი).

გოლები: 0:1 პიიროია (17), 1:1 მაზნოვი (30)

მაყურებელი: 5 000

ეტყობა, მაკედონიელებმა ჩათვალეს, რომ ესტონეთი იოლი საკბილო იყო და თამაშს, ცოტა არ იყოს, აგდებულად მოეკიდნენ. **სრეჩკო კატანეცის** ბიჭებს დიდაც არც მაშინ შეუბერტყავთ ყურები, როცა მე-17 წუთზე **პიიროიას** ძლიერმა დარტყმამ მიზანს უწია. მართალია, **ტასევსკის** პასით **მაზნოვმა** მალევე აღადგინა წონასწორობა, მაგრამ ფეხბურთის თამაში, რასაც ჰქვია, მასპინძლებმა მხოლოდ მეორე ტაიმის შუაწელიდან დაიწყეს. თუმცა საფინალო სასტვენამდე დარჩენილი დრო, მთელი გუნდით დაცვაში ჩამჯდარი ბალტიისპირელების გასატეხად, საკმარისი არ აღმოჩნდა.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ხორვატია	9	7	2	0	24-4	23
2. ინგლისი	9	6	2	1	18-2	20
3. რუსეთი	9	5	3	1	14-4	18
4. ისრაელი	9	5	2	2	17-10	17
5. მაკედონია	9	2	2	5	7-11	8
6. ესტონეთი	10	1	1	8	3-18	4
7. ანდორა	9	0	0	9	2-36	0

13 ოქტომბერი, შაბათი
ინგლისი-ესტონეთი

F ჯგუფი

ესპანეთი–ლატვია 2:0

ესპანეთი: კასილიასი, ხუანიტო, კარლოს მარჩენა, პერნია, სერხიო რამოსი, ალბელდა, ხოაკინი (78. ანგულო), დავიდ სილვა (69. ფაბრეგასი), ჩაბი, ფერნანდო ტორესი, ვილია (50. ინიესტა).

ლატვია: ვანინსი, გორკასი, ივანოვსი, კლავა, ურონისი, ასტაფიევსი, ბლეიდელისი (75. ვიშნაკოვსი), ლაიზანსი, რუბინსი, კარლსონსი (64. პაჰარსი), ვერპაკოვსკისი (90. ბლანკსი).

გოლები: 1:0 ჩაბი (13), 2:0 ფერნანდო ტორესი (85)

მაყურებელი: 25 000

ისლანდიაში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ ესპანეთის ნაკრებს რეაბილიტაციისთვის კარგი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ "სელექსიონმა" ლატვიის ეროვნულ გუნდთან იმდენად ცუდად ითამაშა, რომ გულშემატკივრები და მასმედიელები კიდევ უფრო აღაშფოთა. ეს შეხვედრა ოვიედოში **ლუის არაგონესის** კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე ჩატარდა. წესით, ესპანელებს ლატვიისთვის სხვა ქალაქში უნდა შეეტიათ, მაგრამ მთავარმა მწვრთნელმა თავისი გაიტანა და საკვალიფიკაციო დაპირისპირებას სწორედ ასტურიის დედაქალაქმა უმასპინძლა. წესით, ქომაგები მადლიერები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ თამაშის შემხედვარეებმა სენიორ არაგონესი სტვენით აიკლეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებას მოლოდინი პირწმინდად გაუცრუვდა. აღფრთოვანებით მხოლოდ **ინიესტას** ინდივიდუალიზმზე თუ შეიძლება საუბარი, თუმცა დაგვეთანხმებით, გუნდი ერთ ფეხბურთელზე გაცილებით მეტი უნდა იყოს. აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ პირნელები კლასით მათზე გაცილებით დაბალი დონის მეტოქეს ეთამაშებოდნენ და უბრალოდ ვალდებულები იყვნენ, დამაჯერებელი ანგარიშითა და ლამაზი ფეხბურთით მოეგოთ. მოკლედ, ასე არ მოხდა. მასპინძლებმა სამ ქულას დიდი წვალებით მოუყარეს თავი...

მრავალი პრობლემის მიუხედავად, შეხვედრის მსვლელობას "სელექსიონის" გამარჯვება ეჭვ ქვეშ არ დაუყენებია. საამისო მიზეზი ლატვიელთა სისუსტე გახლდათ. წარმოუდგენელი იყო, არაგონესის ბიჭებს არ მოეგოთ, თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ესპანელებმა მაღალი დონის ფეხბურთი ვერ აჩვენეს. მათ საკმაოდ გაუმართლათ, რადგან ანგარიში მალევე გაიხსნა. **ჩავი ერნანდესმა ხოაკინის** კარგი პასი მიიღო და ზუსტად დაარტყა. წესით, სწრაფ გოლს შეტევების კასკადი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მასპინძლებმა სტუმრების შეწუხება აღარ ისურვეს და საკუთარი ნებით ოდნავ უკან დაიხიეს. ამის შემდეგ თამაში მოედნის ცენტრში გაჩაღდა. ესპანელები მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ახერხებდნენ მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტების შექმნას. ერთ-ერთი ასეთი მომენტი **დავიდ ვილიას** ჰქონდა, მაგრამ ვალენსიელის თავურმა მიზანს ვერ მიაღწია.

შესვენების შემდეგ სიტუაცია ოდნავადაც არ შეცვლილა. შემადგენლობის თვალსაზრისით შეუდარებლად ძლიერი "სელექსიონი" ღირებულს ვერაფერს აკეთებდა. არაგონესს იმის ნაცვლად, რომ შეტევა გაეძლიერებინა, 48-ე წუთზე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დავიდ ვილია შეცვალა. მართალია, მის ნაცვლად შესული ინიესტა თამაშში ფანტასტიკურად ჩაერთო, მაგრამ სენიორ ლუისს ყველა შესაძლებლობა ჰქონდა იმისთვის, რომ ბარსელონელი რომელიმე სხვა ფეხბურთელის ნაცვლად გაეყვანა... მაგრამ მან მაინც და მაინც ვილია დაასვენა. ალბათ, ამის ბრალი იყო, რომ ეულად დარჩენილი **ფერნანდო ტორესი** სერიოზულ სირთულეებს გადაეყარა. შეხვედრის მიწურულს, "ელ ნინიომ" მაინც შეძლო გოლის გატანა. ლივერპულის ფორვარდმა შეცვლაზეშესულ **მიგელ ანხელ ანგულოსთან** კედელი გაითამაშა, მცველების შეცდომით ისარგებლა და ანგარიში ორამდე გაზარდა.

საცოდავი სანახაობით გაწიწმატებული ესპანელი ჟურნალისტები მატჩისშემდგომი პრესკონფერენციის დაწყებას მოუთმენლად ელოდნენ. ერთი სული ჰქონდათ, არაგონესს კედელთან როდის მიაყენებდნენ, მაგრამ მასმედიელები პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ. ეროვნული გუნდის თავკაცმა ჟურნალისტებთან შეხვედრა არ ისურვა. პრესკონფერენციაზე გამოუცხადებლობა ფიფასა და უეფას რეგლამენტით ფულადი ჯარიმით ისჯება. როგორც ჩანს, არაგონესს ჟურნალისტების აგრესიის მოგერიების ფულის გადახდა ბევრად ერჩინა. ჩვენი კოლეგები იმის იმედადღა იყვნენ, რომ სასურველ რესპოდენტს ოვიედოდან მადრიდში დაბრუნებისას მაინც გამოიჭერდნენ, მაგრამ ეს იმედიც არ გამართლდა. არაგონესმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და ქვეყნის დედაქალაქში გუნდთან ერთად არ დაბრუნდა. სტადიონი მან უკანა გასასვლელიდან დატოვა და მადრიდს მანქანით გაემგზავრა. ჟურნალისტებმა მეტი ვეღარ მოითმინეს და არაგონესს კრიტიკის არნახული ქარ-ცეცხლი დაატეხეს თავს. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ასეთი ლანძღვა-გინება "სელექსიონის" არც ერთ მთავარ მწვრთნელს ჰქონია.

მოგვიანებით, ჭორი გავრცელდა, ლუის არაგონესმა თანამდებობა ნებაყოფლობით დატოვაო...

მე-8 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები

მე-7 გვერდიდან

...თუმცა ფეხბურთის სამეფო ფედერაციის პრესმდივანმა **პალომა ანტოლანმა** გავრცელებული ხმები კატეგორიულად უარყო: *"არაგონესი არ გადამდგარა. მსგავსი რამ მას არავისთვის უთქვამს. სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ მთავარი მწვრთნელის შეცვლის საკითხი არ განიხილება. ფედერაცია მოპოვებული გამარჯვებით კმაყოფილია."*

მადრიდული გაზეთები ისე როგორ გაჩერდებოდნენ, რომ არაგონესისთვის მტკივნეული დარტყმა არ მიეყენებინათ. "დიარიო ასმა" და "დიარიო მარკამ" საკუთარი ვებგვერდების საშუალებით გულშემატკივართა გამოკითხვა მოაწყვეს. გაირკვა, რომ ინჩაების 99 პროცენტს ლუის არაგონესის სახელის გაგონებაც კი აღარ სურს. ასიათასობით ქომაგი ასაკოვანი სპეციალისტის სასწრაფოდ გადაყენებას ითხოვს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ფედერაცია საზოგადოების ასეთ ზეწოლას ვერ გაუძლებს და უახლოეს მომავალში მწვრთნელს თანამდებობას დაატოვებინებს. ასე რომ, გამორიცხული არ არის, დანიის ნაკრებთან მომდევნო ტურის შეხვედრაში "სელექსიონს" სხვა სპეციალისტი გაუძღვეს.

დანია–ლიხტენშტაინი 4:0

დანია: სიორენსენი, აგერი (28. გრავგაარდი), ჰელვეგი, ნ. იენსენი, ლაურსენი, ანდრეასენი, გრონკიაერი (46. კალენბერგი), ჰანსენი, ნორდსტრანდი, რომედალი, ტომასონი (68. ლოვენკრანდსი).

ლიხტენშტაინი: იელე, ოერი (46. დ. ფრიკი), რიტცბერგერი (46. ტ. ბეკი), მარ. შტოკლასა, ტელსერი, ბუხელი, ბურგმაიერი, დ'ელია, პოლვერინო, რორერი, მ. ფრიკი (84. რ. ბეკი).

გოლები: 1:0 ნორდსტრანდი (3), 2:0 ლაურსენი (12), 3:0 ტომასონი (18), 4:0 ნორდსტრანდი (36)

მაყურებელი: 20 005

შეხვედრა მოსალოდნელი შედეგით დასრულდა. სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ სკანდინავიელებს საშინაო შეხვედრაში თუნდაც ორი ქულა დაეკარგათ. მასპინძლები პირველიდან ბოლო წუთამდე უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ დანიამ ანგარიში ძალიან მალე გახსნა. მე-3 წუთზე **ნორსტრანდმა** სტუმართა დარბევას სათავე დაუდო. პირველ ტაიმში ლიხტენშტაინმა კიდევ სამი გოლი მიიღო. აქედან გამომდინარე, მეორე ნახევარს ყოველგვარი აზრი დაეკარგა. გამარჯვების მიუხედავად, დანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გასვლა ძალიან გაუჭირდება.

ისლანდია–ჩრ. ირლანდია 2:1

ისლანდია: ა. არასონი, ჰრეიდარსონი, ინგიმარსონი, კ. სიგურდსონი, რ. სიგურდსონი, სტეინსონი, ვიდარსონი, არნასონი (88. ასგეირსონი), ჰალფრედსონი, ბიორნსონი (53. ე. გუდიონსენი), ტორვალდსონი (79. სკულასონი).

ჩრ.ირლანდია: ტეილორი, ბერდი, დაფი, ევანსი, მაკარტნი, ბრუნტი (83. ჯონსი), კლინგენი, ს. დევისი (79. მაკკანი), გილესპი, ფინი, ჰილი.

გოლები: 1:0 ბიორნსონი (6), 1:1 ჰილი (72-პენ), 2:1 გილესპი (90-საკ. კარში)

მაყურებელი: 2 500

ისლანდიის ნაკრებმა ესპანეთს ჩინებული საჩუქარი გაუკეთა. მასპინძლებმა მთელი შეხვედრა მაღალ ტემში ჩაატარეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ გამარჯვებას მათ ფორტუნის წყალობით მიაღწიეს. საქმე ის არის, რომ საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე **გილესპიმ** საკუთარი კარი დალაშქრა და ჩრდილოეთირლანდიელები გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. ბრიტანელებმა რეიკიავიკში სამი ქულის დაკარგვით, ევრო 2008-ზე თამაშის შანსები მნიშვნელოვნად გაიუარესეს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შვედეთი	8	6	1	1	17-4	19
2. ესპანეთი	9	6	1	2	16-7	19
3. ჩრ. ირლანდია	9	5	1	3	14-11	16
4. დანია	8	4	2	2	13-5	14
5. ისლანდია	9	2	2	5	8-17	8
6. ლატვია	8	2	0	6	5-9	6
7. ლიხტენშტაინი	9	1	1	7	5-25	4

13 ოქტომბერი, შაბათი
დანია–ესპანეთი
ლიხტენშტაინი–შვედეთი
ისლანდია–ლატვია

G ჯგუფი

ალბანეთი–პოლანდია 0:1

ალბანეთი: ბეკაი, კური, დალკუ, დედე, ვანგელი, კანა, დურო (69. ჰაჯი), ლალა, მუკა, ბოგდანი (83. ბულკუ), კაპლანი (46. ბუში).

ჰოლანდია: ვან დერ სარი, ბუმა, მატიისენი, მელხიოტი, ოოიერი, ვან ბრონკჰორსტი (80. ემანუელსონი), დე ზეუვი (49. ვან დერ ვაარტი), სნეიდერი, ბაბელი, ვან ნისტელროი, ვან პერსი.

გოლი: 0:1 ვან ნისტელროი (90)

გაძევება: კანა (87. ალბანეთი)

მაყურებელი: 19 600

ჰოლანდიის ნაკრებმა ტირანაში ბეწვის ხიდზე გაიარა. შეიძლება, **მარკო ვან ბასტენი** ძლიერ ნანობს, რომ მუნდიალის შემდეგ **ვან ნისტელროის** ეროვნულ გუნდში აღარ იძახებდა. ბოლო ორ შესარჩევ მატჩში "რეალის" ფორვარდმა უმნიშვნელოვანესი გოლები გაიტანა და ვინ იცის, მწვრთნელს მისი არსებობა რომ არ დაევიწყებინა, იქნებ, ჰოლანდიელებს ის 4 ქულაც არ დაეკარგათ. თუმცა ახლა გვიანია ამაზე ლაპარაკი.

ტირანაში მატჩი "ტიტების" იერიშებით დაიწყო და დასაწყისშივე იმავე ვან ნისტელროისა და მის მადრიდელ თანაკლუბელ **სნეიდერს** შეეძლოთ თავის გამოჩენა. მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, თითქოს ალბანელები პასიურობდნენ. უკვე მე-7 წუთზე ჰოლანდიურმა დაცვამ **კაპლანის** მეტად სახიფათო თავურის ბლოკირება მოახერხა. მერე ისევ ვან ნისტელროის შეეძლო გატანა, მაგრამ მასპინძელთა კიპერმა ურთულესი დარტყმის მოგერიება მოახერხა.

მეორე ნახევრის სტარტი კი აშკარად ალბანელებისა იყო. ჩანს, რომ ამ გუნდს ეტყობა გამოცდილი **ოტო ბარიჩის** ხელი. გამოვარჩევდით **ბოგდანის** შორეულ დარტყმას, რომელიც ძლივძლივობით მოიგერია **ვან დერ სარმა**. მერე, ის კიდევ ერთხელ ჩაერთო თამაშში და ამჯერზე **კანას** მიერ ახლოდან დარტყმული გაანეიტრალა. უსაქმოდ არც ვან დერ სარის კოლეგა ყოფილა. თავის მხრივ, **ბეკაიმ** სნეიდერისა და **ვან პერსის** მომენტები განმუხტა...

ალბათ, გადამწყვეტი იყო 87-ე წუთი, როცა კანას გაძევების გამო მასპინძლები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ. ალბანელებმა ვერ მოასწრეს ძალების გადაჯგუფება და შეცვლაზე შესული **ემანუელსონის** ჩაწოდებით ვან ნისტელროიმ გამარჯვებისა დასცხო.

ბულგარეთი–ლუქსემბურგი 3:0

ბულგარეთი: პეტკოვი, ანგელოვი, პოპოვი (74. კუშევი), ტომაშიჩი, ტუნჩევი, ზანევი, დიმიტროვი, კიშიშევი, ს. პეტროვი (60. იანკოვი), ბერბატოვი, მ. პეტროვი (66. იოვოვი).

ლუქსემბურგი: ჟუბერი, ბიგარდი, ჰოფმანი, კინტციგერი, პაიფერი (46. კოლეტი), შტრასერი, ბეტმერი (83. და მოტა ალვეში), მუტში, პეტერსი, რემი, ჰუსი (46. ჰეიალი).

გოლები: 1:0 ბერბატოვი (27), 2:0 ბერბატოვი (28), 3:0 მ. პეტროვი (54-პენ)

მაყურებელი: 8 000

ლუქსემბურგელებმა მადლობა უნდა უთხრან მეკარე **ჟუბერს**, რომ მხოლოდ სამბურთიანი სხვაობით დამარცხდნენ. ამავე დროს, ბულგარელ ფორვარდებს ცოტა მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ანგარიში გაცილებით გამანადგურებელი იქნებოდა, ტოტენჰემელ **ბერბატოვს** კი სულაც პოკერის შესრულება შეეძლო.

სლოვენია–ბელარუსი 1:0

სლოვენია: ჰანდაროვიჩი, ჩიპოტი, ილიჩი (82. ბრეჩკო), იოკიჩი, მორეცი, კირმი, კორენი, სტევანოვიჩი (75. ჟინკო), ბირსა (66. ვრშიჩი), ლავრიჩი, ნოვაკოვიჩი.

ბელარუსი: გაევი, ჟლასკონი, რადკოვი, ტიგორევი, გლები, კალაჩევი, კორიტკო (90. კაშევსკი), რომაშჩენკო, სტასევიჩი, ბლიზნიუკი (74. ფილიპენკო), კორნილენკო (46. როდიონოვი).

გოლი: 1:0 ლავრიჩი (3-პენ)

გაძევება: რადკოვი (70. ბელარუსი)

მაყურებელი: 4 000

სლოვენიის ნაკრებმა გამარჯვება **ლავრიჩის** ადრეული პენალტის ხარჯზე მოიპოვა. ვიდრე **რადკოვს** გააძევებდნენ, ბელარუსები მასპინძლებს სჯობდნენ და არა თუ ანგარიშის გათანაბრება, დაწინაურებაც შეეძლოთ. მას შემდეგ კი, რაც სტუმრები უმცირესობაში დარჩნენ, უკვე **ნოვაკოვიჩს** ჰქონდა შანსი, უფრო სოლიდური სხვაობა დაეფიქსირებინა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რუმინეთი	8	6	2	0	17-5	20
2. ჰოლანდია	8	6	2	0	11-2	20
3. ბულგარეთი	9	5	3	1	14-6	18
4. სლოვენია	9	3	1	5	9-12	10
5. ალბანეთი	8	2	3	3	8-7	10
6. ბელარუსი	9	2	1	6	11-19	7
7. ლუქსემბურგი	9	0	0	9	1-20	0

13 ოქტომბერი, შაბათი
რუმინეთი–ჰოლანდია
ბელარუსი–ლუქსემბურგი
სლოვენია–ალბანეთი

ამხანაგური მატჩები

კაკამ ისევ გაიბრწყინა

უგო სანჩესი ბოსტონში იყო, მაგრამ თავი ბრაზილიაში ეგონა

ბრაზილია–მექსიკა 3:1

მართალია, ამხანაგური თამაში იყო, მაგრამ ბრაზილიელებს ისე ძაფად უნდოდათ მოგება, თითქოს მექსიკასთან გამარჯვება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყოფილიყოს. ფოქსბოროს (ბოსტონი) "ჯილეტ სთედიუმი" პირთამდე გაივსო. 67 584 მაყურებლის უმრავლესობა ბრაზილიის ყვითელ და მწვანე ფერებში იყო გამოწყობილი. ეს ორივე გუნდისათვის სიურპრიზი აღმოჩნდა, **კარლოს დუნგასათვის** სასიამოვნო სიურპრიზი: *"ვამაყობ, რომ ამდენმა ადამიანმა დაგვაფასა. ორმაგად მიხარია, რომ მოვიგეთ."* მისი ვიზავი **უგო სანჩესი** ჟურნალისტებს გამოუტყდა, თავი ბრაზილიაში მეგონაო. პენტაკამპეონებმა 3:1 გაიმარჯვეს. ეს მათი გენერალური რეპეტიცია იყო მუნდიალის შესარჩევი ტურნირის წინ. სამხრეთი ამერიკის ზონაში საკვალიფიკაციო მატჩები ოქტომბერში დაიწყება.

კაკას გოლმა მექსიკა წელში გატეხა

ბრაზილიამ თამაშის დასაწყისშივე რამდენიმე მომენტი შექმნა. ფეხბურთელები დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. 43-ე წუთზე მექსიკამ კონტრერიერში წამოიწყო. მეტოქის მცველებმა დაუდევრად ითამაშეს. ამიტომ **ანდრეს გუარდადომ** ბურთი მეკარის საჯარიმოსთან მიიღო. **ჟულიო სეზარი** კარიდან გამოვიდა. გუარდადომ ბურთი **ხუან კარლოს კაჩოს** გადააწოდა, რომელიც ცარიელი კარის წინ უმეთვალყურეოდ იყო დატოვებული. კაჩომ აუღელვებლად გაიტანა. მექსიკელებს ზეიმი დასრულებული არ ჰქონდათ, როცა ანგარიში გათანაბრდა. **რონალდინიომ** კუთხური ახლო ძელთან ჩაანოდა. **კლებერმა** ბურთს უხერხულად მიჰკრა ფეხი. მას ფაქტობრივად არცკი დაურტყამს, მაგრამ გოლი გაიტანა. სტადიონს გამაყრუებელმა ყიჟინამ გადაურა. ნამატჩევს უგო სანჩესი იტყვის, უფრო სამართლიანი იქნებოდა, შესვენებაზე ერთბურთიანი უპირატესობით გავსულიყავითო.

მეორე ტაიმში ბრაზილიას ინიციატივა აღარ დაუთმია. მექსიკელები მეკარე **გილერმო ოჩოას** უნდა უმადლოდნენ, ანგარიში თავიდანვე რომ არ გაიზარდა. გუნდები უშელავათოდ თამაშობდნენ. ფეხბურთელები უხეშობასაც არ ერიდებოდნენ. 81-ე წუთზე **ელანო ბლუმერს** მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალეს. მან **ნერარდო ტორადოს** კინაღამ ფეხი მოატეხა. ინციდენტამდე ერთი წუთით ადრე **კაკამ** ბრაზილიელები წინ გაიყვანა. მან ბარსელონელი **რაფა მარკესის** შეცდომით ისარგებლა. მარკესმა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ვერ მოიგერია. მილანელი მას კარიდან რვა იარდში დაეუფლა და ახლო კუთხეში შეაგდო, 2:1. დუნგამ კაკა უკანდახეულ თავდამსხმელად გაამწესა. ფეხბურთელმა უზარმაზარი მოცულობის სამუშაო გასწია - გოლიც გაიტანა და მოედნის ცენტრშიც დომინირებდა. 86-ე წუთზე ჰერენვეელმა თავდამსხმელმა **აფონსო ალვეშმა** თამაშის წერტილი დაუსვა. მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე ბრაზილიელებს კიდევ ერთი წითელი ბარათი აუფრიალეს - ტრიბუნისაკენ მიუთითეს კარლოს დუნგას.

თამაშის შემდეგ ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. დუნგა: *"კაკამ შესანიშნავად ითამაშა. ამხანაგური მატჩები ექსპერიმენტების საშუალებას იძლევა. დღესაც შევეცადე, რამდენიმე ფეხბურთელი მათთვის უჩვეულო პოზიციაზე გამომეცადა. ექსპერიმენტებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ისიც ნათელია, რომ რამდენიმე ელემენტის დახვეწა გვმართებს."* უგო სანჩესი: *"მეორე გოლის შემდეგ იძულებულნი გავხდით, წინ წავსულიყავით. დაცვაში ყურადღება მოვადუნეთ, რითაც მეტოქემ მაშინვე ისარგებლა. ბრაზილიასთან თამაში ყოველთვის სასარგებლოა. დიდი ფეხბურთელებისაგან უთვალავი სასარგებლო რამის სწავლა შეიძლება."*

პოლდი დაბრუნდა და გაიცხანა

ოდონკორმა პირველი სანაკრებო გოლი შეაგდო

გერმანია–რუმინეთი 3:1

გერმანელებმა რუმინეთს კიოლნში უმასპინძლეს. ადვილი წარმოსადგენია, რა რეაქცია მოჰყვებოდა **ლუკას პოდოლსკის** გოლს. კიოლნელებს "პრინცი პოლდი" ძველებურად უყვართ. მერე რა, რომ მათი ფავორიტი მიუნხენის "ბაიერნის" წევრია. 22 წლის პოდოლსკიმ მუხლის ტრავმა ათი დღის წინ მოიშუშა. შაბათს, უელსთან შესარჩევი მატჩისას ის რამდენიმე წუთით ათამაშეს. რუმინელებთან პოლდი ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა და ბოლო ათ თვეში პირველი სანაკრებო გოლი შეაგდო. ოთხშაბათს **იოგი ლიოვმა** ექსპერიმენტული გუნდი გამოიყვანა. რუმინელებისათვის გადახალისებული ბუნდესკრებიც დაუძლეველი მეტოქე აღმოჩნდა, თუმცა სტუმრები მალე დანებაურდნენ. თამაში სამი წუთის დაწყებული იყო. **დორინ გოიანმა** მეტოქის საჯარიმოში **ადრიან მუტუს** უზუსტესი პასი მიიღო. გერმანელ მცველებს ეს ბიჭი უმეთვალყურეოდ დარჩათ. გოიანმა არ დაახანა და უძლიერესი დარტყმით კინაღამ კარი გახვრიტა. გერმანია ტაიმის ბოლომდე მდევრის როლში იყო. **თომას ჰიტცლსპერგერმა** და პოდოლსკიმ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. 43-ე წუთზე **ბასტიან შვაინშტაიგერმა** (ის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს) რუმინელთა საჯარიმოში ჩააწოდა. კაპიტანმა **ბერნდ შნაიდერმა** ბურთს თავი დაჰკრა და გაათანაბრა. შნაიდერი ეროვნულ გუნდის მაისურით მე-80 მატჩს ატარებდა.

პრინცმა პოლდიმ კიოლნელი გულშემატკივარი გოლით გაახარა

შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილას დადგა. გერმანელები უპირატესობას დაეუფლნენ. პოდოლსკისა და **პატრიკ ჰელმესს** კვლავ კარგი მომენტები ჰქონდათ. მე-60 წუთზე შნაიდერი **დავიდ ოდონკორმა** შეცვალა. ხუთ წუთში "ბეტისის" განაპირა თავდამსხმელმა საუცხოო სოლო რეიდი მოაწყო. ის მოედნის ცენტრიდან დაიძრა. მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და მეკარე **დანუტ კომანს** ახლო კუთხეში გაუტანა. ეს ოდონკორის პირველი სანაკრებო გოლი გახლდათ. თამაშის დასრულებამდე რვა წუთით ადრე პოლდიმ საჯარიმოს მისადგომებიდან დასცხო და საბოლოო ანგარიში დაიფიქსირა.

ლიოვის სანაკრებო სტატისტიკა შესაშურია. შარშანდელი მუნდიალის შემდეგ გერმანელებმა 14 მატჩი ჩაატარეს და 12 მოიგეს. იოგიმ მხოლოდ ერთხელ წააგო - დანიასთან საშინაო ამხანაგურში. ოთხშაბათს რუმინელთა 14-მატჩიან წაუგებელ სერიასაც დაესვა წერტილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეემთხვა ფერგის ლონდონში?

პიროვნებამ, რომელიც ლონდონის სარკინიგზო სადგურში **სერ ალექს ფერგიუსონს** თავს დაესხა, დანაშაული აღიარა. 43 წლის **კევინ რეინოლდსის** ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მათი კლიენტი უსახლკარო ადამიანია. ის ალკოჰოლს ეტანება და თავდასხმის დროსაც მთვრალი იყო. რეინოლდსი რკინიგზის პოლიციამ შემთხვევის ადგილზე დააკავა. ეჭვმიტანილმა სამართალდამცველებს ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია. ერთ-ერთი შავკანიანი ოფიცერი კი რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყო. სასამართლოში, სადაც მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, ბრალმდებელმა საზოგადოებას ინციდენტის დეტალები გააცნო: სერ ალექსი სადგურის შესასვლელთან ავტომობილს ელოდა. რეინოლდსი მისკენ გაემართა. ფერგის ის მათხოვარი ეგონა, ამიტომ გზის აქცევა არც უცდია. უცნობმა მას ხელი უთავაზა, თანაც ცინიკურად მიაძახა, ბოდიში, ფერგი, არ ვიცოდი, შენ თუ იყავიო. თავდამსხმელმა გზა განაგრძო. ის შოტლანდიელი ფანების სიმღერას ღიღინებდა. მასში ასეთი სიტყვებია: *"ფერგი, ფერგი, მოკეტე!"* ბოროტმოქმედს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ბექჰემი არსენალში ივარჯიშებს

როცა "ლოს ანჯელეს გალაქსი" სეზონს დაასრულებს, **დევიდ ბექჰემი** ინგლისში დაბრუნდება. ეს მაქსიმუმ ერთ თვეში მოხდება. "გალაქსის" ფლეი ოფში გასვლის შანსი ფაქტობრივად აღარ აქვს. ამიტომ რეგულარული სეზონის დამთავრებისთანავე, ფეხბურთელები შვებულებას აიღებენ. ბექჰი "არსენალის" ხელმძღვანელობას შეეხმიანა და ფორმის შესანარჩუნებლად მათ ბაზაზე ვარჯიშის ნებართვა სთხოვა. "მეთოფეები" ვარსკვლავს სიხარულით დათანხმდნენ. ამ ინფორმაციას "დეილი მირორი" ავრცელებს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

შუსტერი აღდასტურებს: ბალაკი მინდა!

რატომ არ შეიყვანებს გერმანელი ნახევარმცველი ჩელსის ევრო განაცხადში...

"რეალის" თავკაცმა **ბერნდ შუსტერმა** დაადასტურა, რომ **მიხაელ ბალაკის** შეძენა სურს. გერმანელი მწვრთნელი თანამემამულე ფეხბურთელის ყიდვას იანვრის ტრანსფერებისას აპირებს. შუსტერს არც ის დაუმალავს, რომ ბუნდესკაპიტანს ზაფხულშიც ეპატიჟებოდა, მაგრამ კლუბები საკომპენსაციო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. მიხაელი ლონდონში დარჩა, თუმცა ათი დღის წინ "არისტოკრატებმა" ისეთი გადაწყვეტილება მიიღეს, რამაც მისი გაყიდვის ალბათობა საგრძნობლად გაზარდა. შეგახსენებთ, "ჩელსიმ" ბალაკი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანა. ოფიციალური მოტივი ფეხბურთელის ტრავმაა. ლონდონელი ექიმები ამბობენ, ნახევარმცველი ნოემბრამდე ვერ ითამაშებსო. "ჩელსის" ბოსები ამ არგუმენტს ხელზე იხვევენ და თავს იმართლებენ - თუ ნოემბრამდე ვერ ითამაშებს, ესე იგი, ჯგუფური ტურნირი თითქმის მთლიანად გაუცდება და მისი განაცხადში შეყვანა აზრს იყო მოკლებული. ჯობია, ბალამ ფორმა პრემიერლიგაში აღიდგინოსო, მიმომხილველებს მაშინვე გაუჩნდათ ეჭვი, რომ მიხაელს სატრანსფეროდ ამზადებდნენ. თავად განსაჯეთ: თუ ის ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებს, იანვრის ფანჯრისას უპრობლემოდ მიაშურებს კლუბს, რომელიც ამ ტურნირში ასპარეზობს. მას ევროსარბიელზე მეორე კლუბის შემადგენლობაში თამაში აკრძალული არ ექნება. ალბათ, არავის ეპარება ეჭვი, რომ თუ ბალაკი "ჩელსიდან" წავა, მხოლოდ ევროპულ გრანდს აირჩევს. ეს გრანდი კი აუცილებლად ჩემპიონთა ლიგის მონაწილე იქნება.

30 წლის ბალაკი ლონდონში გასულ ზაფხულს "ბაიერნიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. მასში ინგლისელებს ერთი პენსიც კი არ გადაუხდიათ. სამაგიეროდ, საარაკო ხელფასი დაუნიშნეს - კვირაში 130 ათასი გირვანქა. "რეალი" ამ თანხას უპრობლემოდ გადაიხდის. ბალაკი გაყიდვა ერთერთი იმ მცირერიცხოვან ტრანსფერთაგანი იქნება, რომელიც "ჩელსის" ბიუჯეტს კი არა დაზარალებს, პირიქით, მოგებას მოუტანს. აქვე შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე "ბაიერნის" პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** მიხაელის "ჩელსიში" წასვლას შეცდომა უწოდა. მისი თქმით, უმჯობესი იქნებოდა, ნახევარმცველი "მანჩესტერ იუნაიტედში" ან "რეალში" გადასულიყო. ამ კლუბებს ძლიერი ცენტრალური ნახევარმცველი აკლდათ. "ჩელსის" კი ამ პოზიციაზე **ფრენკ ლემპარდი** ჰყავდა. ასე რომ, კაიზერის აზრით, მიხაელი ლონდონში გადასვლისთანავე პრობლემებისთვის იყო განწირული. ბოლო ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, ბალას შეცდომის გამოსწორების საშუალება ეძლევა. "არისტოკრატებს" "რეალთან" შესაძლო გარიგების თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

მოსალოდნელი დანიშვნა

კაპელო ლონდონში?

ტოტენჰემის მწვრთნელის გარშემო სპეკულაციები არ წყდება, იოლი კი, ამასობაში, არსენალის დასამარცხებლად ემზადება...

"ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, **ფაბიო კაპელო**, შეიძლება, "ტოტენჰემში" დაინიშნოს. ხვალ "მამლები" "არსენალს" ეთამაშებიან. ბრიტანული საagენტოების ცნობით, დამარცხების შემთხვევაში **მარტინ იოლს** კარისაკენ მიუთითებენ. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლონდონელთა ბოს **დანიელ ლევის** კლუბის გაყიდვა სურს. მას სახელგანთქმული მწვრთნელის დანიშვნაც იმიტომ უნდა, რომ "ტოტენჰემი" უფრო სარფიანად გაასხვისოსო, წერენ ტაბლოიდები. კაპელომდე ლონდონურ კლუბში მისვლას **მარჩელო ლიპისა** და **ხუანდე რამოსს** უწინასწარმეტყველეს. ლიპის კომენტარი არ გაუკეთებია. "სევილიის" დამრიგებელმა არ დამალა, რომ ლონდონიდან ძალიან სარფიანი წინადადება მიიღო, თუმცა ანდალუსიიდან აბარგება არ ისურვა.

იოლი ცდილობს, სპეკულაციებს ყურადღება არ მიაქციოს. ის სტატისტიკასაც არად დაგიდევთ და "არსენალთან" მოსაგებად ემზადება. არადა, "მეთოფეებთან" "მამლების" ბოლო გამარჯვება 1998 წლით თარიღდება: *"რა თქმა უნდა, გვჭირდება ქულები და გვჭირდება გამარჯვება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია, დავიჯეროთ, რომ ჩვენ გამარჯვება შეგვიძლია. სხვათა შორის, მოსაგებად იდეალური დროა. ფეხბურთელები არც გადაღლილები არიან და არც დაშავებულები."*

"მამლების" თავკაცი უფრო შორსაც იხედება და იანვრის ტრანსფერებისას "კორინთიანსის" ნახევარმცველის **ლულინიოს** შეძენას აპირებს. ბრაზილიის 17-წლამდელთა ნაკრების ლიდერი ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია. მას "ნაიკთან" მრავალწლიანი სპონსორული კონტრაქტი აკავშირებს. ლულინიოს ინტერესებს **კაკასა** და **რობინიოს** აგენტი **ვაგნერ რიბეირო** იცავს. "ტოტენჰემის" გარდა, ამ ბიჭს "ინტერმაც" დაადგა თვალი.

ინტერვიუ გუტისთან

რაულის ნაკრებს მილმა დატოვება სირცხვილია

ხოსე მარია გალაკში კონკურენტს ვერ ხედავს. ის გვარწმუნებს, რომ გერმანელის ტრანსფერი ძალიან გაახარებს

ხოსე მარია გუტიერესს მალე 31 წელი შეუსრულდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "რეალის" ვიცე-კაპიტანი ასაკთან დაკავშირებულ პრობლემას არ განიცდის. პირიქით, ის ფიზიკური თვალსაზრისით ჩინებულად გამოიყურება და კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო სეზონის ჩატარებას აპირებს. ფეხბურთელი ბედნიერია, რომ ბერნდ შუსტერი მას მთლიანად ენდობა.

- თქვენ ფაბიო კაპელოს ყველაზე დიდი დამცველი იყავით. როგორ გგონიათ, იტალიელი გუნდიდან რომ არ გაეშვათ, სამეფო კლუბი მოგებული დარჩებოდა?

- ფაბიომ "რეალს" სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა. ყველამ დაინახა, რომ ამ ადამიანმა დემორალიზებული გუნდი ესპანეთის ჩემპიონი გახადა. ამასთან, პირველსავე წელს. არ ვიცი ვინ რას ფიქრობს, მაგრამ მიმაჩნია, რომ გასულ სეზონში იმდენად ფართო შემადგენლობა არ გვყავდა, რომ პირველობისთვის გვებრძოლა. მიუხედავად ამისა, კაპელომ მაქსიმუმს მიაღწია. დიდი სჯა-ბაასი არ სჭირდება, რომ ის უდიდესი სპეციალისტია. ვფიქრობ, იტალიელს დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ. მან ეს აშკარად დაიმსახურა. რაც შეეძლო, ყველაფერი გაიღო, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ მისი გათავისუფლება გადაწყვიტა. პრეზიდენტის ადგილზე მე ასე არ მოვიქცეოდი. კაპელოს მმიერ შესრულებულ სამუშაოს ათი ბალით ვაფასებ.

- როგორ ფიქრობთ, კაპელოს გაშვებით კალდერონი დიდ რისკზე წავიდა?

- ჩემპიონი მწვრთნელის შეცვლა ნებისმიერ შემთხვევაში სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული. საბედნიეროდ, ახალი პროექტის საწყისი ეტაპი ფანტასტიკურია.

- კაპელოსგან რა ისწავლეთ?

- მისი წყალობით სამეფო კლუბის მაისურის სიდიადე ბოლომდე გავაცნობიერე. თითქმის 12 წელია "რეალს" ვეკუთვნი, მაგრამ ასეთი მძაფრი შეგრძნება არასოდეს მქონია. კაპელომ ამ თვალსაზრისითაც უდიდესი სამუშაო შეასრულა.

- გასაგებია, მაგრამ თქვენ შუსტერის სტილი უფრო შეგეფერებათ...

- გეთანხმებით. ბერნდმა რადიკალური ცვლილება შემოგვთავაზა. ის ისევე გვათამაშებს, როგორც თავად თამაშობდა. მის სქემაში უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს და საკუთარი შესაძლებლობების რწმენაც მეტი მაქვს. უნდა გითხრათ, რომ შუსტერს მთელი გუნდი გვერდში უდგას. ბედნიერი ვარ, რომ ახალი მწვრთნელი შეტევას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. შედარებისთვის გეტყვით, რომ გასულ სეზონში "რეალი" დროის უმეტეს ნაწილს საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვას უთმობდა. არ მინდა იფიქროთ, რომ ახლა დაცვა ფეხებზე გვკიდია. სულაც არა, შუსტერი დაცვის ორგანიზებას დიდ დროს უთმობს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბურთთან ურთიერთობა პრიორიტეტად ვაქციეთ. ჩვენმა მწვრთნელმა სნეიდერს სრული თავისუფლება მიანიჭა. როგორც ხედავთ, შედეგმა არ დაახანა. ვესლიმ ორ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა. თუ კარგად დააკვირდით, ჰოლანდიელი მოწინააღმდეგისთვის ბურთის ასართმევად სირბილსაც არ თაკილობს. ვფიქრობ, ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა.

- პირადად მე შთაბეჭდილება მრჩება, რომ ძირითად შემადგენლობაში თქვენი თამაში ეჭვს აღარ იწვევს.

- არ მგონია, ტკბილი ცხოვრება გაანაღდებული მქონდეს (იცინის). მაგრამ არ დავმალავ, შუსტერმა მაგრძნობინა, რომ გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურა ვარ.

- მალე არიენ რობენი სასურველ კონდიციებს მიაღწევს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ჰოლანდიელის მწყობრში ჩადგომის შემდეგ საფრთხე შეგექმნებათ?

- რობენის გამოჯანმრთელება არ შეიძლება ჩემთვის პრობლემა გახდეს. მის თამაშს მთელი გუნდი მოუთმენლად ელის. იმედია, არიენი კარგად შეეწყობა "რეალს" და გოლებსაც გაიტანს. მოედანზე გასვლის შესაძლებლობა აბსოლუტურად ყველას მიეცემა. მთავარია, მოთამაშეებმა პირველ ადგილზე სამეფო კლუბის ინტერესები დააყენონ.

- რას ითხოვს თქვენგან შუსტერი?

- მას ჩემს შემტევ პოტენციალში ეჭვი არ ეპარება. ამიტომ, მთხოვს, დაცვითი ფუნქციების შესრულებისას უფრო აგრესიული ვიყო.

- როგორ გგონიათ, წელს "რეალის" ხელმძღვანელობამ სატრანსფერო პოლიტიკის წარმოებისას მქუხარე სახელებს ხარისხიანი ფეხბურთელების შეძენა ამჯობინა?

- ჩემი თეორიით, სახელოვან ფეხბურთელებს იმდენი კლასი და ძალა აქვთ, რომ შეუძლიათ ნებისმიერი მატჩის ბედი სხვების დაუხმარებლად გადაწყვიტონ. ამავდროულად, არსებობენ ფეხბურთელები, რომლებსაც გაცილებით ნაკლები სახელი და დიდება აქვთ, მაგრამ მათაც უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება ძალუძთ. მოდით, ასე ვიტყვი, კალდერონმა და მიატოვიჩმა ის მოთამაშეები შეიძინეს, რომლებიც ჩვენს გუნდს ყველაზე მეტად სჭირდებოდნენ.

- სნეიდერი ერთ-ერთი მათგანია. როგორ ფიქრობთ, ის "გალაქტიკოა"?

- რა თქმა უნდა. ვესლი უმაღლესი დონის მოთამაშეა. თითქმის ყველაფერი აქვს, რაც მსოფლიო დონის ვარსკვლავს მოეთხოვება. ჰასი, ტექნიკა, ფიზიკური გამძლეობა... სიმართლე გითხრათ, სნეიდერს ადრე კარგად არ ვიცნობდი. მისი თამაში თითქმის არ მქონდა ნანახი. მადლობა ღმერთს, ის ჩვენი კაცი გახდა.

- ახალი სეზონის დაწყების წინ ვინც არ უნდა იყიდონ, რაულს სათადარიგოთა სკამზე არავინ სვამს. საინტერესოა, რა არის კაპიტნის საიდუმლო?

- მისი ერთადერთი საიდუმლო ყოველდღიური მუშაობაა. რაული "რეალის" გული და სულია. რა თქმა უნდა, სეზონის მსვლელობისას მცირე ხნით მასაც დასვამენ სკამზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გონსალეს ბლანკო დამცირებულად იგრძნობს თავს. პირიქით, მცირე პაუზა და დასვენება რაულს კარგ სამსახურს გაუწევს.

- რაულს ნაკრებში არა და არ ინვევენ. როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?

- რაულის ეროვნული გუნდის მიღმა დატოვება სირცხვილია და სხვა არაფერი. სხვა რა უნდა გითხრათ? "სელექსიონის" ხელმძღვანელობა სერიოზულ შეცდომას უშვებს. შედეგიც სახეზეა. ერთია ნაკრები რაულთან ერთად და მეორე მის გარეშე. გონსალეს ბლანკო შეუცვლელი ფეხბურთელია.

- საკუთარ თავზე რაღას გვეტყვით? არაგონესი არც თქვენ გწყალობთ...

- ჩემი სიტუაცია კიდევ უფრო რთული და ჩახლართულია. მართალია, კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ ნაკრებში ჩემს პოზიციაზე ისეთი გენიალური ბიჭები თამაშობენ, როგორებიც ჩაბი, ინიესტა და სესკი არიან.

- "რეალში" ახლა მრავალი უცხოელია, მაგრამ ესპანელთა ბირთვი მაინც მთავარ როლს ასრულებს...

- მე ვიტყოდი, რომ ჩვენი გუნდის გულშემატკივრებისთვის ესპანელთა როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია... თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხოელთა ღვაწლიც. ჩვენ ერთად უნდა ვაკეთოთ დიდი საქმეები.

- "ბარსელონის" ფანტასტიკურ ოთხეულზე რას გვეტყვით. სერიოზულ პრობლემებს ელით?

- ფანტასტიკური და გალაქტიკური მოთამაშეების ხანა ჩვენ დიდი ხნის წინ გამოვიარეთ. რა თქმა უნდა, ბედნიერებაა, როცა შენს გუნდში დიდი ვარსკვლავები ასპარეზობენ, მაგრამ გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მათი სიმრავლე პრობლემებთანაცაა დაკავშირებული. დარწმუნებული გახლავართ, "ბარსა" ამ თვალსაზრისით სირთულეებს ვერ გაექცევა. ჩვენ სწორედ ამით უნდა ვისარგებლოთ.

- ამბობენ, იანვარში "რეალს" ბალაკი დაემატებაო. თქვენთვის ეს პრობლემა ხომ არ გახდება?

- ბალაკი ძლიერი ნახევარმცველია და მისი გადმოსვლა სარგებელს მოგვიტანს...

ილია ნიკოლაიშვილი

ხოსე მარია გუტიარესი სტიქიაში

უჩვეულო ფეხბურთელები

190 სანტიმეტრი და უფრო მაღლა

ნიკოლა ჟიგიჩი, "რასინგის" სერბი გიგანტი, მუდმივად იყო გასული ზაფხულის სატრანსფერო კამპანიის ერთ-ერთი პოპულარული პერსონა. საბოლოოდ "ვალენსიამ" მასში 15 მილიონი ევრო გადაიხადა და ფეხბურთელთან აგრერიგად სასურველი კონტრაქტი გააფორმა. მისი სიმაღლეს ნაკლებად ეთქმის საფეხბურთო - 202 სმ და 90 კგ. საინტერესო იქნება გადავხედოთ სიას, სადაც მასავით არასაფეხბურთო სიმაღლის მოთამაშეები არიან თავმოყრილნი. მაშ ასე:

იან კოლერი, "მონაკო", სარეკორდო გაბარიტების ფეხბურთელი. სიმაღლე 202 სმ, 106 კგ. მიუხედავად თავისი გრანდიოზულობისა, სულაც არაა მოუქნელი. ჩეხს გოლებიც საკმაოდ გაჰქონდა და გააქვს კიდეც. "ლოკერენში" სამ სეზონში 43 გოლი, "ანდერლეხტში" 2 წელიწადში 42 შეგეგიანი დარტყმა, "დორტმუნდში" 5 სეზონში 59 გოლი. ნაკრებში ის კიდევ უფრო შთამბეჭდავია, 75 თამაშში 50-ზე მეტი კომბინაცია აქვს დაგვირგვინებული. დაგვეთანხმებით, შესანიშნავი სტატისტიკაა. და ის, რომ ჩეხეთის ნაკრები ბოლო წლების დიდ ტურნირებზე მუდამ ფავორიტებში სახელდებოდა, იანის დამსახურებაცაა. შარშანდელი სეზონი ფეხბურთელისთვის არცთუ შედეგიანი იყო, სულ 8 გოლი "მონაკოს" შემადგენლობაში, მაგრამ კარიერის დასრულების პირას მდგომი მოთამაშისთვის ეს არცთუ ყველაზე მნიშვნელოვანია. ევრო 2008-ის შემდეგ ის ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას ეშურება.

პიტერ კრაუჩი, "ლივერპული", 201 სმ. ადამიანი რომელიც საკუთარი დაუჯერებლად თხელი აღნაგობის გამო უამრავი ანეკდოტის გმირი გახდა. მასზე ამბობდნენ, რომ როცა ძირითადში იყო, **რაფა ბენიტესი** ტაქტიკას იმის მიხედვით ადგენდა, თუ რომელი მხრიდან უბერავდა ქარი. ინგლისელმა უამრავი კლუბი გამოიცვალა იქამდე, ვიდრე საკუთარ თავს იპოვნიდა, ერთი პერიოდი შვედეთის ჩემპიონატშიც კი მოსინჯა ძალები. მას მერე რაც ფიზიკურად ცოტა მომძლავრდა და ფეხზე დადგომა მყარად შეძლო, გაამართლა "ლივერპულის" დამრიგებლის ნდობა. კრაუჩი იმდენად დაიხვეწა, რომ გოლების გატანა საოცარი აკრობატული ნახტომებითაც კი დაიწყო. მის საფირმო ნიშნად იქცა ე.წ. "რობოტის ცეკვა" გატანილი გოლების შემდეგ. წლეულს მას მცირე პრობლემები აქვს ძირითადში მოხვედრასთან დაკავშირებით და საუბარია, რომ ის მერსისაიდელებს მალე დატოვებს. ვნახოთ...

ვანკოვ კანუ, "პორტსმუთი", 197 სმ. ადამიანი გმირი. გმირი იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ 10 წლის წინათ უწინასწარმეტყველეს კარიერის ნაადრევი დასრულება. ექიმების დიაგნოზი მართლაც შემაშფოთებელი იყო - გულის მანკი. თანამედროვე მედიცინამ და ნიგერიელის შეუპოვრობამ თავისი გაიტანა - ის დღესაც მინდორზეა და საკმაოდ შედეგიანადაც თამაშობს. ავადმყოფობამდე მან "აიაქსის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ნაკრებში ოლიმპიური ოქრო, სადაც გუნდის ულაპარაკო ლიდერი იყო. გამოჯანმრთელების შემდეგ მან **არსენ ვენგერის** "არსენალთან" ერთად დაუმარცხებლად განვლო პრემიერლიგის უმძიმესი მარათონი. ახლა კი ის "პორტსმუთის" ლიდერია. მოედანს მიღმა ის არანაკლებ პროდუქტიულია, დააარსა რა საქველმოქმედო ფონდი, რომელიც აფრიკელი ბავშვების გაჭირვებას მცირედით მაინც მალამოდ ედება, იმ გაჭირვებას, რომელიც ნვანკვოსთან ბრძოლაში უიმედოდ დამარცხდა.

ორლანდო ენგელარი, "ტვენტე", 196 სმ. ფეხბურთელი, რომელმაც შარშან ქალაქი ენსხედე საფეხბურთო რუკაზე მკაფიოდ მონიშნა. მთელი შარშანდელი სეზონი "ტვენტემ" ლიდერებში გაატარა. გუნდი მის გულშემატკივრებს საოცარად რომანტიკული, შემტევი, შედეგიანი თამაშით ახარებდა, საბოლოოდ კი უეფას თასის საგზურით დააჯილდოვა. ენგელარმა კი იმდენს მიაღწია, რომ ჰოლანდიის ნაკრებში სადებიუტო თამაში სულ ცოტა ხნის წინათ, სამხრეთ კორეასთან ჰქონდა.

ვრატისლავ ლოკვენცი, "რედ ბული", 196 სმ. მან პრაღის "სპარტაში" ძალიან ხმაურიანი სეზონი ჩაატარა და ბუნდესლიგაში, "კაიზერსლაუტერნის" რიგებში ამოყო თავი. არასტაბილური რაინლანდელების შემადგენლობაში ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. რის შემდეგაც, "ბოხუმის" გავლით, ვენაში, ახლადაღორძინებულ "ზალცბურგში", იგივე "რედ ბულში" აღმოჩნდა. ის არც ავსტრიაში დაკარგულა და კლუბის ძირითადის წევრად იქცა ითვლება.

ლუკა ტონი, "ბაიერნი", 196 სმ. ადამიანი ინვესტიცია. ეს ფეხბურთელი ძვირფასი კონიაკის თვისებას ფლობს: დროსთან ერთად მხოლოდ უკეთესი ხდება. 2003-ში "პალერმომ" მასში 6 მილიონი ევრო გადაიხადა და ორი წლით სუპერვარსკვლავი ხელში ჩაიგდო. ლუკას 50-მდე გოლმა გუნდი ჯერ ელიტაში გააწევრიანა, შემდეგ კი სერია ა-ში 6 ადგილზე გაიყვანა. "ფიორენტინამ" მეგობლე 11 მილიონად ჩაიგდო ხელში და ის ვალში არც "იებს" დარჩენია, 67 თამაშში გატანილი 47 გოლი ამის ნათელი დადასტურებაა. 30 წლის მეგობლე "ბაიერნში" ისევ და ისევ 11 მილიონად გაიყიდა და როგორც ამბობენ, ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახდა, თუ არა ყველაზე, ყველაზე... ტონი უკვე გახდა "ალიანს არენის" გმირი. ყოველ მატჩზე ტრიბუნები უკვე მღერიან თავის ახალ კუმირზე. **რიბერისა** და **მიროსლავ კლოზესთან** ერთად ის უკვე ქმნის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე არაპროგნოზირებად, გამანადგურებელ შემტევ სამეულს. ბუნდესლიგაში მის ანგარიშზე 3 თამაშში 3 გოლია. ეს მიუხედავად იმისა, რომ ახლახან დაწყებულ სეზონში ორჯერ მოასწრო ტრავმის მიღება.

ემაუელ ადებაიორი, "არსენალი", 193 სმ. ადამიანი იმედი. წლევანდელ სეზონამდე ის მხოლოდ ტოგოს ეროვნულ გუნდში გამოირჩეოდა ხოლმე. ხოლო **ტიერი ანრის** "ბარსელონაში" გადაბარგების შემდეგ, ის მთავარი მწვრთნელის, მთლიანად გუნდისა და გულშემატკივრების ერთ-ერთი მთავარ იმედად გადაიქცა. "არსენალს", რა თქმა უნდა, ჰყავს **ვან პერსი** და **და სილვაც**, მაგრამ გრძელფეხება აფრიკელი მაინც გამორჩეულია.

პიტერ კრაუჩი

ჯონ კარუ, "ასტონ ვილა", 193 სმ. ადამიანი სიურპრიზი. სავსებით უბრალო სტილის ნორვეგიელი ფორვარდი, რომელსაც აქვს ნიჭი ყველა გააოცოს მაშინ, როცა მისგან ამას არავინ ელის. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი შარშანდელი "რეალი"-"ლიონის" მატჩი იყო. ამ ჩემპიონთალიგურ მატჩში მომენტებში ადამიანს შეიძლებოდა ჰგონებოდა, რომ მინდორზე **ზიდანი** დაბრუნებულიყო. მსოფლიოს მოქმედი საუკეთესო ფეხბურთელი **ფაბიო კანავარო** მან პატარა ბავშვივით აბითურა 90 წუთი.

კარსტენ იანკერი, "მატერსბურგი", 193 სმ. მან წარმატებული კარიერა ავსტრიაში, ვენის "რაპიდში" დაიწყო და 1996 წელს საშუალო შეძლების გუნდი თასების თასის ფინალში გაიყვანა, სადაც პსჟ-ს წინააღმდეგ უკვე ვეღარაფერს გახდა. ვენაში ერთი სეზონის შემდეგ ის "ბაიერნში" გადავიდა და მართლა საუკეთესო წლები უკვე მიუხნეში გაატარა. "ბაიერნს" მოჰყვა ძალიან წარუმატებელი მოგზაურობა სერია ა-ს "უდინეზეში". იტალიიდან ის ჩინეთში გაემგზავრა. იქაც უშედეგოდ. მხოლოდ მეუღლის სამშობლოში, ავსტრიაში დაბრუნებამ მოუტანა სულიერი სიმშვიდე. მისი სტილი მარტივად აღსაწერია: დაუნდობელი როგორც მეტოქის, ისევე საკუთარი თავის მიმართ. არაადამიანური ფიზიკური ძალის პატრონი არ ზოგავს არც ფეხებს, არც თავს, არც ტანს რათა მიზანს მიაღწიოს - გაატანოს გოლი ან გაატანინოს პარტნიორს. სწორედ ამ თვისების გამო მას გულშემატკივრებმა არცთუ პოეტური სახელი შეურჩიეს - "პნევმატური ჩაქუჩი".

ზლატან იბრაჰიმოვიჩი, "ინტერი", 192 სმ. ადამიანი აკრობატი. საუბარი იმაზე, რომ სიმაღლე ფეხბურთელს კოორდინაციაში ხელს უშლის, ზლატანს ყოველთვის სასაცილოდ მიაჩნდა. იხილეთ მისი თამაში და შეეკამათეთ. ბავშვობაში ის ტაეკვანდოში ვარჯიშობდა და მაშინდელი მოქნილობა დღემდე ეტყობა. "აიაქსში" მას ხშირად გაჰქონდა ულამაზესი გოლები აკრობატული ილეთებით, თუმცა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე იტალიასთან თამაშში მან საკუთარ თავს აჯობა... ვეცადეთ და გოლი როგორ უნდა აღგვეწერა, ვერ მოვიფიქრეთ... უმჯობესია, ჩანაწერში ნახოთ...

რობერტო მანჩინი

ინტერი

მანჩინი, იტალიის უმღიდრესი მწვრთნელი

"ინტერის" თავკაცი **რობერტო მანჩინი** იტალიის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელია. მას წლიურად 3.4 მილიონ გირვანქას უხდიან. მეორე ადგილზეა მილანელი **კარლო ანჩელოტი** წლიური 3.1 მილიონი ევროთი. შედარებისათვის, "იუვენტუსის" თავკაც **კლაუდიო რანიერის** მხოლოდ 1 მილიონს უხდიან. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, თუ რანიერი სკუდეტოს მოიპოვებს, მისი ანაზღაურება დაუყოვნებლივ გაიზრდება.

მართალია, მანჩინი უმდიდრესია, მაგრამ "ფენერბაჰჩესთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში მაღალი ხელფასი ვერ უშველის. "ინტერის" მცველი **კრისტიან კივუ** დაშავებულია და ეს შეხვედრა გაუცდება. მილანელებს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ. უკანა ხაზში შექმნილ მდგომარეობას, შეიძლება, კრიზისი დაერქვას. დისკვალიფიკაციის გამო თურქებთან კიდევ სამი მცველი - **ივან კორდობა, ნიკოლას ბურდისო** და **მაიკონი** ვერ ითამაშებს. ისინი "ვალენსიასთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მეოთხედფინალისას მომხდარი ინციდენტის გამო იხდიან სასჯელს. ფეხს იტკიებს **ვალტერ სამუელიც**. ასე რომ, ვითარების მთელი სიმძიმე სახეზეა.

მილანი: ანელკაც და კვალიარელაც

"მილანი" **ნიკოლა ანელკას** აკვირდება. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, იანვრის ტრანსფერებისას "როსონერი" ძლიერ თამაშობს იმისთვის, რომ **ალბერტო ჯილარდინოს** პრობლემები აქვს. მას "მილანიდან" აბარგებას უწინასწარმეტყველებენ. გაურკვევლობა სუფევს **რონალდოს** გარშემო. თუ კლუბი ორი ფორვარდის გარეშე დარჩება, მათი შემცვლელების პოვნა მოუწევს. ანელკა გამოცდილი ფეხბურთელია და საკმაოდ იაფი ღირს, უფრო იაფი, ვიდრე სევილიელი **ფრედერიკ კანუტი**. მაღელი თავდამსხმელიც მილანელთა სასურველი ფეხბურთელების სიაშია. ამას გარდა, ევროპის ჩემპიონებმა "უდინეზესთან" მოლაპარაკებები განაახლეს. მათ **ფაბიო კვალიარელას** შეძენა სურთ. იტალიის ნაკრების ფორვარდი 22 მილიონ ევროდაა შეფასებული.

ნიუკასლი: დეკუ ემრეს ნაცვლად

"ნიუკასლს" ბარსელონელი **დეკუს** მიმართ ინტერესი არ განელებია. ნიუკასლური გამოცემა "ნორზერნ ექო" იუწყება, რომ ჯორდები **ემრეს** "გალათასარაიში" უპირებენ გაყიდვას. მის შემცვლელად კი ბრაზილიელ-პორტუგალიელი ნახევარმცველი სურთ. ემრეს სტამბოლში დაბრუნება უნდა. "გალასთან" მოლაპარაკებები აგვისტოში დაიწყო. ინგლისელებმა 27 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 3.5 მილიონი გირვანქა მოითხოვეს. "გალათასარაის" ეს თანხა ეძვირა. ამიტომ გარიგება ჩაიშალა. ესპანური მედია მთელი ზაფხულის განმავლობაში წერდა დეკუს "ბარსელონიდან" აბარგების შესახებ, მაგრამ ფეხბურთელი "კამპ ნოუზე" დარჩა. ორიოდე დღის წინ კატალონიელთა თავკაცმა **ფრან რიიკაარდმა** განაცხადა, რომ დეკუ მისი გეგმების განუყოფელი ნაწილია.

სვენი იანვრისათვის ემზადება

"მანჩესტერ სიტი" რომ **პიტერ კრაუჩს** ეპატიჟება, ცნობილი ამბავია. "დეილი მეილის" ცნობით, "ლივერპულის" თავდამსხმელი "იუვენტუსსაც" სურს. "ბებერი ქალბატონი" მოლაპარაკებებს იანვარში გამართავს. იქამდე მერსისაიდელები ახალი კონტრაქტის გაფორმებას ეცდებიან. "ლივერპულმა" კრაუჩს თანამშრომლობის სამი წლით გაგრძელება შესთავაზა. ფეხბურთელს ხელფასის გაზრდაც აღუთქვეს. მას კი თადარიგში ყოფნა არ სურს. "მანჩესტერ სიტის" სატრანსფერო ამბიციები მხოლოდ კრაუჩით არ ამოიწურება. "სანის" ცნობით, **სვენ გორან ერიქსონი** "ჩელსის" სამი ფეხბურთელით დაინტერესდა. ესენი არიან მარცხენა მცველი **უეინ ბრიჯი** და ორი გარემარბი - **ჯო კოული** და **შონ რაიტ-ფილიპსი**. შესაძლო გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

გარაი, ჯურინელთა მორიგი სამიზნე

"იუვენტუსმა" სანტანდერის "რასინგის" ცენტრალურ მცველ **ესეკილ გარაის** დაადგა თვალი. ზაფხულის ტრანსფერებისას ტურინელებმა დეპორტივოელი მცველი **ჟორჟე ანდრადე** შეიძინეს. ის საკმაოდ ძვირი, 12 მილიონი ევრო დაუჯდათ, მაგრამ **კლაუდიო რანიერი** კიდევ ერთ კვალიფიციურ მცველზე უარს არ იტყვის. "ქალბატონი" გარაის ესპანეთის ჩემპიონატის პირველ წრეში დააკვირდება, იანვარში კი "რასინგს" გარიგებას შესთავაზებს.

მორიგი სიკვდილი მინდორზე

ბოლოს საინფორმაციო სააგენტოებმა კიდევ ერთი შოკისმომგვრელი ინფორმაცია გაავრცელეს. ეკვადორში სამოყვარულო საფეხბურთო ლიგის მოთამაშე **მანუელ აღდასი** დაიღუპა. 31 წლის მცველს შეხვედრის 39-ე წუთზე გული გაუჩერდა. ექიმებმა მისი რეანიმირება ვერ შეძლეს. თამაშზე დამსწრე ჟურნალისტებს არ გამოპარვიათ, რომ საბრალო მანუელმა შეხვედრის მსვლელობისას რამდენიმე გრძელი რეიდი განახორციელა. როგორც ჩანს, დატვირთვისგან სისხლძარღვები შეუვიწროვდა და სისხლის მიმოქცევის დარღვევის გამო მომაკვდინებელი ინფარქტი მიიღო. როგორც მოგახსენეთ, აღდასი სამოყვარულო ლიგის მოთამაშე გახლდათ. მისი ძირითადი პროფესია ხელოსნობა გახლდათ. მანუელი მანქანების მღებავად მუშაობდა. სამსახურის შემდეგ კი გუნდთან ერთად ვარჯიშობდა.

გამოძიება

ტოტენჰემის ფეხბურთელი დააკავეს

პოლიციამ უკანონო გარიგებებთან დაკავშირებით პასკალ შიმბონდა შეიპყრო და თავდებით გაათავისუფლა...

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ **ლორდ სტივენსის** კომისიის მითითებით პოლიციამ პრემიერლიგის ცნობილი ფეხბურთელი დააკავა. ეს კომისია ბრიტანულ ფეხბურთში არსებულ კორუფციის ფაქტებს იძიებს. დაპატიმრებაც ერთ-ერთ ასეთ ფაქტთან გახლდათ დაკავშირებული. არც კომისიამ და არც სამართალდამცველებმა სპორტსმენის ვინაობა არ გაამხილეს, მაგრამ ბრიტანულ ტაბლოიდებს აბა, ვინ დაემალებოდა. "სანის" ცნობით, პოლიციის მარწუხებში აღმოჩნდა "ტოტენჰემის" ფრანგი მცველი **პასკალ შიმბონდა**. 28 წლის ფეხბურთელი თავდებით გაათავისუფლეს. გამოძიება გრძელდება. ასე რომ, შიმბონდას სასამართლოში მისვლას კიდევ არაერთხელ მოუწევს.

პასკალი ლონდონური კლუბში გასულ ზაფხულს "ვიგანიდან" გადავიდა. მასში 4.5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. "სანის" მიმომხილველი დეტალების გასარკვევად ფეხბურთელს შეეხმიანა. მან დაპატიმრების ფაქტი კატეგორიულად უარყო, ინტერვიუს მიცემა კი არ ისურვა. შიმბონდა ინგლისში 2005 წლის ზაფხულიდან თამაშობს. ორი წლის წინ "ვიგანმა" ის ფრანგული "ბასტიიდან" 500 ათას გირვანქად შეიძინა. ტრანსფერი აგენტ **ვილი მაკეის** შუამავლობით განხორციელდა. მაკეი სხვა უცხოელი ფეხბურთელების ინტერესებსაც იცავს. მისტერ ვილი დიდი ხანია, სამართალდამცველთა ყურადღების ცენტრშია. ის 47 წლისაა. მენეჯერობამდე ტოტალიზატორების ბიზნესი ჰქონდა. მაკეიმ ფეხბურთელები "ნიუკასლში", "პორტსმუთსა" და "რეინჯერსშიც" დააბინავა. გასულ ზაფხულს პოლიციამ სამივე კლუბის ოფისი გაჩხრიკა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მთავარი ეჭვმიტანილი ვილი მაკეია.

აგენტი უკანონო გარიგებებში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს. ის აცხადებს, როცა ყველაფერი გაირკვევა, ნახავთ, რომ ხმაური უსაფუძვლოდ ამიტეხესო. საგამოძიებო კომისიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მაკეი ერთ-ერთი ის აგენტია, რომელმაც ლორდ სტივენსთან თანამშრომლობა არ ისურვა. ამიტომაც მასზე ავტომატურად მიიტანეს ეჭვი. საგამოძიებო კომისიამ ბოლო 15 თვის განმავლობაში განხორციელებული 300-ზე მეტი ტრანსფერი შეამოწმა, აქედან 17 გარიგება საეჭვოდ მიიჩნია, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთების სიმცირის გამო საჯარო კომენტარებისაგან ყველა თავს იკავებს.

აქვე, კიდევ ერთი ინფორმაცია. საფრანგეთის პოლიციამ განაცხადა, რომ ინგლისში მოთამაშე რამდენიმე ფრანგ ფეხბურთელს გადასახადების დამალვაში ედება ბრალი. კითხვაზე, არის თუ არა ეჭვმიტანილთა შორის პასკალ შიმბონდა, პოლიციის წარმომადგენელმა პასუხის გაცემა არ ისურვა. სამაგიეროდ, მან ბრიტანელ მიმომხილველებს შეახსენა, რომ ორი წლის წინ აგენტ ვილი მაკეის საქმიანობამ ფრანგი სამართალდამცველების ყურადღებაც მიიპყრო. "ტოტენჰემმა" თავისი ფეხბურთელის დაპატიმრების თაობაზე კომენტარის გაკეთებისაგან თავი შეიკავა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჩოგბურთი ბორჯომის თასი



თინათინ ყავლაშვილი

სოფიო ქვაცაბაია

ქართული ოთხმოციანობა

გუშინ კი ვწერდით, ასეთი წარმატება საქართველოში ქართველ ჩოგბურთელებს დღემდე არ ჰქონიათ-თქო, მაგრამ რას ვიფიქრებდით, რომ კიდევ მეტი გვეღირსებოდა წინ. წარმატების იმედი კი გვქონდა, მაგრამ თუ ასე საშინაოდ გავიხდიდით წლევანდელ "ბორჯომის თასს", ნამდვილად არ გვეგონა - ნახევარფინალში მხოლოდ ქართველები გავიდნენ! რვეულში, ხუთი ქართველი იყო, თუმც ფავორიტებად ორიოდე ჩვენებური თუ ითვლებოდა, მაგრამ გამოხდა გუშინდელი დღე და...

მეტად უცნაური იყო **სოფიკო ქვაცაბაიას** მატჩი ტურნირის პირველ ნომერ რუს **ელიზავეტა ტოჩილოვსკაიასთან**: პირველი სეტი მამასისხლად არცერთმა დათმო და გამარჯვებული ტაი-ბრეიკმა გამოავლინა, - საბედნიეროდ, წარმატებას ქართველმა მიაღწია - 7:4 მოიგო. როგორც ჩანს, ამ წაგებამ რუსი ფსიქოლოგიურად გატეხა და მეორე სეტში თავის თავს საერთო აღარ ჰგავდა - 0:6 დამარცხდა.

ქვაცაბაია ამ მოგებით ტურნირის უპირველეს ფავორიტად იქცა, თუმც მეტოქეები რომ არაფერს დაუთმობენ, ფაქტია; მით უფრო **სოფიო შაფათავა** - ტურნირის მეორე ნომერმა მეოთხედფინალში გორგოძის დამმარცხებელ ბელარუს **იმა ბოჰუშს** მოუგო - 6:2, 6:3.

ყველაზე საინტერესო გუშინ ქართული დერბი იყო - **მანანა შაფათავა თათია მიქაძეს** ხვდებოდა. შეხვედრა ხილვად ნაღდად ღირდა, თუმც კურიოზებით კი იყო სავსე: მეტოქეები ძირითად ბრეიკების ხარჯზე ხერხობდნენ, შესაბამისად საკუთარ მოწოდებას ვერ უფრთხილდებოდნენ... პირველ სეტში 4:3-ზე მიქაძემ ბრეიკი გაახერხა და 5:3 დაწინაურდა; თუმცა მანანამ უმალვე დაიბრუნა ბრეიკი და თითქოს თამაში უნდა გაეთანაბრებინა, მაგრამ საპირისპიროდ კი წარიმართა შეხვედრა: მიქაძემ კვლავ აართვა მოწოდება შაფაქიძეს და 6:4 გაიმარჯვა.

მეორე სეტის დაწყება მიქაძეს მოუწია, თუმცა წარუმატებლად - მანანამ კვლავ აართვა მოწოდება მეტოქეს. ასეთი დასაწყისი ბევრის მანიშნებელი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ კვლავ სხვაგვარად განვითარდა მოვლენები: მიქაძემ ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო და ფაქტობრივად გადაწყვიტა მატჩის ბედი, - შემდეგში შაფაქიძემ ორიოდ გეიმის მოგება კი მოახერხა, მაგრამ მეტისთვის ძალა აღარ ეყო და მატჩში დამარცხების აღიარება მოუხდა - 6:3, 6:4.

თინათინ ყავლაშვილის მოგება უკრაინელ **ლესია ცურენკოსთან** - 6:3,7:5. ყავლაშვილი ზედიზედ მეორე ტურნირის მოგებას შეეცდება.

ნახევარფინალში მიქაძე შაფათავას შეხვდება, ქვაცაბაია კი - ყავლაშვილს, კიდევ გავუსვამთ ხაზს: ასეთი ტურნირი, ქართველთა ამგვარი წარმატებით არასდროს გვიხილავს.

წყვილთა ფინალში ოთხიდან სამი მონაწილე ქართველია: დღეს ფინალში ერთმანეთს **მანანა შაფაქიძისა** და **ავგუსტა ციბიშევას** დუეტი **თინათინ ყავლაშვილისა** და **სოფიო შაფათავას** წყვილს დაუპირისპირდება. როგორც არ უნდა მორჩეს ფინალი, ქართველი გამარჯვებული ყველა შემთხვევაში გვეყოლება...

ასე რომ, დღეს და ხვალ ვინც კი ღეილა მესხის სახელობის საჩოგბურთო აკადემიის კორტებს ესტუმრება, დიდ სიამოვნებას მიიღებს... მობრძანდით და ისიამოვნეთ!

ზვიად შათირიშვილი

მოულოდნელი მარცხი

17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** პირველი კატეგორიის ახალგაზრდულ ტურნირ "კენტუკი დერბიში" მოულოდნელი მარცხი განიცადა, მესამე წრეში მეორე ნომრად განთესილმა ქართველმა 15 წლის ვენესუელელ **გაბრიელა სასთან** (78) წააგო, რომელიც ლექსინგტონში მე-15 ნომრად განთესეს - 6:4, 4:6, 5:7. პასი დიდებში უკვე 615-ე ჩოგანია. წყვილთა თანრიგში ოქსანა კალაშნიკოვა რუს **ელენა ჩერნიაკოვასთან** დუეტში უკვე მეოთხედფინალშია, მათ ორ სეტში დაამარცხეს მექსიკურ-ებრაული წყვილი (**აგილარი, ასტრუგო**) - 6:4, 6:2.



თათია მიქაძე



სოფიო შაფათავა

ჭიდაობა

ინტერვიუ ნუგზარ ჭეიშვილთან

უხელფასოდ, ენთუზიაზმით ფლეიოფისკენ



ნუგზარ ჭეიშვილი

სამწუხაროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბოლო წლებში ყველასათვის ანგარიშგასაწევი და მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი თსუ წლეულს, ოდენ მოკრძალებულ ამბიციებს დასჯერდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბი, ახალ სეზონს საკმაოდ გადახალისებული, ახალგაზრდული შემადგენლობით შეეგებება. შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის ძირითადი ამოცანა იქნება ფლეიოფში თამაში.

გვესაუბრება თსუ-ს მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი.

- შარშანდელი სეზონის შემადგენლობიდან ნახევარზე მეტმა დატოვა გუნდი. წავიდნენ ბესიკ ლეჟავა, ლუკა შანიძე, ნიკა ვეფხვაძე და გიორგი მარხვაშვილი. შევინარჩუნეთ მიხეილ ფანჩულიძე, შიო ხეცურიანი და ლაშა ლოსაბერიძე, სტუ-დან გადმოვიყვანეთ შალვა კოხრეიძე. ამას გარდა, დავიმატეთ ორი ლეგიონერიც - მიხეილ ჩიტაშვილი ირანიდან და გიორგი მამაცაშვილი აზერბაიჯანიდან.

ამჟამად, გუნდში ვარჯიშობს 18 კალათბურთელი, საიდანაც ზოგის საკითხი უკვე გარკვეულია, ზოგსაც ვსინჯავთ. საბოლოოდ, ალბათ ორ დღეში ჩამოვაყალიბებთ შემადგენლობას.

- რა ამბიციები გექნებათ წლევანდელ სეზონში?

-ძირითადად, ახალგაზრდული გუნდი გვეყოლება და ვერ ვიტყვი, რომ აუცილებლად ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. ძირითად ამოცანად, ალბათ, დავისახავთ ფლეიოფში თამაშს.

- ფინანსური კუთხით რა მდგომარეობაა გუნდში?

- სამწუხაროდ, არცთუ სახარბიელო. სპონსორი არ გვყავს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ალბათ უხელფასოდ, ცარიელი ენთუზიაზმის ხარჯზე მოგვიწევს თამაში. მხოლოდ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის იმედი გვაქვს, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში საწევრო თანხას გვიხდის და ეკიპირებასაც შეგვიძენს. საუბარია ხელფასის გადახდაზეც, მაგრამ თსუ-ს რექტორი ახლა თბილისში არ იმყოფება და როცა ჩამოვა, საბოლოოდ გვეცოდინება ყველაფერი.

კობა ხატისაშვილი

ბრიტანეთი იქაა, რუმინეთმა პირველი ნაბიჯი გადადგა



ბრიტანეთს ნამდვილი ვარსკვლავი ჰყავს: ლუოლ დენგი

ხვალ B დივიზიონის ფლეი ოფის ორი მატჩი A დივიზიონის ორი საგზურის ბედნიერ მფლობელებს გაარკვევს. ის, რასაც საქართველოს ნაკრები ვერ შესწვდა, შესაძლოა, ვერც ქართველთა ჯგუფში ჩამტოვებელი ფინელები შესწვდნენ. მეორე საგზურის ბედი კი, ალბათ, გარკვეულია.

ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებმა, ყველასთვის მოულოდნელად, 7-ქულიანი სხვაობით დაამარცხა ყოფილი NBA-ელი **ჰანუ მოტოლათი** გაძლიერებული ფინეთის ნაკრები - 83:76. ძნელი სათქმელია, ეყოფათ თუ არა ვლახებს ეს უპირატესობა დივიზიონის შესაცვლელად, მაგრამ ფაქტია, ბოლო მეოთხედამდე მასპინძლები 13 ქულის სხვაობით იგებდნენ ფავორიტების წინააღმდეგ. რომ არა **ტეემო რანიკო**, რუმინელები პირველივე რაუნდში გადაწყვეტდნენ საგზურის ბედს. **გეორგე ელჩიოიუმ** 18 ქულა ჩააგდო, **ვირგილ სტანესკუმ** - 17, 16 ქულაა ცენტრ **კატალინ ბურლაკუს** ანგარიშზე. 11 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა სათადარიგო ფორვარდმა **ბოგდან პოპესკუმ**. რანიკო ორივე გუნდში საუკეთესო იყო 29 ქულით. ჰანო მოტოლამ 13 ქულა იკმარა.

ლონდონში **ლუოლ დენგმა** კარგად დაგვანახა თუ რას ნიშნავს NBA-ს ვარსკვლავი B დივიზიონის ნაკრებისთვის. დენგმა შვეიცარიის ნაკრების წინააღმდეგ 31 ქულა 12 მოხსნა და 4 პასი გააკეთა. ბრიტანეთმა თამაში 74:41 მოიგო. ძნელი საფიქრებელია, რომ **სეფოლოშა** და კომპანია საპასუხო მატჩში 33-ქულიან ჩამორჩენას აღმოფხვრის. ისე, ლონდონში ტაბო სეფოლოშამ მაგრად იბრძოლა - 21 ქულა და 9 მოხსნა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ძიუდო

ბრინჯაოსთვის აბრძოლებდნენ

პირველი გვერდიდან

მასპინძლობა არაორგანიზებულობის შესახებ ვარაუდი გუშინვე გამოვთქვით. თუმცა რალა ვარაუდი, როცა მონაწილე გუნდებს დაბინავებისას სერიოზული პრობლემები შეექმნათ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მასპინძლები ჩემპიონატისთვის მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. ეგ კი არა, აქაურმა ფედერაციამ მასპინძლობის ჩამორთმევაც ითხოვა. საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომზეც თქმულა, ჩემპიონატი ორი თვით გადავდოთ და მომავალი ტურნირის მასპინძელ როტერდამში ჩავატაროთო. საბოლოოდ ბრაზილიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მსოფლიო პირველობის ჩატარება საკუთარი ღირსების საქმედ მიიჩნია, რადგან ფედერაცია მისკენ იშვერდა ხელს - მაგან არ დაგვაფინანსაო. ამიტომ აქაურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ფული კი გამოძებნა, მაგრამ ორგანიზატორებს არც დრო ეყოთ და, სავარაუდოდ, არც გამოცდილება. ალბათ, მოზღვავებულ სტუმართა არმიას ამიტომ ვერ გაუმკლავდნენ - გუნდებს დაჯავშნული ადგილები არ დახვდათ. ჩანს, პირველი ნაკადის დასაკმაყოფილებლად მასპინძლებმა ყველა იქ შეასახლეს, სადაც მოუხერხდათ. ამით პირველჩამოსულთა უკმაყოფილება კი აირიდეს, მაგრამ სხვებთან პირშავად დარჩნენ და მერე დაიწყო მთელი ეს ორომტრიალი...

აქ გუნდებს ისეთი ამბები გადახდათ, საქართველოს ნაკრების თავს მომხდარი იმასთან შედარებით, კეთილად დასრულებული ზღაპარია. მაგალითად, თურქმენეთის ნაკრებმა 11 სექტემბრის ღამე იმ სასტუმროს ფოიეში ჩანთებზე ჩამომსხდარმა გაატარა, სადაც ადგილები დაჯავშნული ჰქონდათ. გუშინ ჩვენები ბრაზილიაში უკრაინის კონსულს გადაჰყრიან. კაცი თურმე გაოცებული ჰყვებოდა, როგორ ვერაფერს გახდა აქაურ ბიუროკრატიასთან... რაღაც-რაღაცებში ეს უთავბოლობა ყველა ნიუანსში მჟღავნდება. მაგალითად, ჩემპიონატი დაგეგმილზე ერთი საათით გვიან გაიხსნა, სპორტსმენთა მოსათელ დარბაზში ტელევიზორები ნაშუადღევს დაამონტაჟეს, ოთახებს თუ გასასვლელ-გამოსასვლელებს სათანადო ნარწერებს დღეს უკეთებდნენ და ამგვარები, მაგრამ მთავარი რამ მაინც ნაშუადღევს მოხდა - მთელ შენობაში ინტერნეტი გაითიშა და ჟურნალისტებს გადაუჭრელი პრობლემები შეგვექმნა.

...მსოფლიოს 25-ე ჩემპიონატი უზარმაზარ კომპლექსში ტარდება, რომლის მსგავსი საქართველოში ჯერ ნამდვილად არა გვაქვს დ მომავალში - ღმერთმა ქნას. წარმოიდგინეთ, ჩვენს სპორტის სასახლეზე ლამის სამჯერ დიდი, კეთილმოწყობილი 30 000-იანი კომპლექსი, სადაც 4 ტატამია გაშლილი. ეს მხოლოდ დარბაზი, თორემ თავად ნაგებობა უამრავი ფილიალით ლამის ნახევარი ეროვნული სტადიონის ტოლია. საერთოდ, რიოში ჩემი ყურადღება უკვე რამდენჯერმე მიიქციეს ასეთმა გრანდიოზულმა სპორტკომპლექსებმა. ეტყობა, ჩვენი ყოფილი სახელმწიფოს მსგავსად, გრანდიოზულობის მისწრაფება ბრაზილიელებსაც ძალუმად ახასიათებთ. ამბობენ, რომ ჩემპიონატზე უკვე გაიყიდა 40 ათასი ბილეთი. ეს ინფორმაცია არ შემიმოწმებია, მაგრამ ტრიბუნების ქვედა იარუსი დილიდანვე თითქმის სავსეა. არადა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ქალაქში ჯერ აფიშა არ მინახავს და არც ამ ჩემპიონატის მცოდნეს შევხვედრივარ ჯერ. არადა, წუხელ ჩვენი სასტუმროდან ქალაქის ცენტრში ავტობუსით გავედი, რასაც ამ უზარმაზარ მეგაპოლისში, არც მეტი, არც ნაკლები, საათნახევარი მოვუნდით, და ქალაქის რამდენიმე პრესტიჟული უბანიც გავიარეთ. ამ დაუმთავრებელი ვოიაჟისას აფიშებს საგანგებოდ ვაკვირდებოდი.

თუმცა მთავარი ისაა, რომ ჩემპიონატს მაყურებელი ესწრება. თან, ფეხბურთისა არ იყოს, ქომაგობა ძიუდოშიც ობიექტური და ომახიანი სცოდნიათ. ასე მაგალითად, როცა სახელოვანი იაპონელი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **კეიძი სუძუკი** ლიტველ **ეგიდიუს ზილინსკასთან** დამარცხდა, მასპინძლებმა მქუხარე ოვაციით გააცილეს. სხვათა შორის, ისინი ქალებში თავიანთ ტიტულოვან ფალავანს, სქესშეცვლილ **ედინანკ სილვასაც** ასევე მხურვალედ ქომაგობდნენ. სიტყვამ მოიტანა და ვერ გეტყვით, ეს ქალი მამაკაცობაში რა იყო, მაგრამ ახლა მშვენიერი ქერათმიანი მანდილოსანია. დღის მეორე ნახევარში მასპინძელთა კერპი, ძიუდოში ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი **აურელიანო მიგელიც** მოვიდა, რომელსაც სეულში გამარჯვებისთვის ბრაზილიის მთავრობამ 1 კლოგრამი ოქრო უბოძა. გამოჩენისთანავე მას ჯერ ნაცნობები მიეხვივნენ, მერე - ტელეჟურნალისტები.

საჭიდაო კომპლექსში მისულს თავი კინაღამ რომელიღაც განგსტერული ფილმის გადასაღებ მოედანზე მეგონა - შესასვლელიდან მოყოლებული, ყველგან ავტომატშემართული სამხედროფორმიანები იდგნენ. საბედნიეროდ, განგსტერებთან მათი მსგავსება ამით ამოიწურა - ძალზე ზრდილობიანად მიმასწავლეს პრესცენტრის გზა. თუმცა არაორგანიზებულობა აქაც ეტყობათ. ჩემდა მოულოდნელად, ყველგან თავისუფლად და უპრობლემოდ შევაბოტე - სპორტსმენთა მოსათელ დარბაზში, თავად არენაზე... თუმცა მოგვიანებით, როცა ჩემპიონატი გაიხსნა, არენაზე გასასვლელები საიმედოდ ჩარაზეს.

ჩვენი კაცთა ნაკრები დარბაზში შედარებით გვიან მოვიდა. **ირინა ლეონიძე** (მძიმე) და მისი მწვრთნელი **ვალერი პარუნაშვილი** - შედარებით ადრე. ირინა ვარჯიშობს და შიგადაშიგ თავისი მომავალი მეტოქის - მონგოლი **დორინგოტო ცერენხადის** აკვირდება. თან, არც მალავს, რომ ცოტათი ღელავს. საბოლოოდ მისი მღელვარება უსაფუძვლო არ აღმოჩნდა - ლეონიძე მასთან მართლაც დამარცხდა.

ირინასგან განსხვავებით, მღელვარება არ ეტყობათ **ლაშა გუჯეჯიანსა** (მძიმე) და **ლომერ ჟორჟოლიანს** (100). მათ ჯერ კიდევ არ იციან, ვის ხვდებიან. ეს **შოთა ხაბარელის** მეთოდია - შეგირდებს ბოლო მომენტამდე უმალავს წილისყრის შედეგებს, რათა არ ინერვიულონ.

გუშინ ლომერ ჟორჟოლიანს იმისთვის ვიცოდებოდით, რომ დებიუტანტს მაინცდამაინც პირველ დღეს უწევდა ჭიდაობა. მაგრამ ეგ კიდევ არაფერი - წილისყრამ გუჯეჯიანი პირველ წრეში დაასვენა და ჩემპიონატზე ჩვენების მეკვლეობა ჟორჟოლიანს ერგო. კიდევ კარგი, დასაწყისში სერიოზული მეტოქეები არ ჰყავდა - ავსტრალიელი **ჯონ ბრენდიცკიც** და სენეგალელი **ბარა ნდიაეც** ბევრად დაბალი კატეგორიაა და ჟორჟოლიანმაც ორივეს იოლად მოუგო. მერვედფინალში მისი მეტოქე ფრანგი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონის - **ფრედერიკ დემონფოკოსა** და პოლონელ ევროპის პრიზიორ **პრზემისლავ მატი იაზეკის** შეხვდრას უნდა გამოევლინა. ყველა ველოდით, რომ ჟორჟოლიანს ფრანგთან მოუწევდა შეხვედრა, თავად სპორტსმენიც ამისთვის ემზადებოდა, მაგრამ პოლონელმა ვაჟკაცური ჭიდაობით მოგება დაიმსახურა. მასთან შეხვედრაში ჟორჟოლიანმა ზუსტად შეასრულა მწვრთნელთა მითითებები და მეტოქეს ტაქტიკურ ჭიდაობაში აჯობა. ეს გამარჯვება ხაბარელმა ბევრად ემოციურად გამოხატა, ვიდრე თავად სპორტსმენმა.

ძალიან კი გვეიმედებოდა, რომ ლომერი მეოთხედფინალშიც ასე ზუსტად შეასრულებდა მათ მითითებებს მასპინძელთა მსოფლიოს პრიზიორ **ლუსიანო კორეასთან**, ერთხანს ასრულებდა კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც სუფთად წააგო. ვფიქრობ, უფრო გამოუცდელობით. არადა, მანამ სჯობდა მეტოქეს, უფრო აქტიურობდა კიდეც და თითო გაფრთხილებით ანგარიშიც თანაბარი გახლდათ. თუმცა მას ის გაფრთხილებაც არ ეკუთვნოდა - მსაჯმა მასპინძელთათვის ოდნავ მიმხრობის დაუწერელი კანონით ისარგებლა.

ამის შემდეგ ლომერმა მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა - სანუგეშოს პირველ წრეში ბელარუსი ოლიმპიური ჩემპიონი **იჰარ მაკარაუ** დაამარცხა.

ჟურნირი ლაშა გუჯეჯიანმაც ყოჩაღად დაიწყო - იტალიელი **პაოლო ბიანკესი** იოლად დაჯაბნა და ისტორია გაიმეორა. ალბათ გახსოვთ, მსოფლიოს წინა პირველობაზე ბრინჯაოსთვის წმინდად, ულამაზესი გდებით ბრძოლაში სწორედ მას აჯობა. სამწუხაროდ, მომდევნო შეხვედრა უკვე თვით **ტამერლან ტმენოვთან** (რუსეთი) უწევდა, რომელთანაც მტკივნეული ილეთით ძალიან მალე დამარცხდა. სამაგიეროდ, მერე სანუგეშოში იყოჩაღა, როცა სახელოვან ჰოლანდიელ **დენის ფან დერ ხესტს** ვაზარით მოუგო, მანამ კი რუსეთიდან ყაზახეთში გადასული, თუმც კი, როგორც ამბობენ, წარმოშობით თბილისელი **სოსლან ძანაევი** დაამარცხა.

როგორც გითხარით, ჟორჟოლიანიც და გუჯეჯიანიც ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლას აგრძელებდნენ. დანარჩენს მომდევნო რეპორტაჟში შეიტყობთ.

ლაშა გუჯეჯიანი

ლომერ ჟორჟოლიანი

სუმო

ოშიდაში კოკაის წინააღმდეგ

სექტემბრის ბაშოზე ქართველი **კოკაი** უკვე მესამედ დამარცხდა, აქედან მეორედ ოშიდაშით. ერთ დროს კოკაის ძლიერი იარაღი - ძალისმიერი, რიტმული მიწოლა, უკვე მის საწინააღმდეგოდ "მუშაობს", ანუ მეტოქეები მას დოჰიოზე ჯანითაც ერევიან. თუ ამას დავურთავთ, რომ ქართველი რიკიში ოდენ მე-12 მაგაშირაა და სუსტი მეტოქეების მიუხედავად ხუთი დღის შემდეგ უარყოფითი ბალანსი (2-3) აქვს, საკმაოდ მძიმე სურათი გამოგვივა. გუშინ ის **კაკიძოესთან** დამარცხდა, ორი ყოფილი კომუსუბის ორთაბრძოლა ჯერ ქართველის შეტევით დაიწყო, თუმცა ძალა მეტი კაკიძეს აღმოაჩნდა.

ბაშოს ორი დაუმარცხებელი რიკიში ლიდერობს, სეკივაკე **ამინიშიკი** და კორეელი მეათე მაეგაშირა **კასუგაო**. ამ ორს კვალში ცხრა ფალავანი უდგას, მათ შორის იოკოძუნა **ჰაკუჰო** და ყველა ოძეკი, **კაიოს** გარდა, რომელსაც ძალიან წარუმატებელი ბაშო აქვს. შეგახსენებთ, რომ მონღოლი იოკოძუნა **ასაშორიუ** დისკვალიფიცირებულია.

კოკაი თუ ვეღარ გვახარებს სამაგიეროდ ბრწყინვალედ ჭიდაობს **ლევან გორგაძე (ტორინოშინი)**. ლევანი მაკუშიტას მეექვსე ნომერია, მას მეორე ელიტურ ლიგა (სუმოს ელიტას ორი ლიგა აქვს: მაკუუჩი და ძურიო) ძურიოში მოსახვედრად, ძალზე რთული ამოცანა აქვს გადასაჭრელი - სექტემბრის ბაშოზე შვიდივე ორთაბრძოლა უნდა მოიგოს. ტორინოშინმა საქმის თითქმის ნახევარი მოათავა, გუშინ ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა, ჩინეთის მონღოლური ოლქის წარმომადგენელი **სოკოკურაი** იორიკირით დაამარცხა. სამაგიეროდ ზედიზედ მესამე მარცხი განიცადა ამავე დივიზიონში მოასპარეზე **თეიმურაზ ჯულელმა** (გაგამარუ). ერთი წაგება ამ ბაშოზე და გაგამარუ მაკუშიტას დივიზიონს დაემშვიდობება.

ნიკოლოზ ნებიერიძე

ტორინოშინს ძურიოში გადასვლის შანსი აქვს

აკი გაშო

სექტემბრის სუპერტურნირი
9-23 სექტემბერი, ტოკიო (იაპონია)

V დღე. კოკაი-კაკიძო 0:1 (ოშიდაში), ჰაკუჰო-ჰოკუტორიკი 1:0, ამა-ჩიოტაიკაი 1:0, კოტოოშუ-კაკურიუ 1:0, დეჯიმა-კაიო 1:0, კოტომიცუკი-ვაკანოსატო 1:0, ამინიშიკი-ასასეკირიუ 1:0, კისენოსატო-ტორინონადა 1:0, მიაბიამა-ტოკიტენკუ 1:0, ტოიონოშიმა-ჰომაშო 1:0, ტოიოჰიბიკი-კოტოშოგიკუ 1:0, როპო-კიოკუტენპო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 5-0: ამინიშიკი (სეკივაკე), კასუგაო (მაეგაშირა 10); 4-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჩიოტაიკაი (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), კოტომიცუკი (ოძეკი), მიაბიამა (მ 5), ტაკეკაძე (მ 8), კიოკუტენპო (მ 12), გოუიდო (მ 14), იოშიკაძე (მ 15); 2-3: კოკაი (მ 12).

VI დღე: კოკაი-ტაკამისაკარი, ჰაკუჰო-კისენოსატო, კოტოოშუ-ჰოკუტორიკი, კაიო-ტორინონადა, კოტომიცუკი-ასასეკირიუ, ჩიოტაიკაი-ტოკიტენკუ, ამინიშიკი-დეჯიმა, ამა-კაკურიუ, ჰომაშო-ვაკანოსატო, კოტოშოგიკუ-მიაბიამა, კაიჰო-ტამანოშიმა, ტაკეკაძე-კასუგაო.

თბილელი

დავით გიგაური. დაიბადა 12.09.1958, თბილისი. თავისუფალი ჭიდაობა (68 კგ). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1983), სსრკ ჩემპიონი (1982), "კანადის თასის" მფლობელი (1982), გერმანიის, საფრანგეთისა და თბილისის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

■ ■ ■

ვლადიმერ მესტვირიშვილი. დაიბადა 13.09.1943, თბილისი. თავისუფალი ჭიდაობა, მწვრთნელი. საქართველოს ჭაბუკთა (1979-80), ახალგაზრდული (1980-81) და პირველი (1982-91) ნაკრებების უფროსი მწვრთნელი, სსრკ ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი (1981), სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1979-91). მაკედონიის ეროვნული გუნდის (1995-2000) და ამავე ქვეყნის კლუბის, "იაკა-მუჩუმის" (1995-2000) უფროსი მწვრთნელი. ინდოეთის ეროვნული, ახალგაზრდული, ჭაბუკთა და ქალთა ნაკრებების უფროსი მწვრთნელი (2003-იდან). მისი ხელმძღვანელობით "იაკა-მუჩუმმა" მოიგო ევროპის ჩემპიონთა საკლუბო თასი (1996) და მსოფლიოს თასი (1997). მისი აღზრდილია ლერი ხაბელოვი. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.

■ ■ ■

ლარისა ბერიევა. დაიბადა 13.09.1925, თბილისი. ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა, მსაჯი. საერთაშორისო კატეგორიის პირველი მსაჯი ქალი მსოფლიოში. იმსაჯა მრავალი საერთაშორისო ტურნირში. ღირსების ორდენის კავალერი.

■ ■ ■

ილია ბოგოხიძე. 13.09.1915, ქუთაისი - 14.10.1991, იქვე. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. სსრკ ჩემპიონი (1946) თავისუფალ ჭიდაობაში. მისი აღზრდილები არიან - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თეიმურაზ აფხაზავა, ესტატე გოგლიჩიძე, თემურ ხითარიშვილი. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.

■ ■ ■

ვასილ ელაშვილი. 14.08.1914, ... - 22.11.1997, თბილისი. საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 150-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი. სერიოზული გამოკვლევები მიუძღვნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საკითხებს. 26 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრას, საფუძვლიანად გამოიკვლია ქართული ხალხური სპორტი, მათ შორის - საბრძოლო ხელოვნების უძველესი სახეობები. ამ თემატიკას მიუძღვნა არაერთი წიგნი და მონოგრაფია. 1980 წელს აირჩიეს იუნესკოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომისის წევრ-კორესპონდენტად.

ხვალ, 23:00. საქართველო-ირლანდია

წინასწარ ნუ ვიჭყვიტ, რომ მოგებული გვაქვს

ირლანდია ისე ემზადება, როგორც 6 ერის მეტოქისთვის

საქართველოს ნაკრები აქამდე ორჯერ შეხვდა ირლანდიას და ორჯერვე დიდი ანგარიშით წააგო - 0:70 და 14:63, თუმცა ორივე მატჩს განსაკუთრებული კონტექსტი ჰქონდა.

1998 წელს მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი დუბლინში გაიმართა ირლანდიის, საქართველოსა და რუმინეთის მონაწილეობით. მსოფლიო თასზე ორი გუნდი გადიოდა. ჩვენებს მთავარი ბრძოლა ჰქონდათ რუმინეთთან 18 ნოემბერს, ამიტომაც ოთხი დღით ადრე, ირლანდიასთან 11 სათადარიგო გამოიყვანეს და 10 ლელოც მიიღეს - 0:70. დღევანდელი 30-კაციანი რაზმებიდან იმ მატჩში თამაშობდნენ - ილია ზედგინიძე (ნაკრებში დებიუტი ჰქონდა), გოდერძი შველიძე, გია ლაბაძე და ბესიკ ხამაშურიძე. ირლანდიიდან - გირვან დემპსი და მალკოლმ ოკელი. ამ მარცხის შემდეგ ჩვენები 23:27 დამარცხდნენ რუმინეთთან და მერე, რეპეშაჟში - ტონგასთან.

ანალოგიური ვითარება იყო 2002 წელს, ოღონდ ამჯერად 3 გუნდი (ირლანდია, სააქართველო და რუსეთი) მიმოსვლით თამაშობდა. ჩვენებს გადამწყვეტი ბრძოლა თბილისში რუსებთან ელოდათ და ირლანდიას "ლენზდაუნ როუდზე" თავი არ შეუკლეს. პირველი ტაიმის 0:42 წაგების შემდეგ ვასილ კაცაძემ და ბესიკ ხამაშურიძემ გაიტანეს 2 ლელო და ანგარიში შეალამაზეს - 14:63. ამის შემდეგ, 13 ოქტომბერს დავამარცხეთ რუსეთი 17:13 და მსოფლიო თასის საგზურიც მოვიპოვეთ.

დღეს მესამე მატჩია. ძალების დაზოგვას და მომავალ მატჩზე ფიქრს აზრი არა აქვს - ნამიბიას მთელი 11 დღის შემდეგ ვეთამაშებით, ხოლო დღეს ირლანდიას სწორედაც რომ თავს შევაკლავთ. ბოლომდე თუ წაიკითხავთ, ნახავთ, რომ ირლანდიელებიც ზუსტად ასე ფიქრობენ.

საიმონ ბესტი

ირლანდიის ნაკრების ბურჯი საიმონ ბესტი მიიჩნევს, რომ თუკი სასურველი შედეგის მიღწევა სურს, მისი გუნდი ისევე უნდა ეთამაშოს საქართველოს ნაკრებს შაბათს ბორდოში, როგორც ექვსი ერის ნებისმიერ მოწინააღმდეგეს. ისევე, როგორც ირლანდიის ნაკრების წევრთა უმრავლესობამ, ალსტერის პირველხაზელმაც არგენტინა-საქართველოს თამაშს სასტუმროში უყურა და მასზე საქართველოს მეომარმა გუნდმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა:

- საქართველო ფიზიკური კონდიციებით გამოირჩეოდა. პირველივე წამიდან ქართველები არგენტინელებს ეკვეთნენ. ეს იყო ძალიან ძალისმიერი მატჩი. აშკარაა, მათ სურდათ მთელი მსოფლიოსთვის დაენახებინათ, თუ რა დიდები და ძლიერები არიან. ამას გარდა, მათ ბეკებსაც არა უშავდათ. ქართველთა 9 და 10 ნომრები კარგი მორაგბეები არიან. საქართველო თავს კარგად იცავდა, არადა არგენტინა ძალიან ძლიერად უტევდა. მატჩის ბოლოს "ლელოებს" არ გაუმარლდათ, როცა არგენტინას პრემიალური ქულა გაატანეს. ჩვენთან თამაშის წინ საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ოთხდღიანი შუალედი აქვს, რაც მათ რა თქმა უნდა ვერ შეეწევა, მაგრამ ირლანდიის წინააღმდეგ მატჩი მათთვის ბევრს ნიშნავს და თავს დადებენ. ჩემი აზრით, არგენტინასთან კარგმა თამაშმა მათ თავდაჯერებულობა შემატა. საქართველოს გაუჭირდება ჩვენთან თამაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ცდას არ დააკლებს. არგენტინასთან მატჩში მათ დაამტკიცეს, რომ ბევრის მიღწევა შეუძლიათ. ასე რომ, თამაში ჯერ მოგებული არ გვაქვს და ნურც მათი გადაღლილობის იმედი გვექნება. ისევე უნდა მოვემზადოთ, როგორც ექვსი ერის თასზე ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან მატჩისთვის.

ფლანკერი დევიდ ვოლისიც მოელის, რომ საქართველოსთან მატჩში მის ნაკრებს ძალიან დიდი ბრძოლა ელის.

- საქართველოს ნაკრები ფიზიკურად ძალიან ძლიერია, მისი ძლევა ამ კომპონენტში უძნელესია. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მეტოქის ღირსება, მათი 10 ნომერი ასევე კარგი მეპასეა, მას კარგად შეუძლია თამაშის გაშლა. მათმა ბეკებმა საკმაო ტალანტი გამოავლინეს, ასე რომ, საქართველოს ღია თამაშიც შეუძლია. არგენტინა-საქართველო სწორედ ისეთი სტილის მატჩი აღმოჩნდა, როგორსაც ველოდით. ქართველებს, რომ გამართლებოდათ უფრო მეტ ხანსაც გაძლებდნენ. შაბათს ჩვენ პირველი მატჩისგან სრულად განსხვავებული თამაში უნდა ვაჩვენოთ. ბურთი ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ და არ ვკარგოთ, მაიცდამაინც ლელოს გატანა არ უნდა ვცადოთ და ყოველი მომენტიდან მაქსიმუმი მივიღოთ. პირველი ფაზიდან უკანა ხაზის 30-მეტრიანი გაჭრა ქართველებთან არ გამოგვივა, ეს უნდა დავივიწყოთ. საქართველოს ნაკრები რომ დავამარცხოთ, ძალიან უნდა მოვინდომოთ.

ნიკოლოზ ნეშარიძე

ირლანდია

15. გირვან დემპსი 14. შეინ ჰორგანი 13. ბრაიან ოდრისკოლი (კაპ) 12. გორდონ დარსი 11. დენის ჰიკი 10. რონან ოგარა 9. პიტერ სტრინგერი; 1. მარკუს ჰორანი 2. რორი ბესტი 3. ჯონ ჰეიესი 4. დონჩა ოკალაჰანი 5. პოლ ოკონელი 6. საიმონ ისტერბი 7. დევიდ ვოლისი 8. დენის ლიმი /16. ჯერი ფლენერი 17. საიმონ ბესტი 18. მალკოლმ ოკელი 19. ნილ ბესტი; 20. აიზეკ ბოსი 21. პედი ვოლისი 22. ჯორდან მერფი

2002 წელი. ილია ზედგინიძე (მარჯვნივ) ირლანდიელების წინააღმდეგ



ირლანდიელთა გუშინდელი ვარჯიში

ვინ ჩაიცვამს 10 ნომერს?

14 სექტემბერი, 23:00, A ჯგუფი

ინგლისი-სამხ. აფრიკა

სენ დენი, სტად დე ფრანსი

ინგ: 15. ჯეისონ რობინსონი 14. ჯოშ ლუსი 13. ჯეიმი ნუნი 12. ენდი ფარელი 11. პოლ საკი 10. მაიკ ქეთი 9. შოუნ პერი; 1. ენდი შერიდანი 2. მარკ რიგანი 3. მეტ სტივენსი 4. საიმონ შოუ 5. ბენ ქეი 6. მარტინ ქორი (კაპ) 7. ტომ რისი 8. ნიკ ისტერი / 16. ჯორჯ ჩატერი 17. პერი ფრეშვოტერი 18. სტივ ბორზეიკი 19. ლუის მუდი; 20. ენდი გოშერსოლი 21. პიტერ რიჩარდსი 22. მეთიუ ტეიტი

აფრ: 15. პერსი მონტგომერი 14. ჯეიპი პიტერსენი 13. ჟაკ ფური 12. ფრანსუა შტაინი 11. ბრაიან ჰაბანა 10. ბუჩ ჯეიმზი 9. ფური დიუპრე; 1. ოზ დიურანი 2. ჯონ სმითი (კაპ) 3. ბრენდონ ბოთა 4. ბაკის ბოთა 5. ვიქტორ მეტფილდი 6. ფიკუს ფანჰირდენი 7. ჟუან სმითი 8. დანი როსუ / 16. ბისმარკ დიუპლესი 17. ცეხა ფანდერლინდე 18. იოჰანეს მულერი 19. ბობის სკინსტადი ; 20. რუან პინარი 21. ანდრე პრეტორიუსი 22. ვინანდ ოლიფიე

მსაჯი: ჯოელ ჟუტჟი (საფ)

დღეს მთელი ჯგუფური ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩია. მსოფლიო ჩემპიონი ინგლისი სამხრეთ აფრიკას ხვდება. 2003 წლის მსოფლიო თასისგან განსხვავებით, როცა ინგლისმა ჯგუფში 25:6 დაამარცხა დღევანდელი მეტოქე და მეოთხედფინალში ზელანდიის ხახაში ჩააგდო, დღეს ფავორიტები აფრიკელები არიან. ახლა უკვე ინგლისს ემუქრება მეორე ადგილი და ავსტრალიასთან მეოთხედფინალში შეხვედრა.

სამხრეთმა აფრიკამ უკვე მოისტუმრა კიდევ ერთი ძლიერი მეტოქე - სამოა, ხოლო ინგლისს, დღეს წაგების შემთხვევაში, 22 სექტემბერს სწორედ სამოასთან მოუწევს მეოთხედფინალში გასასვლელად ბრძოლა. ალბათ საკმაოდ სერიოზული. სამივე ეს გუნდი 2003 წელს, ავსტრალიაშიც ერთ-ჯგუფში მოხვდა საქართველოსა და ურუგვაისთან ერთად. მაშინ ინგლისს, მომავალ ჩემპიონს ძალიან გაუჭირდა სამოასთან ბრძოლა, 60 წუთის განმავლობაში აგებდა და სულ ბოლოს გატეხა მეტოქე - 35:22.

თუმცა დავუბრუნდეთ დღევანდელ თამაშს, რომელსაც წინ ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების მთელი საგა უძღოდა. ინგლისმა პირველ მატჩში უპრემიოდ, 28:10 დაამარცხა აშშ. თამაში გამოტოვა წინა მსოფლიო თასის გმირმა და მას შემდეგ ტრავმებით გატანჯულმა **ჯონი ვილკინსონმა**, რომელმაც ზედ თამაშის წინ კოჭზე მყესები დაიზიანა. დიაგნოზში არ თქმულა, რამდენი ხნით მოუწევდა დასვენება ბომბარდირს. ორშაბათს გაირკვა, რომ ჯონი გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს და 10 ნომრად **ოლი ბარკლი** დარჩება.

სამშაბათს, დილის ვარჯიშზე ბარკლიც დაშავდა. არავინ რომ არ გაკარებია ისე, მოედნის გარშემო სირბილის დროს თეძოს კუნთი დაიჭიმა. პროფესიონალი 10 ნომერი გუნდში არავინ დარჩა. ისევ ვილკინსონი მოიკითხეს, ემანდ პარასკევამდე მოკეთების რამე შანსი ჰქონდესო, მაგრამ ამაოდ. ბარკლისთვის საბოლოო დიაგნოზი ოთხშაბათს უნდა დაესვათ, ამ დღეს კი შემადგენლობის დასახელების ვადაც იწურებოდა. მწვრთნელმა, **ბრაიან ეშტონმა** განაცხადა, რომ ორი კანდიდატი ჰყავდა - **ენდი ფარელი** და **მაიკ ქეთი**. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, შეიძლება განვიხილოთ ინგლისიდან **ჩარლი ჰოჯსონის** ან **ტობი ფლუდის** გამოძახების საკითხიც.

ჯონი ვილკინსონის ამ ტრავმას დიდი აურზაური მოჰყვა

ოთხშაბათს ბარკლიმ ჯანმრთელობის ტესტი ვერ გაიარა და 22-კაციან სიაში 10 ნომრად აღმოჩნდა 32 წლის **ენდი ფარელი,** ვინც ამერიკასთან სკამზე იჯდა. ფარელი ცამეტკაცია რაგბის სუპერვარსკვლავი იყო, ნაკრების კაპიტანი და 7 ნომერი, რაც თხუთმეტკაცას ენაზე სწორედ 10 ნომერს ნიშნავს, მაგრამ რაგბში შუამარბად ათამაშებენ. ისიც ცხადი იყო, რომ პირველი შუამარბის პოზიციიდან მას შეეშველებოდა ვეტერანი მაიკ ქეთი, ჯერ კიდევ 1995 წლის მსოფლიო თასის მონაწილე.

საბოლოოდ, გუშინ, ხუთშაბათს ეშტონმა გამოაცხადა, რომ 10-ნომრიან კვართს სწორედ ქეთი ჩაიცვამს, ფარელი კი 12 იქნება. ისინი მაინც ძალიან ხშირად შეენაცვლებიან ერთმანეთს და რა მნიშვნელობა აქვს, ზურგზე ვის რა ნომერი ეწერებაო - განაცხადა მწვრთნელმა.

ეს ერთი ამბავი, მეორე კი შეეხება გუნდის კაპიტან **ფილ ვიკერის**. ეშტონმა ჯერ კიდევ ორშაბათს ჩაწერა სიაში ვიკერი მარჯვენა ბურჯად, თუმცა მას მეორე დღეს ტრიბუნალის წინაშე ელოდა წარდგომა. ინციდენტი პირველ მატჩში მოხვდა. ვიკერიმ ამერიკელ **პოლ ემერიკს** დაარტყა და სამშაბათს ორმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიიღო - ის ვერც სამხრეთ აფრიკასთან ითამაშებს და ვერც სამოასთან. ვიკერის მარჯვენა ბურჯად შეცვლის **მეტ სტივენსი**, კაპიტანი კი იქნება ვეტერანი **მარტინ ქორი**, რომელიც 6 ნომრად **ჯო ვორსლის** ნაცვლად დაწინაურდა. ინგლისელთა თხუთმეტეულში კიდევ 2 ცვლილებაა - 8 ნომერზე **ლორენს დალალიოს** ცვლის **ნიკ ისტერი**, ხოლო **ჯეისონ რობინსონი** ფულბეკად დადგება **მარკ კუეტოს** ნაცვლად, რობინსონის ადგილს მარცხენა ფრთაზე **პოლ საკი** დაიკავებს.

სამხრეთაფრიკელებიც ელოდნენ ტრიბუნალს. სამოასთან მატჩში ფლანკერმა **სხალკ ბურხერმა** ჰაერში ამხტარი **ჯუნიორ პალუ** სახიფათოდ შებოჭა და ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო - ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნახევარფინალამდე ვერ ითამაშებს. ბურხერს ცვლის **ვიკუს ფანჰირდენი**, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილს სკამზე დაიკავებს ვეტერანი, თბილისში ნაბარბაროსალი **ბობი სკინსტადი. ჯეიკ ვაითს** ერთი იძულებითი და ერთიც ნებაყოფლობითი ცვლილება აქვს. სამოასთან დაშავებული **ჟან დევილიეს** ნაცვლად 12 ნომრად დადგება ახალგაზრდა ვარსკვლავი **ფრანსუა შტაინი,** თავშებორკილ ბურჯად კი **ბრენდონ ბოთა** ცვლის **ცეხა ფანდერლინდეს**. კიდევ ერთი ფულბეკი **პერსი მონტგომერი** დღეს 89-ე კეპს მოიხვეჭს და ეროვნულ რეკორდში შეეცილება ლეგენდარულ **იუსტ ფანდერვესტჰოიზენს**.

დანარჩენს თამაში აჩვენებს. ტელერეპორტაჟი 23 საათზეა. მსოფლიო თასის სულ ბოლო ცნობა კი ასეთია: რუმინეთის ნაკრებს ამ მსოფლიო თასზე უთამაშებლად გამოაკლდა ძირითადი ბურჯი **პეტრუ ბალანი**, ვინც ნატკენი მუხლი ვერ მოირჩინა. ბალანის ნაცვლად გუნდში **იონ პაულიცა** გამოიძახეს.

ნიკოლოზ აბაშიძე

ევროგასკეტი 2007

ლიტვა სრული სვლით

ესპანეთი, **გასოლი, გარბახოსა,** ჩემპიონობა - ევროპის პირველობის დაწყებამდე ეს სიტყვები იმდენად ხშირად ისმოდა, რომ ბევრმა სანუკვარი თასი და ბებერი კონტინენტის უძლიერესი გუნდის ტიტული უკვე ნაადრევად მიანიჭა პირნელელ ვარსკლავებს. ესპანეთი მართლაც ძალიან მაგარია, ყველა სათამაშო რგოლში სოლიდურადაა დაკომპლექტებული და საკუთარი მოედნის ფაქტორიც მათ მხარესაა, თუმცა გვრჩება კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ აუმჯობესებს თამაშის ხარისხს და მეორე ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ შეხვედრაში იმდენად ძლიერად გამოიყურებოდა, რომ ესპანეთისთვის ასე, ერთი ხელის მოსმითა და დაუფიქრებლად ოქროს გადაცემაში დაგვაეჭვა.

ლიტვა სუპერგუნდია, სადაც ვარსკვლავები იმდენად არ ჩანან, როგორც მასპინძლის შემადგენლობაში, თუმცა არც უამისობაა. უბრალოდ, ბალტიისპირელთა კოზირი იდეალური გუნდური თამაშია, სადაც სასტარტოს წევრიცა და სათადარიგოც ისეთ ლტოლვას აქსოვს ყოველ წუთში, რომ ძნელია ამით არ აღფრთოვანდე.

მეოთხედფინალს ლიტვა ერთადერთი წაუგებელი გუნდის სტატუსით ხვდება და ალბათ, იქ ხორვატიასაც მეთოდურად გადაუვლის, მერე კი ჩემპიონობამდე კიდევ ერთი ნაბიჯი და ესპანეთი იქნებიან დარჩენილნი.

სლოვენიასთან მეორე ნახევარში საერთოდ არ უთამაშია გუნდის მთავარ ფიგურას, ექსცენტრულ და განუმეორებელ **შარუნას იასიკავიჩუსს**, რომელმაც დასვენება ამჯობინა, მაგრამ გუნდმა მის გარეშეც მოუთავა საქმე ამბიციურ მეტოქეს.

გადახედეთ ლიტვის შემადგენლობას - ჰყავს ესპანეთს შარასზე ძლიერი უკანახაზელი? იასიკავიჩუსი, როგორც ფლეიმეიქერი **ხუან კალდერონზე** ძლიერია, ხოლო **ხუან კარლოს ნავარო** კი შარასზე სუსტია დაცვაში.

ლიტვას პაუ გასოლზე ძლიერი ცენტრი ნამდვილად არ მოეძებნება, მაგრამ თუ ესპანეთი პაუთი სულდგმულობს, ბალტიისპირელებს, **დარიუს სონგაილას, ლინას კლეიზასა** და **რობერტას იავტოკასის** სახით, მის შესაჩერებლად მთელი ტრიო ჰყავთ. თანაც, სამივე მაგრად მუშაობს მეტოქის სამწამიანში.

ლიტველთა შორის, სლოვენიასთან 21 ქულით ყველაზე შედეგიანი **რამუნას შიშკაუსკასი** იყო, რომელმაც ბოლო ორ შეხვედრაში ჯამური 40 ქულა დააგროვა. ორ მატჩში მისი მონაგარი 10 ქულასაც არ გასცდენია, მაგრამ ლიტვამ მაინც იოლად მოიგო. ანუ, თუ ესპანეთში ინდივიდუალისტებზე, ვარსკვლავებზე კეთდება აქცენტი, ლიტვას გუნდი-ვარსკვლავი ჰყავს.

ლიტველთა საამტურნირო სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ერთბაშად 5 მოთამაშეს აქვს დაგროვილი საშუალოდ 10-ზე მეტი ქულა, თუმცა მათ შორის საუკეთესოს, ანუ შიშკაუსკასს 14-იც კი არ აქვს დაგროვილი. ასევე თანაბრად ნაწილდება მოხსნებიც და 7 მოთამაშის ანგარიშზე, საშუალოდ 3.2 მოხსნაზე მეტი მოდის.

სლოვენიასთან შეხვედრას დავუბრუნდეთ, რომელშიც ლიტვამ ბოლო 15 წუთი 28:14 მოიგო და სულ თამაშ-თამაშით მიიყვანა მატჩი საბოლოო გამარჯვებამდე.

სლოვენიას მეოთხედფინალში ბევრისგან ჩამოწერილი, მაგრამ უკვე ამ სტადიაზე, უაღრესად სახიფათო საბერძნეთი ელის. ვინ გარისკავს იმის თქმას, რომ **თეო პაპალუკასს, დემეტრიოს დიამანტიდისსა** და **ლაზაროს პაპადოპულოსს** ხელები აუკანკალდებათ. ფავორიტი ნესტეროვიჩი და კომპანიაა, მაგრამ ბერძნები ხომ ჯერაც მოქმედი ჩემპიონის სტატუსს ინარჩუნებენ.

■ ■ ■

საშინელება იყო გერმანიისა და იტალიის მატჩი. ორივე გუნდისთვის ამ შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მომგები მეოთხედფინალში გადიოდა.

ზედიზედ მეორე შეხვედრა ჩააგდო **დირკ ნოვიცკიმ**, თუმცა აპენინელებმა ამით ვერ ისარგებლეს და ტურნირს ისე დაემშვიდობნენ, რომ არცერთი შეხვედრა 10 და მეტი ქულის სხვაობით არ წაუგიათ. ახლა დაიწყება "აძურის" ფანების წუწუნი - სლოვენიასთან, ბოლოს მსაჯებმა **ლაკოვიჩზე** გარბენი არ დააფიქსირეს, საფრანგეთთან **პარკერს** სამჯერ (!) ასპროცენტიანი ორტარება არ მისცესო და ამგვარების გახსენება.

სად იყო "ტორონტო რეპტორზის" რეკლამირებული **ანდრეა ბარნიანი?**

აკეთებს კი საერთოდ რამეს ბებერი **ბაზილე** და ერთ თამაშს თუ არ ჩავთვლით, **მარკონატოს** ჯგამში იმდენი არ გაუკეთებია, რაც გასოლს ისრაელთან 18 წუთში...

ერთადერთი, ვინც ამაყად ტოვებს ევროფორუმს, "გოლდენ სტეიტის" ახალწვეული **მარკო ბელინელია**, რომელსაც გერმანიასთანაც ვერაფერი მოუხერხეს და მის გარდა, იტალიიდან ოდნავ უკეთ ვინმეს (იგივე ბარნიანისაც) რომ ეთამაშა, რვა საუკეთესო გუნდში **კარლო რეკალკატის** ბიჭები შეაღწევდნენ.

იტალია რომ ფარს წააგებდა, ეს მოსალოდნელი იყო, მაგრამ ასეთი სხვაობით?!

გერმანიამ მოხსნები 52:31 მოიგო, ხოლო გადამწყვეტ, მესამე მეოთხედში კი ამ გუნდის ლიდერობა არა ნოვიცკიმ, არამედ ვინმე **იოჰანეს ჰერბერმა** ითავა, რომელმაც ამ ათწუთეულში 10 ქულა და 3 მოხსნა შემატა გუნდს. მის ანგარიშზე ორი ზუსტი შორეული გასროლა იყო, იტალიამ კი, თამაშიდან პირველი საამმეოთხედო ქულები ბოლო წუთზე დააგროვა (თავი **სტეფანო მანჩინელიმ** გამოიჩინა), რასაც წინ 10 არაზუსტი სროლა და 8-დან 7 გამოყენებული საჯარიმო უძღოდა.

"დღეს საკუთარ თამაშს ათბალიანი სისტემით 3 ქულასაც არ დავუწერდი. საშინელი პროცენტით შევასრულე ტყორცნები და რომ წაგვეგო, არც კი ვიცი, რას გავაკეთებდი. კიდევ კარგი, იოჰანმა გადაგვარჩინა და ადემოლა ოკულაჯამაც რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი მოხსნა გააკეთა. ესპანეთი ჩვენთან კი არა, ყველასთან ულაპარაკო ფავორიტია, თუმცა ახლა ამაზე არ ვფიქრობთ. ჯერ გონება და სხეული უნდა დავასვენოთ და მერე უკვე ესპანეთზე გადავერთვებით", - ამბობს ნოვიცკი. "დალას მავერიქსის" სუპერვარსკვლავმა თამაშიდან 19-ში 14 სროლა გააფუჭა, მათ შორის, 9-დან 7 სამქულიანიც.

გერმანიას კი მომდევნო მატჩში ესპანეთი, ანუ თითქმის გარანტირებული ფიასკო ელის.

■ ■ ■

საფრანგეთისა და თურქეთის შეხვედრაზე კი სათქმელიც არაფერია. მოტივაცია არც ერთს ჰქონდა და არც მეორეს. უბრალოდ, საინტერესო იყო, დაასვენებდა თუ არა ფრანგების მთავარი მწვრთნელი **კლოდ ბერჟო** თავის ვარსკვლავებს - გამთამაშებელ **ტონი პარკერსა** და ფორვარდ **ბორის დიაოს**, რადგან საფრანგეთს დასვენების გარეშე, მეორე დღეს ეგრევე რუსეთთან მეოთხედფინალური მატჩი ელოდა.

მწვრთნელმა არცერთი არ დაასვენა, თუმცა გადაღლილ და უჯიგრო თურქეთთან, საფრანგეთი, ალბათ, ამ ორი მოთამაშის გარეშეც მოიგებდა.

არც პარკერს მოუკლავს თავი და არც თურქების ლიდერ **ჰედო თურქოღლუს**, ვისაც წინა შეხვედრაში 34 ქულა ჰქონდა მოხვეჭილი. სამაგიეროდ, დიაომ 18 ქულით მიმდინარე ევროფორუმის პირადი რეკორდი დაამყარა და 14 სროლიდან შვიდიც გამოიყენა.

ზურაბ თალაკვაძე

რამუნას შიშკაუსკასი

F ჯგუფი

ლიტვა-სლოვენია 80:61

26:18, 18:23, 19:8, 17:12

ლიტვა: შიშკაუსკასი (21 ქ. 3 ბ. 3 პ), სონგაილა (17 ქ. 4 მ), კ. ლავრინოვიჩი (14 ქ. 3 ბ. 2 პ), კაუჩენასი (11 ქ. 4 პ), კლეიზა (6 ქ. 7 მ), იასიკავიჩუსი (2 ქ. 3 ბ. 2 პ).

სლოვენია: ლაკოვიჩი (15 ქ. 3 ბ. 3 პ. 3 ჩ), სმოდიში (11 ქ. 3 პ. 3 ჩ), ე. ლორბეკი (ქ. 3 მ), დრაგიჩი (7 ქ. 4 მ).

გერმანია-იტალია 67:58

12:18, 15:9, 19:10, 21:21

გერმანია: ნოვიცკი (15 ქ. 10 ბ. 2 ჩ. 2 პ), ჰერბერი (15 ქ. 6 მ), ჰამანი (10 ქ. 4 ბ. 3 პ), ოკულაჯა (4 ქ. 7 მ).

იტალია: ბელინელი (25 ქ), ბარნიანი (10 ქ. 6 ბ. 2 პ), ბულერი (8 ქ. 5 ბ. 3 პ), მარკონატო (6 ქ. 6 ბ. 2 დ).

საფრანგეთი-თურქეთი 85:64

20:22, 23:13, 13:8, 29:21

საფრანგეთი: დიაო (18 ქ. 5 მ), კირკსეი (15 ქ. 4 მ), ბადიანე (12 ქ. 4 მ), დიავარა (10 ქ), პარკერი (6 ქ. 3 ბ. 2 ჩ).

თურქეთი: ფექერი (19 ქ. 4 მ), თურქოღლუ (9 ქ. 4 ბ. 3 პ), ქუთლუაი (ქ. 4 მ), ოქური (5 ქ. 6 მ).

	მ/წ	ქ
1. ლიტვა	5-0	10
2. სლოვენია	4-1	9
3. საფრანგეთი	3-2	8
4. გერმანია	2-3	7
5. იტალია	1-4	6
6. თურქეთი	0-5	5

1/4 ფინალი

13 სექტემბერი

რუსეთი-საფრანგეთი 71:75

ესპანეთი-გერმანია 83:55

14 სექტემბერი

21:00, ლიტვა-ხორვატია

23:30, სლოვენია-საბერძნეთი

შეტევაზეა პაუ გასოლი

ინტერვიუ პაუ გასოლთან

კალდერონი საუკეთესოა

ვინ შეაჩერებს ესპანეთს? პირველ ჯგუფურ ეტაპზე ხორვატიასთან წაგებულ მატჩს თუ არ ჩავთვლით, ტურნირის მასპინძელი ჩემპიონობის მთავარი ფავორიტია, თუმცა იქვეა ლიტვაც თავისი იასიკავიჩუსითა და სხვა დაგეშილი ვარსკვლავებით. მეოთხედფინალში ესპანეთის ნაკრები გერმანიას ხვდება (ეს მეოთხედფინალის წინ არის აღებული - რედ.) და ულაპარაკო ფავორიტიცაა. გერმანიას ჰყავს დირკ ნოვიცკი, მაგრამ სწორი დაცვით რომ ამ მონსტრის შეჩერებაცაა რეალური, ჯერ სლოვენიამ, მერე კი იტალიამაც დაგვანახა. ასე რომ, ესპანეთის საჩემპიონო გზაზე პირველი გერმანიაა. რაც შეეხება ესპანეთს, მას მერე, რაც სან ეპიფანიოს ლეგენდარულმა თაობამ თამაში დაასრულა, გუნდს ამდენი ვარსკვლავი არ ჰყოლია. პაუ გასოლი, ხუან კარლოს ნავარო, ხოსე კალდერონი, ხორხე გარბახოსა, რუდი ფერნანდესი, ფელიპე რეისი - ცოტაა? ამჯერად, პაუსთან ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც ესპანეთის ნაკრებისა და "მემფისის" ლიდერმა გერმანიისა და იტალიის შეხვედრის შემდეგ მისცა.

- პაუ, ვინ გერჩივნათ მეტოქედ - იტალია თუ გერმანია?

- ტურნირი ისეთ სტადიაზეა, რომ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. გერმანიას ჰყავს პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე დირკ ნოვიცკი, იტალია კი უფრო გუნდია, ვიდრე ცალკეულ ინდივიდუალისტზე დამოკიდებული კოლექტივი. გერმანიამ მოიგო? მშვენიერია, მოვემზადებით გერმანიისთვის. იტალიას რომ მოეგო, არც ეს აგვირევდა სამზადისს.

- ესპანეთი ხშირ შემთხვევაში პროგნოზირებად კალათბურთს თამაშობს. გამთამაშებელს ბურთი თქვენამდე მოაქვს, მერე კი ყველაფერი ოპონენტის დაცვით სქემაზეა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, შეტევის გაგრძელების უამრავ გზას პოულობთ.

- ეს, ალბათ, კომპლიმენტად უნდა მივიღო (იცინის). არც ასე მარტივადაა ყველაფერი, არა? ჩემი აზრით, საკმაოდ მრავალფეროვან კალათბურთს ვთამაშობთ, სადაც შეტევის დასრულება ყველას შეუძლია და ევალება კიდეც. სწორედ ამაზე გვიმახვილებენ ყურადღებას მწვრთნელები - იყვითო გუნდი, ეცით პატივი ერთმანეთსა და მოწინააღმდეგეს, ბოლომდე დაიხარჯეთ და წარმატება აუცილებლად მოვაო. ვცდილობთ, მწვრთნელის ყველა მითითება შევასრულოთ.

- რამდენად გააძლიერა ნაკრები ნავარომ?

- ნავარო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო, საჭირო მოთამაშეა. მისი გამოცდილება ასეთ სტადიაზე ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესია. პირველი სამი შეხვედრაც დამაჯერებლად ჩავატარეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ხორვატიასთან ნავარო რომ ყოფილიყო, არ წავაგებდით.

- ხორვატიასთან ნაგება ბევრმა შემთხვევითობად მიიჩნია. თქვენ რას ფიქრობთ?

- შემთხვევით ჩვენ ვერავინ მოგვიგებს. ხორვატიამ იბრძოლა, მაქსიმუმი გააკეთა და სრულიად დამსახურებულადაც მოგვიგო, თუმცა ბოლო წამზე მსაჯმა ცოტა საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო. მგონი, ტომასი კალდერონის წინააღმდეგ თამაშის წესს არღვევდა. ხორვატიამ ამ მატჩის მერეც დამაჯერებელი კალათბურთი ითამაშა და არ გამიკვირდება, ეს გუნდი მინიმუმ, ნახევარფინალში რომ გავიდეს.

- შეუძლია თუ არა ესპანეთს მომატება?

- ნამდვილად შეუძლია. ამ ეტაპზე ჩვენი შესაძლებლობების ნახევარზე ოდნავ მეტს ვაჩვენებთ.

- "მემფისში" დამდეგ სეზონში დარკო მილიჩიჩთან ერთად თამაში მოგიწევთ. რამდენად მნიშვნელოვანი შენაძენია დარკო?

- ვფიქრობ, მილიჩიჩმა თუნდაც ამ ტურნირზე თავისი გამოსვლით დაამტკიცა, რომ იგი დიდი პოტენციალის მქონე მოთამაშეა. დარკომ ფიზიკურად მოუმატა და თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი საკალათბურთო ინტელექტი ყოველთვის მაღალი იყო, "მემფისმა" ძალიან სერიოზული შენაძენი გააკეთა.

- ვინ არის ამ ტურნირის გუნდიალმოჩენა?

- ალბათ, ისრაელი, თუმცა მე არ ვიცი, რა შეფასებებს აძლევდა მასმედია ტურნირის მონაწილეებს და აქედან გამომდინარე, ზუსტად ვერ გეტყვით, თუ ვინ გაამართლა თქვენი მოლოდინი და ვინ - არა.

- საუკეთესო მოთამაშე?

- კალდერონი. ულაპარაკოდ მას მივცემდი MVP-ს პრიზს. მის გარეშე ესპანეთის ნაკრებს სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა.

ზურაბ თალაკვაძე

გაიცანით ვარსკვლავი

მისტერ 9.74

ასაფა პაუელის ერთადერთი სიყვარული სპორტის დედოფალია

ასაფა პაუელი (იამაიკა)

დაიბადა: 1982 წლის 11 ნოემბერს
დაბადების ადგილი: ქალაქი ლინსტიდი
სიმაღლე: 190 სმ, **წონა:** 88 კგ

მძლეოსნობით 9 წლის ასაკიდან არის დაკავებული. სპეციალიზდება 100 და 200 მეტრ დისტანციებზე.

100 მეტრზე 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი; ამავე პირველობაზე ვერცხლის მედალი მოიგო 4x100 მეტრზე ესტაფეტაში;

მსოფლიო რეკორდსმენი 100 მეტრზე სირბილში (9.74). პირადი რეკორდები: 60 მ - 6.56 (2004); 200 მ - 19.90 (2006); 400 მ - 47.17 (2007).

კინგსტონის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სპორტული მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი.

მწვრთნელი: სტივენ ფრენსისი

პაუელის შედეგის პროგრესი

თარიღი	დრო	ქარის სიჩქარე	ადგილი
26.08.02	10,12	+1,3	როვერეტო (იტალია)
05.09.03	10,02	+0,8	ბრიუსელი (ბელგია)
03.09.04	9,87	+0,2	ბრიუსელი (ბელგია)
14.06.05	9,77	+1,6	ათენი (საბერძნეთი)
11.06.06	9,77	+1,5	გეისთჰედი (ბრიტანეთი) - მს. რეკორდი
18.08.06	9,77	+1,0	ციურიხი (შვეიცარია)
09.09.07	9,74	+1,7	რიეტი (იტალია) - მს. რეკორდი

100 მეტრი 9.74 წამში: ყოველი 10 მეტრი წამის 974 მეათასედში! გასულ კვირას, იტალიის პატარ ქალაქ რიეტის რაულ ჯუდობალდის სტადიონზე, IAAF-ის გრან-პრი გაიმართა, სადაც იამაიკელმა სპრინტერმა **ასაფა პაუელმა** სწორედ ასეთი შედეგი დააფიქსირა. იამაიკელმა წინა მსოფლიო რეკორდი, რომელიც ამერიკელ **ჯასტინ გეტლინთან** ერთად მასაც ეკუთვნოდა, 0.03 წამით გააუმჯობესა. ასმეტრიანი დისტანციის კვალობაზე, მართლაც კოლოსალური წინსვლაა!

ალბათ, უმრავლესობას არ ახსოვს 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პერიპეტიები. მაშინ გრანდიოზული სკანდალი მოხდა. 100 მეტრზე მეოთხედფინალური გარბენის წინ, ამერიკელმა **ჯონ დრამონდმა** სარბენ ბილიკზე მჯდომარე გაფიცვა მოაწყო, აქაოდა, მეორე ფალსტარტის გამო, დისკვალიფიკაციით უსამართლოდ დამსაჯესო. მაშინ ცოტა ვინმემ თუ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ამერიკელთან ერთად, ანალოგიური დარღვევისთვის გარბენიდან მოიხსნა მაღალი იამაიკელი სპრინტერი **ასაფა პაუელი**.

სანამ "სტად დე ფრანსზე" შეკრებილი პუბლიკა დრამონდის პროტესტის ცქერით ერთობოდა, ყველასთვის უცნობი იამაიკელი ჩუმად წავიდა გასახდელში. ვინ იფიქრებდა, რომ ყვითელ კომბინეზონში გამოწყობილი ეს მორბენალი, რამდენიმე წელიწადში მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი გახდებოდა?

ფორმალურად, მძლეოსნობაში მეცადინეობა პაუელმა 9 წლის ასაკში დაიწყო. ამ პერიოდში, ჩარლემონტის საშუალო სკოლის მოსწავლემ თავის ასაკობრივ ჯგუფში ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო. ფიზკულტურის მასწავლებლის, **ელაინ ფრეზერის** მახვილ თვალს არ გამოპარვია ამ ბიჭის დიდი ტალანტი. ყოველ შემთხვევაში, დღეს ფრეზერი სწორედ ამას ამტკიცებს.

თავად ასაფა, რბილად რომ ვთქვათ, მძლეოსნობას არასერიოზულად ეკიდებოდა. იქამდე, სანამ ამერიკაში გადაბარგებულმა მისმა უფროსმა ძმამ, 25 წლის **დონოვანმა** 60 მეტრ დისტანციაზე აშშ-ის ჩემპიონატი არ მოიგო. მან იქ ყველა ადგილობრივ სპრინტერს აჯობა - ეს კი რაღაცას ნიშნავდა. ასაფამ იმავე გზის გავლა გადაწყვიტა და მშობლიური იამაიკა დატოვა.

თავიდან ბევრი არაფერი გამოსდიოდა. პარიზის წარუმატებლობას ათენის ოლიმპიადაზე ჩავარდნა მოჰყვა, სადაც ფინალში პაუელმა მეხუთე ადგილი დაიკავა. როგორც თავად მოგვიანებით აღნიშნა, მწვრთნელებს არ დაუჯერა და წინასწარ ეტაპებზე ძალიან სწრაფად გარბოდა, ბოლოს კი, ძალა აღარ ეყო.

როგორ ფიქრობთ, მან ეს გაკვეთილი კარგად შეითვისა? არავითარ შემთხვევაში. იცით როგორ ახსნა მან რიეტიში ტრიუმფი? ისევე როგორც ათენში, ოლონდ უკუღმა. *"აი რას ნიშნავს, როცა მწვრთნელის რჩევებს ითვალისწინებ"*, - თქვა ასაფამ სარეკორდო გარბენის შემდეგ.

სამწუხაროა, რომ სპრინტის დროს, შეუძლებელია სპორტსმენისთვის იმ ინფორმაციის მიწოდება, თუ როგორ მირბის ის დისტანციაზე. სავარაუდოდ, რიეტიში პაუელი ვერ გრძნობდა, რომ მსოფლიო რეკორდის გრაფიკით მირბოდა, თორემ ბოლო მეტრებზე ტემპს არ დააგდებდა. ფინიში უემოციო გამოვიდა, შემდეგ იყო ვილაცის კარნახი - 9.74 (!) აჩვენეო და ბოლოს, დიდი ხანი პოზირება იმ ტაბლოს გვერდით, რომელმაც მსოფლიო რეკორდი დააფიქსირა.

ნებისმიერ შემთხვევაში, იამაიკაში ასაფას პოპულარობა ადგილობრივი კერპისა და ეროვნული გმირის, მომღერალ **ბობ მარლის** პოპულარობას გაუტოლდა. ის კუნძულზე ყველაზე სასურველი სასიძოა. მაგრამ პაუელი დაოჯახებას არ აპირებს. ასაფა ამბობს, რომ ჯერ კიდევ 2005 წელს, როცა პირველი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ისწავლა როგორ უთხრას გოგონებს - "არა", რადგან ჯერჯერობით მისი ერთადერთი სიყვარული სპორტის დედოფლად აღიარებული მძლეოსნობაა.

ყოველ კვირას, პაუელი კინგსტონში ქრისტიანულ ეკლესიას სტუმრობს. სჯერა, რომ ღმერთი მას პეკინის ოლიმპიადაზე გამარჯვებაში დაეხმარება. თანაც, მისი საყვარელი მშობლები ღმერთთან ძალიან ახლოს არიან. მამამისი **უილიამ პაუელი** ლინსტიდში ქრისტიანული ეკლესიის მღვდელია, დედა **კისლინ პაუელი** კი, მონაზონი გახლავთ.

ასაფა ახალ რეკორდს გვპირდება

ასაფა პაუელი დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია მის მიერვე ცოტა ხნის წინ, იტალიის ქალაქ რიეტის ტურნირზე დამყარებული ფენომენური რეკორდის გაუმჯობესება. ოლონდ, ამის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა ისაა, რომ ოქროს ლიგის მორიგი, ბრიუსელის შეხვედრის ოფიციალურმა პირებმა შარშანდელი შეცდომები არ უნდა გაიმეორონ.

იამაიკელი სპრინტერი, ვინც რამდენიმე დღის წინ, იტალიის ქალაქ რიეტის ტურნირზე ასპარეზობისას, მისივე მსოფლიო რეკორდი (9.77 წამი) 0.03 წამით გააუმჯობესა, ამბობს, რომ რეკორდს შარშან ბრიუსელში, ვან დამის მემორიალზეც დაამყარებდა, რომ არა ოფიციალური პირების მიერ სტარტზე დაშვებული შეცდომები.

მაშინ, იმ შეცდომების გამო, ასაფამ ცუდი სტარტი აიღო და მაინც, ფინიშს 9.99 წამში მიაღწია. ის დარწმუნებულია, რომ შეცდომები რომ არა, გაცილებით უკეთესი დრო ექნებოდა და რეკორდსაც გააუმჯობესებდა.

"ვიცი, რომ 9.74 წამზე ნაკლებში შემიძლია გარბენა. რატომ? იმიტომ, რომ რიეტიში ბოლომდე არ დავხარჯულვარ, ჩემი შესაძლებლობათა 90 პროცენტი გამოვიყენე. ვიმედოვნებ, რომ ამჯერად მაინც, სტარტზე პრობლემები აღარ შემექმნება. თუ ასე მოხდა, მაშინ ახალ რეკორდს ელოდეთ", - განაცხადა პაუელმა.

ტურნირის ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ პაუელის გარდა, ბრიუსელში საასპარეზოდ ას და ორას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს ჩემპიონი, ამერიკელი **ტაისონ გაიც** ჩავიდოდა. მაგრამ, როგორც გუშინდელ ნომერშიც გაუწყეთ, ამან გადაღლა მოიმიზეზა და ტურნირზე გამოსვლისგან თავის შეკავება არჩია. შეგახსენებთ, რომ 100 და 200 მეტრზე ტრიუმფის გარდა, გაიმ აშშ-ის ნაკრებთან ერთად, 4x100 ესტაფეტაშიც მოიპოვა ოქროს მედალი.

"მე კარგად მესმის ტაისონის. ოსაკას შემდეგ ის გადაღლილია. ჩემი მხრივ, სხვა მორბენლებთან დაპირისპირებაზე ბევრ ფიქრს არ ვაპირებ. ჩემთვის მთავარი საკუთარ გამოსვლაზე ზრუნვაა. მთავარია, ისე ვირბინო, როგორც შემიძლია. ვინ ასპარეზობს ჩემ გვერდით, ეს ნაკლებად მაინტერესებს, რადგან როცა სარბენ ბილიკზე გავდივართ, იქ მხოლოდ მე და დრო ვართ. დანარჩენები ჩემთვის არ უნდა არსებობდნენ. მხოლოდ ასე თუ შევძლებ მერმის ოლიმპიური ოქროს მოპოვებას", - ამბობს პაუელი.

მიუხედავად იმისა, რომ პაუელისა და გაის დუელი არ შედგება, ბრიუსელის ტურნირს მაინც 47 000 მაყურებელი დაესწრება - ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია. სხვათა შორის, ბრიუსელის შეხვედრიდან ორი დღის შემდეგ, ოქროს ლიგის მორიგ, ბოლო შეხვედრას ბერლინის ოლიმპიური სტადიონი უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ ოქროს ლიგის მილიონდოლარიანი ჯეკპოტის მოპოვების შანსი ორ სპორტსმენსღა აქვს. ესენი არიან 400 მეტრზე მორბენალი ამერიკელი **სანია რიჩარდსი** და რუსი ჭოკით მხტომელი **ელენა ისინბაევა**.

შეგახსენებთ, რომ რიჩარდსმა ოსაკაში აშშ-ის ნაკრებთან ერთად, 4x400 ესტაფეტაში ოქროს მედალი მოიპოვა. სამაგიეროდ, ინდივიდუალურად 400 მეტრზე ასპარეზობის უფლება ვერ მოიპოვა, 200 მეტრზე კი მეხუთე ადგილს დასჯერდა.

ასაფა პაუელი სარეკორდო გარბენის შემდეგ

TV სპორტი

14 სექტემბერი. პარასკევი

I არხი

22:55 რაგბი. მსოფლიო თასი. ინგლისი-სამხრეთ აფრიკა (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ნორვეგია-საბერძნეთი.
08:43 მინი-მოედანი.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. Barca TV.
09:23 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი.
11:09 სპორტკლუბი.
11:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. სელტიკი-სპარტაკი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბუქარესტი. უნგრეთი (LIVE).
18:08 მინი-მოედანი.
18:30 სპორტული ტანვარჯიში. საერთაშორისო ტურნირი. ქალები, მამაკაცები. ფინალები. ოსტრავა. ჩეხეთი (LIVE).
20:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:44 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:54 სპორტის სამყარო.
21:25 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
21:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:06 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ვერდერი (LIVE).
00:29 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:43 კრივი. რინგ-საიდი.
01:43 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. სელტიკი-სპარტაკი.
04:17 ფეხბურთი. Barca TV.
04:27 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი.
06:12 მინი-მოედანი.
06:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ნორვეგია-საბერძნეთი.
11:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-სერბეთი.
12:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უკრაინა-იტალია.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი-აშშ. ჩინეთი (LIVE).
15:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. არგენტინა-იაპონია. ჩინეთი.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ინგლისი-გერმანია. ჩინეთი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. XIII ეტაპი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. საფრანგეთი-შოტლანდია.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
20:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი-აშშ. ჩინეთი.
21:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ინგლისი-გერმანია. ჩინეთი.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჰოლანდიის გრან-პრი.
00:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. გერმანია.
00:30 გოლფი. Solheim Cup. შვედეთი.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 რესტლინგი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
13:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-სერბეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უკრაინა-იტალია.
17:00 ველოსპორტი. პოლონეთის ტური. VI ეტაპი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მულტისპორტი.
21:00 ბეისბოლი. ევროპის ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ნორვეგია-საბერძნეთი.
23:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-სერბეთი.
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უკრაინა-იტალია.
01:15 ახალი ამბები.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
02:30 ახალი ამბები.
02:45 პრო-რესტლინგი.
04:00 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

კონფერენსი

ფორესტ გრინი-სალისბერი	0:3

შვედეთი

II დივიზიონი

ბუნკეფლო-აჯვიდაბერგი	1:1
პაკენი-იორგრიტე	4:1
ლანდსკრონა-სუნდსვალი	1:1

ფინეთი

ტურკუ-პაკა	2:1
ვიიკინგიტი-ტამპერე	3:3

ფინეთის თასი

პონკა-კუუსანკოსკი	4:0

ფრენბურთი

ევროპის ჩემპიონატი

მამაკაცები

ბულგარეთი-ბელგია	3:1
საფრანგეთი-გერმანია	0:3
იტალია-პოლონეთი	3:2
სერბეთი-ესპანეთი	2:3
პოლანდია-სლოვაკეთი	3:1
რუსეთი-ფინეთი	3:2

ჰოკეი

ფინეთი

იოკერიტი-პიუკ	0:3
კაიპა-იუვიასკიულა	1:3
კერპეტი-კიეკო	4:1
საიპა-პელიკანსი	4:1
ტაპარა-ილვესი	2:2
ჰპკ-ტპს	4:1

ჩოგბურთი

ATP. ჩინეთის ღია

დავიდენკო-**ჩილიჩი**	3:6, 4:6
კუნიცინი-კიმი	7:6, 6:4
კიფერი-ცონგა	6:3, 6:3
რობრედო-დე ვოესტი	6:2, 6:3

ATP. ბუქარესტი

სტარაჩე-პაველი	6:3, 6:3
მონტანიესი-**ჰანესკუ**	3:6, 2:6
ბერლოკი-ნავარო პასტორი	7:5, 6:3
ბოლელი-**შჩუკინი**	4:6, 3:6

WTA. ბალი

ნაკამურა-ფედოსოვა	6:2, 6:2
დავენპორტი-დიტი	6:1, 6:4
შნიდერი-**კრისტეა**	2:6, 7:5, 5:7

კალათბურთი

პოლი ვარჯიშს იწყებს

"ნიუ ორლეან ჰორნეთსის" ერთ-ერთი ლიდერი **კრის პოლი** მალე დაუბრუნდება მოედანს. როგორც ცნობილია, პოლმა მარცხენა ფეხზე რთული ოპერაცია გადაიტანა და კარგა ხანი ვერ ახერხებდა ვარჯიშს. კალათბურთელის ექიმის ინფორმაციით, ამერიკელი მომავალ კვირას დაიწყებს მსუბუქ ვარჯიშს.

"ამ ეტაპზე ვცდილობ ტრავმირებული ფეხი ნელ-ნელა შევაჩვიო დატვირთვებს. როცა მივხვდები, რომ ტრავმა საბოლოოდ მოვირჩინე, მაშინვე თამაშს დავიწყებ", - აცხადებს კრის პოლი.

ბელი ოლიმპიაკოსს მიუახლოვდა

სულ უფრო იზრდება იმის შანსი, რომ "მილუოკი ბაქსის" მცველი **ჩარლი ბელი** ევროპაში, კერძოდ კი, საბერძნეთის "ოლიმპიაკოსში" გააგრძელებს კარიერას.

გასულ კვირას, კალათბურთელმა საბერძნეთში იმოგზაურა და იქ "ოლიმპიაკოსის" ბოსებს შეხვდა. თუმცა რა შედეგები გამოიღო ამ მოლაპარაკებებმა, პრესისთვის უცნობი გახდა.

თუ 28 წლის ბელმა ევროპაში გადაბარგება მაინც ვერ შეძლო, მაშინ ის "მილუოკიში" გააგრძელებს თამაშს.

სხვადასხვა

კალათბურთი

სიქსერზმა ბუტი დაიმატა

ახალი სეზონის დაწყებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, "ფილადელფია სიქსერზმა" კონტრაქტი გაუფორმა 31 წლის ცენტრალურ თავდამსხმელს **კელვინ ბუტს**. ხელშეკრულების ვადა და ფინანსური დეტალები უცნობი დარჩა.

გასულ სეზონში, ბუტი "ვაშინგტონში" თამაშობდა (საშუალოდ 1.6 ქულა და 1.8 მოხსნა), უფრო ადრე კი, ის "მილუოკის", "დალასის" და "სიეტლის" შემადგენლობაში ირიცხებოდა.

ძიუდო

მსოფლიო ძიუდოს რუმინელი გაუძღვება

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ეს პოსტი ძიუდოს ევროპის კავშირის თავმჯდომარემ, 48 წლის რუმინელმა **მარიუს ვიზერმა** ჩაიბარა.

ვიზერის კანდიდატურა რიო დე ჟანეიროში გამართული კონგრესის დროს დაამტკიცეს. რუმინელი ფედერაციას მომავალი ექვსი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

რუმინელის წინამორბედი გახლდათ კორეელი ბიზნესმენი **პაკ-იუნ სუნი**, რომელიც თავისი ნებით გადადგა თანამდებობიდან.

ჰოკეი

მარკ ბელი 15 მატჩით დასაჯეს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გასულ კვირას პოლიციამ ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო, "ტორონტო მეიპლ ლივზის" ფორვარდი **მარკ ბელი** დააკავა.

ამ ფაქტს გამოეხმაურა ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობა. NHL-ის კომისარმა **გერი ბეტმენმა** განაცხადა, რომ სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ჰოკეისტი მომავალი რეგულარული ჩემპიონატის პირველ 15 მატჩს გამოტოვებს.

"ჩვენს ლიგაში თამაში დიდი პრივილეგიაა, რაც ჰოკეისტებს გარკვეულ ვალდებულებებსაც აკისრებს. NHL-ის წევრები ყინულზე და მის გარეთაც ყველასთვის მისაბაძი მაგალითები უნდა იყვნენ", - მოჰყავს ბეტმენის სიტყვები NHL-ის ოფიციალურ ვებგვერდს.

მიუხედავად 15-მატჩიანი დისკვალიფიკაციისა, ლიგამ ბელს "ტორონტოს" საწვრთნელ ბანაკში ვარჯიშისა და საკონტროლო თამაშებში მონაწილეობის ნება დართო.

ბლეიკმა ოპერაცია გაიკეთა

"ლოს ანჯელეს კინგზის" ვეტერანმა მცველმა **რობ ბლეიკმა** მარჯვენა ბარძაყის ოპერაცია გაიკეთა. LA Daily News-ის ცნობით, "მეფეების" ერთ-ერთი ლიდერი დაახლოებით ორი თვე ვერ შეძლებს ყინულზე გასვლას, რაც ავტომატურად, რეგულარული ჩემპიონატის სტარტის გამოტოვებას ნიშნავს. NHL-ში სეზონი 29 სექტემბერს დაიწყება.

შარშანდელ ჩემპიონატში, რობ ბლეიკმა 72 მატჩი ჩაატარა და 34 ქულა დააგროვა.

ანაჰაიმმა ნიდერმაიერი დასაჯა

"ანაჰაიმ დაქსის" ხელმძღვანელობა აქამდე ვერ ელირსა **სკოტ ნიდერმაიერისგან** საბოლოო პასუხს - ეს მცველი ჯერაც ვერ გარკვეულა, აპირებს თუ არა კარიერის გაგრძელებას. ამის გამო, "ანაჰაიმის" ბოსებმა ჰოკეისტის დისკვალიფიკაცია გადაწყვიტეს.

"მე მას დავურეკე და დისკვალიფიკაციის შესახებ გავაფრთხილე", - იუწყება "დაქსის" გენერალური მენეჯერი **ბრაიან ბურკი**.

იმ პერიოდში, როცა ნიდერმაიერი ჩამოცილებული იქნება მატჩებს, მის ხელფასს (6.7 მილიონი დოლარი) არ გაითვალისწინებენ კლუბის სახელფასო ბიუჯეტში, რაც "ანაჰაიმს" სხვა ჰოკეისტების მიწვევის საშუალებას მისცემს.

გარდა ამისა, ბურკმა ჟურნალისტებს ისიც აცნობა, რომ კარიერის გაგრძელების ან დასრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება არც **ტეემუ სელიანეს** მიუღია.

ჩოგბურთი

ჯოკოვიჩი ნადალს ემუქრება

აშშ-ის ღია პირველობის დასრულების შემდეგ, ამ ტურნირის ფინალისტი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** სამშობლოში დაბრუნდა და "სპორტსკი ჟურნალს" ინტერვიუ მისცა.

მსოფლიოს მესამე ჩოგანი იმედს გამოთქვამს, რომ უკვე ამ სეზონში შეძლებს რეიტინგის მეორე პოზიციიდან ესპანელი **რაფაელ ნადალის** ჩამოგდებას. *"ვიცი, რომ ამის გაკეთების შანსი მაქვს. მიუხედავად დაღლილობისა, შესანიშნავ სპორტულ ფორმაში ვიმყოფები"*, - აცხადებს ჯოკოვიჩი.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონის დასაწყისში, 20 წლის ნოვაკი ATP-ის რეიტინგში მე-16 ადგილს იკავებდა, მაგრამ გრანდიოზული პროგრესი განიცადა და ახლა, საუკეთესოთა სიაში მესამე პოზიციაზეა. თუმცა ნადალის გასწრება სერბს ძალიან გაუჭირდება, ვინაიდან მათ შორის სხვაობა 1090 ქულას შეადგენს.

საფინი მთაში წავიდა

დადასტურდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსი ჩოგბურთელი **მარატ საფინი**, ალპინისტების ექსპედიციასთან ერთად ჰიმალაის მთებში გაემგზავრა. ამ ჯგუფის მიზანი მსოფლიოს მეექვსე მწვერვალის, ჩო-იოუს (8201 მ) კლასიკური მარშრუტით დაპყრობაა. ჯერჯერობით უცნობია, აპირებს თუ არა მწვერვალზე ასვლას თავად მარატ საფინი.

სამაგიეროდ ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი არ ითამაშებს დევისის თასზე რუსეთისა და გერმანიის ნახევარფინალში. ასე რომ, **შამილ ტარპიშჩევს** აღარ დასჭირდა თავის გუნდში ერთი ზედმეტის ამორჩევა და რუსების შემადგენლობაც თავისთავად დაკომპლექტდა: **ნიკოლაი დავიდენკო, მიხაილ იუჟნი, დმიტრი ტურსუნოვი** და **იგორ ანდრეევი**.

რაც შეეხება საფინს, როგორც რუსული პრესა წერს, ის წელს საერთოდ აღარ აპირებს კორტზე გასვლას.

კუერტენი 2008 წელს წავა

მსოფლიო კლასიფიკაციის კიდევ ერთი ყოფილი ლიდერი, ბრაზილიელი **გუსტავო კუერტენი** აცხადებს, რომ თუ ის 2008 წელს ძველ საბრძოლო კონდიციებს ვერ დაიბრუნებს, ასეთ შემთხვევაში სპორტული კარიერის დასრულების შესახებ მიიღებს გადაწყვეტილებას.

31 წლის კუერტენს სამჯერ აქვს მოგებული როლან გაროსი, მაგრამ გაუთავებელი ტრავმების გამო, ის დღემდე ვერ ახერხებს საჩოგბურთო ელიტაში დაბრუნებას.

დღეისათვის, გუგა ATP-ის რეიტინგში 662-ე ადგილს იკავებს და 190-ე პოზიციაზეა საჩემპიონო რბოლაში.

ავტოსპორტი

ფორმულა 1. სპაიგეიტი

ჯარიმა მაკლარენს

პარიზში, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) შტაბბინაში დასრულდა ფორმულა ერთში გახმაურებული შპიონაჟის საქმის განხილვა, რომლის შედეგადაც, მსოფლიო მოტორ სპორტის საბჭომ დაასკვნა, რომ ინგლისური გუნდი "მაკლარენი" მოიხსნას კონსტრუქტორთა პირველობიდან და ამ სეზონში მოპოვებული ყველა ქულა გაუუქმდეს. გარდა ამისა, გუნდს 100 მილიონი დოლარის ჯარიმის სახით გადახდა მოუწევს.

მაკლარენის შეფი რონ დენისი

იმავდროულად გადაწყდა, რომ "მაკლარენის" პილოტებს - ჩემპიონატის ლიდერს, ბრიტანელ ახალბედა **ლუის ჰემილტონს** და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ესპანეთიდან **ფერნანდო ალონსოს** ქულები არ ჩამოერთმევათ. საბჭოს გადაწყვეტილებით, ჩემპიონატის ბოლომდე, "მაკლარენს" ქულები აღარ დაეწერება. ამგვარად, თუ მისი პილოტი რბოლას მოიგებს, კონსტრუქტორთა პირველობისთვის ქულების ათვლა მეორე ადგილიდან დაიწყება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ფერარიმ", რომელიც "მაკლარენის" დასჯამდე მეორე ადგილზე იყო და რომელიც მესამეზე მყოფ "ბეემვე ზაუბერს" 57 ქულას უგებს, ფაქტობრივად გაინაღდა კონსტრუქტორთა თასზე გამარჯვება.

რაც შეეხება ასმილიონდოლარიან ჯარიმას, ის პირდაპირი არ იქნება. ჯარიმის ნაცვლად, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ "მაკლარენი" ვერ მიიღებს დაახლოებით 100 მილიონ დოლარს, რომელსაც ის იმ შემთხვევაში მიიღებდა, თუკი გუნდი კონსტრუქტორთა პირველობის ჩემპიონი გახდებოდა.

იმავდროულად, საბჭომ დაადგინა, რომ მოგვიანებით განიხილავს "მაკლარენის" მომდევნო სეზონის კონსტრუქტორთა პირველობაზე დაშვება-არდაშვების საკითხს. ამისათვის, ინგლისურმა გუნდმა ფია-ს ტექნიკურ კომისიას უნდა წარუდგინოს თავისი ახალი ბოლიდის სრული ტექნიკური დოკუმენტაცია, რომლის შესწავლის შემდეგაც, საბჭო საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.

ველოსპორტი

ვუელტა

პეტაკის დუბლი

სანამ ვუელტის მონაწილენი პირველად დაისვენებდნენ, იტალიელი სპრინტერი **ალესანდრო პეტაკი** სხვების ჩრდილში იყო მოქცეული. მაგრამ დასვენებიდან პირველივე ეტაპი მოიგო, გუშინ კი ზედიზედ მეორედ იზეიმა გამარჯვება. და ეს იმ დროს, როცა ასპარეზობას უკვე რამდენიმე დღეა, გამოეთიშა სამი ეტაპის მომგები, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ესპანეთიდან **ოსკარ ფრეირე**.

ფრეირემ ანდორის სამთო ეტაპზე შეწყვიტა ასპარეზობა და განაცხადა, რომ ახლა მისი მთავარი მიზანი შტუტგარტის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებაა. სწორედ ის იქნება ესპანელთა ლიდერი და არაა გამორიცხული, რომ მეოთხედაც მოიგოს მსოფლიო ჩემპიონის სარგო, ცისარტყელისზოლიანი მაისურა.

საკმაოდ გრძელ საფინიშო სწორზე, პეტაკის თავისი გერმანელი თანაგუნდელი, ასევე სახელოვანი **ერიკ ცაბელი** გაუძღვა. აკრეფილი ტემპი ცაბელსაც ეყოფოდა გასამარჯვებლად, მაგრამ გზა თავისი გუნდის (მილრამი) ლიდერ იტალიელს დაუთმო, ვინც შედარებით გრძელ სპურტებშიც მაგარია. პეტაკის კარგა ხანს გვერდით მისდევდა იტალიელი **დანიელე ბენატი**, მაგრამ ბოლო 50 მეტრზე პეტაკიმ მაინც შეძლო გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა (ნახევარი ბაიკის უპირატესობით).

"მართალი გითხრათ, ამ სეზონის უკუღმართობათა შემდეგ, ერთი ეტაპის მოგებითაც კმაყოფილი დავრჩებოდი. ახლა კი მეორეც მოვიგე. აქ იმისთვის ნამდვილად არ ვარ, რომ ვინმეზე მეტი ეტაპი მოვიგო. უბრალოდ, გამარჯვება მწყურია და ამ წყურვილის მოკვლას მომდევნო ეტაპებზეც ვეცდები" - განაცხადა პეტაკიმ, ვისთვისაც ეს ესპანეთის ტურზე მოპოვებული მე-19 გამარჯვებაა.

შეგახსენებთ, რომ პეტაკი ტურ დე ფრანსზე იმის გამო არ დაუშვეს, რომ ჯიროს დროს აღებულმა ტესტმა აკრძალულ პრეპარატ სალბუტამოლის გამოყენებაში ამხილა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ სუბსტანციას ის წამალი შეიცავს, რომელსაც ველომრბოლი ასთმის სამკურნალოდ იყენებს.

XII ეტაპი

ალგემესიდან ელინიმდე (176 კმ)

1. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი) 3:41.01 (47.78 კმ/სთ); 2. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე) იგივე დროში; 3. ალექსანდრ უსოვი (რუსეთი, AG2r პრევოიანსი); 4. დავიდე ვიგანო (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 5. ორლენ კლერი (შვეიცარია, ბუჟე ტელეკომი); 6. მაგნუს ბაქსტედტი (შვედეთიტ, ლიკიგაზი); 7. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი); 8. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი); 9. ალან დევისი (ავსტრალია, დისქავერი ჩენელი); 10. ანდრე გრაიპელი (გერმანია, ტე-მობილი) ყველა იგივე დროში...

კლასიფიკაცია 12 ეტაპის შემდეგ

1. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 48:08.26; 2. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.01; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 2.27; 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.02; 5. ესეკილ მოსკერა (ესპანეთი, კარპინ გალისია) 4.35; 6. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 4.42; 7. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 5.49; 8. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ლიკიგაზი) 5.56; 9. სტიინ დეფოლდერი (ბელგია, დისქავერი ჩენელი) 6.28; 10. კარლოს ბარედო (ესპანეთი, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 6.39...

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა